

ტსუ რექტორის არჩევის მოლოდინები

1. ვლადიმერ პაპავა



არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას! **33.3**

2. გიორგი ქავთარაძე




ტსუ-ში „ცისფერი მთების“ პრობლემა უნდა დასრულდეს **33.4**

3. გიორგი ბარამიძე



ჩემი გეგმის მიხედვით, სამართლიანობა უნდა აღდგას! **33.4**

4. ილია თავხელიძე



ლაბირინთიდან დასსნის გზა ორგვარია **33.5**

5. ცირა ბარამიძე



არჩევის შემთხვევაში თვისობრივად ახალ უნივერსიტეტს ჩამოვაყალიბებ **33.7**

6. მეჩაბ ცაგარელი



პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს **33.8**

7. ირმა რატიანი



ნამყვანი პოზიციები დასაქმების გაზარდა ტსუ-ს უნდა ეკუთვნოდეს **33.12**

8. მედეა ჩუხუა



ვირჩევ ეროვნული სამეცნიერო ტრადიციების დამკვიდრებას **33.11**

9. მარინა მუსხელიშვილი



არჩევნები — დასაწყისი ცვლილებების პროცესისა ტსუ-ში **33.10**

10. მანანა ხაჩიძე



მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია **33.14**

11. მარინა ჩიტაშვილი



მიწა, ტსუ იყოს თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტი **33.15**

12. ინესა მერაბიშვილი



ღირებულ პროფესორას უკან დავაბრუნებთ **33.15**

გამოცხადებულია კონკურსი რეკტორის თანამდებობის დასაკავებლად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად 12 ივნისს კონკურსი გამოცხადდა. კანდიდატთა რეგისტრაცია 2013 წლის 28 ივნისს დაიწყო. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვრა 2013 წლის 12 ივლისი 18:00 საათი. კანდიდატთა მხრიდან დოკუმენტაციის შემოტანა დასრულდა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 14 რექტორობის კანდიდატია დარეგისტრირებული.

რეგისტრირებულ კანდიდატთა სია ასე გამოიყურება:

1. ვლადიმერ პაპავა
 2. გიორგი ქავთარაძე
 3. გიორგი ბარამიძე
 4. ილია თავხელიძე
 5. ცირა ბარამიძე
 6. მერაბ ცაგარელი
 7. ირმა რატანი
 8. მედეა ჩუხუა
 9. მარინა მუსხელიშვილი
 10. მანანა ხაჩიძე
 11. მარინე ჩიტაშვილი
 12. ინესა მერაბიშვილი
 13. ნონა წონერია
 14. დავით გოცირიძე
- აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდი-

დატურის არჩევის დღედ განისაზღვრა 2013 წლის 16 აგვისტო.

■ ხუთი განცხადება რეგისტრაციაზე კომისიის მიერ არ იქნა განხილული შემდეგ გარემოებათა გამო:

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი შესაძლებლობა პირდაპირ არის გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რექტორი მიეკუთვნება უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას. ამასთანავე, არასამეცნიერო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით, არ არის განსაზღვრული სხვაგვარი შესაძლებლობა რექტორის თანამდებობის დაკავებისათვის ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით. დანვრლებითი ინფორმაციის მისაღებად ყველა დაინტერესებული პირს შეუძლია მიმართოს კომისიას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 14 რექტორობის კანდიდატია დარეგისტრირებული

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდნენ ქალბატონი ნონა წონერია და ბატონი დავით გოცირიძე, რომელთა საბუთების განხილვაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ დაკავალმონების დღეს დაეგეგმვა, რის გამოც მათთან ინტერვიუს ჩანარა ვერ მოხერხდა.

პროექტის მიზანი — განათლებისა და მეცნიერების რეფორმის ახალი კონცეფციის მხარდაჭერა

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანისა და ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართვის სურვილი არაერთმა ორგანიზაციამ გამოთქვა, რასაც წინ უძღოდა კანონში სულ ცოტა ხნის წინ შეტანილი ცვლილებები, რომელიც საზოგადოების დაინტერესებულმა ნაწილმა გააპროტესტა. ითქვა ისიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სამოქალაქო საზოგადოებისა და უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა ჩართვის გარეშე რეალურად არ იქნებოდა.

მანა ტორაძე

სწორედ ამ მიზნით, 2013 წლის ივნისიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (EPPM), ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირების და სექტორის გარდაქმნის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ინიცირებასა და განხორციელებაში ჩართულნი არიან: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS); TEMPUS ეროვნული ოფისი; საერთაშორისო განათლების ცენტრი (CIE); ღია საზოგადოების ფონდების აკადემიური მხარდაჭერის რეგიონული პროგრამა.

აღნიშნული ორგანიზაციები პროექტის მართვის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანდნენ.

პრესრელიზში, რომელიც საკოორდინაციო საბჭომ გაავრცელა, ნათქვამია: „პროექტის მიზანია: უზრუნველყოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის ახალი კონცეფციის განხორციელების პრაქტიკული მექანიზმების ჩამოყალიბების მხარდაჭერა; სარეფორმო პროცესებში დაინტერესებული ჯგუფების, სამოქალაქო და პროფესიული საზოგადოებების მაქსიმალური ჩართულობა; მოახდინოს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარების მიმართულებებზე საზოგადოებრივი განხილვებისა და დებატების ინიცირება.


პროექტის ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერებაში არსებული საექსპერტო პოტენციალის მობილიზება, ორგანიზება და მუშაობის წარმართვა საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ტენდენციების განსაზღვრისათვის.

პროექტში დასახული ამოცანის განხორციელება იწარმოებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით,

რაც გამოიხატება სხვა ანალოგიური ქვეყნებისა და რეგიონების გამოცდილების შესწავლა-გაზიარებით და მონიშნავს საერთაშორისო ექსპერტიზის უშუალოდ პროექტის განხორციელებაში ჩართვით.

პროექტის სტრატეგიული მიმართულებებია: უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ფინანსური მეწვევები; კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია; უმაღლესი განათლების დასაქმებულები; ხარისხის მართვა და შეფასება“.

საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ პროექტს განხორციელებს, დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით, რომლებიც წლების განმავლობაში ამ საკითხებზე მუშაობენ. მათ შორის არიან სოციალურ მეცნიერებათა ცენტრიდან მარინე ჩიტაშვილი, TEMPUS-ის ეროვნული ოფისიდან ლიკა დლონტი; საერთაშორისო განათლების ცენტრიდან ნინო ჩინჩალაძე, ღია საზოგადოების ფონდების აკადემიური მხარდაჭერის რეგიონული პროგრამიდან მაგდა მალრაძე. პროექტს ხელმძღვანელობს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) დირექტორი გიორგი მაჩაბელი.



გიორგი მაჩაბელი

გაზეთმა „თბილისის უნივერსიტეტმა“ ამ საკითხებზე სასაუბროდ მიმართა გიორგი მაჩაბელს და მაგდა მალრაძეს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროექტის განხორციელება ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა, იწყება კვლევა ხუთი სტრატეგიული მიმართულებით, რის შედეგებსაც სექტემბრის ბოლოს შეაჯამებენ.

გიორგი მაჩაბელი: „ამ ორგანიზაციებთან აქამდეც, ფაქტობრივად, ყოველდღიური ურთიერთობები გვქონდა. პროექტის ფარგლებში კი უკვე ეს ურთიერთობა მეტად მჭიდრო გახდა. წლების წინ, როცა შეიქმნა უმაღლესი განათლების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, ზოგიერთი ეს ორგანიზაცია ამ პროექტის მომზადების პროცესშიც იყო ჩართული. სწორედ მათ მიერ მომზადებული დასკვნების საფუძველზე შეიქმნა ჯერ ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, ხოლო შემდეგ — უმაღლესი განათლების კანონი, რომელიც 2004 წელს დამტკიცდა პარლამენტმა. თუმცა შემდგომ მისი განხორციელების მიმართ გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულება გვქონდა, რადგანაც რაღაც საკითხებში რეფორმამ გარკვეულად მიმართულება შეიცვალა. რისკი იმისა, რომ ახლაც შეიძლება ამგვარი რამ განმეორდეს, ცხადია, არსებობს. ჩვენი ამოცანაა, ამ პროცესში ყველა დაინტერესებული ჯგუფის მაქსიმალური ჩართულობა. როდესაც კვლევები დასრულდება, ჩვენ მის შედეგებს საზოგადოებაში გავიტანთ და საჯარო განხილვებს მოვანყობთ. სწორედ ამ დისკუსიების შედეგების მიხედვით მოხდება დოკუმენტის კორექტირება. აქ ჩართული იქნება როგორც დაინტერესებული ჯგუფები, ასევე განათლების სამინისტროც. ეს იქნება ცოცხალი და ბუნებრივი პროცესი. ჩვენი რეკომენდაციები იქნება კონკრეტული, შეძლებისდაგვარად გაანგარიშებული როგორც საერთო სიტუაციის, ასევე, ფინანსური მიმართულებით და ვიმედოვნებთ, რომ ის გათვალისწინებული იქნება“.

მაგდა მალრაძე: „ეს პროექტი უნიკალურია იმით, რომ ჩვენ შევარჩიეთ 5 ძირითადი მიმართულება, რომელზეც სერიოზული კვლევა ჩატარდება. კვლევის შედეგებით სარგებლობას შეძლებს სა-

ხელმწიფოც და ის ორგანიზაციებიც, რომლებიც უმაღლესი განათლების რეფორმების კუთხით მუშაობენ. ეს კვლევა იქნება დამხმარე მასალა გადაწყვეტილების მიმღებთათვის. ამჯერად კი ჩვენი უპირველესი ამოცანაა, გავაგრძელოთ ინფორმაცია, რომ იწყება ამ პროექტის განხორციელება და მოვიზიდოთ ყველა დაინტერესებული პირი განხილვისათვის. მათი რეკომენდაციები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტში“.



მაგდა მალრაძე

პროექტით დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები შეიძლება დაუკავშირდნენ პროექტის მართვის ჯგუფს ელექტრონულ ფოსტაზე:

machabeli@eppm.org.ge
m.mikaberidze@css.ge

ან დააფიქსირონ პოზიცია ორგანიზაციების ვებ-გვერდზე:

www.eppm.org.ge; www.css.ge

და პროექტის Facebook-ის გვერდზე:

https://www.facebook.com/UmaghlesiGanatlisRepormisPlatporma.



რეპტორობის კანდიდატები

ჩემი რეპტორობის შემთხვევაში არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას!

ბლიზ-ინტერვიუ აკადემიკოს ლადო კაკაპასთან

— უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ოფიციალურად 12 კანდიდატურაა, ამ ეტაპზე, დარეგისტრირებული. კანდიდატთაგან ბევრია მეცნიერული ღვაწლისა და მეწიერული უნარ-ჩვევების მქონე. თქვენი, როგორც კონკურსში მონაწილე ერთერთი კანდიდატის, აზრით, ასეთი მოცემულობის ფონზე საკმარისია თუ არა ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აკადემიურმა საბჭომ არჩევანის გასაკეთებლად?

— ვფიქრობ, აკადემიურ საბჭოს ხელთ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მის წევრებს მეტ-ნაკლებად ობიექტური შთაბეჭდილება შეექმნათ თითოეული კანდიდატის შესახებ. მათ, აგრეთვე, ექნებათ შესაძლებლობა — მოუსმინონ კანდიდატებს.

— საზოგადოებაში მოარული ხმები თსუ-ში მოქმედი აკადემიური საბჭოს ნდობის შესახებ, გარკვეულწილად, იმიტომ იყო განპირობებული, რომ, საზოგადოების ნაწილის აზრით, საბჭოს წევრები არჩევანის გაკეთებისას იხელმძღვანელებენ საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და თავად აკადემიური საბჭოს წევრთა გადარჩენის პრინციპიდან გამომდინარე და არა მხოლოდ პროფესიონალიზმის მხარდაჭერის მოტივებით. კონკურსში ამდენი მაღალი რანგის სპეციალისტის მონაწილეობა საბჭოს ლეგიტიმაციას, საზოგადოების თვალში, ხელს უწყობს. ახლა მხოლოდ საბჭოს წევრებზე დამოკიდებული — როგორ არჩევანს გააკეთებენ. თქვენი არჩევანის შემთხვევაში, რამდენად მოსალოდნელია საკადრო რეფორმა, რასაც ყველაზე მეტად უფროსის აკადემიური საბჭოს ზოგიერთი წევრი?

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აკადემიური საბჭოს წევრები, თუ მათზე არ განხორციელდა პოლიტიკოსების ან (და) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ზეწოლა, მიიღებენ იმგვარ გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩათვლიან საუკეთესოდ დედა-უნივერსიტეტის მომავლისათვის. რაც შეეხება საკადრო საკითხებს, ჩემი აზრით, ისინი უნდა გადაწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. კერძოდ, აკადემიურ თანამდებობებზე მყოფნი ვერც კი წარმომადგენელია როგორ, ან რატომ უნდა გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტს ახალი რექტორი ეყოლება. ამ თანამდებობათა დაკავება მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილ ვადებში ჩატარებული კონკურსის გზითაა შესაძლებელი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის უშუალო ვალია საკონკურსო კომისიები დააკომპლექტოს მაღალი დონის სპეციალისტებით, რომელთა უმნიშვნელო რეპუტაცია არავისში ეჭვს არ ბადებს, ხოლო თავად კონკურსები ჩაატაროს მაქსიმალური გამჭვირვალების პირობებში.

— თქვენი პრინციპული ხასიათიდან გამომდინარე, საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილის მხრიდან არის მოლოდინი იმისა, რომ საუნივერსიტეტო რეფორმა, რომლის გატარებაც, ალბათ, აუცილებელია, პიროვნულად ბევრს შეეხება. შესაძლოა ძალიან არაეთიკური იყოს ვაჭრობა ამ თემით — რომ თუ არ შეეხება, ამ შემთხვევაში ავირჩევ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი ბევრს აწუხებს. აქედან გამომდინარე, ვთხოვთ, ჩვენი გაზუთის მკითხველს კიდევ ერთხელ განუმარტოთ — რის მოიცავს თქვენთვის ხედავ საუნივერსიტეტო რეფორმის თაობაზე?

— ჩემთვის „ვაჭრობა“, როგორც ასეთი, პრინციპულად მიუღებელია. ყველამ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს და საკუთარ თავსაც! ჩემი რექტორობის შემთხვევაში არ ვაპირებ გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღებას. ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების და ფაკულტეტების როლის გაზრდა. არც ერთი საკითხი, რომელიც ამა თუ იმ ფაკულტეტს შეეხება, არ გადაწყვიტავ ამ ფაკულტეტის საბჭოს, მისი პროფესორებისა და სტუდენტების აზრის გათვალის-

წინების გარეშე. მაგალითად, თუ დადგება მრავალდარგობრივი ფაკულტეტის დაშლის საკითხი, ის გადაწყვიტება მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაკულტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის ხელთ არსებული ფინანსების გათვალისწინებით. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩემი ღრმა რწმენით, რეგულაციური გარდაქმნები განათლებასა და მეცნიერებაში, მხოლოდ და მხოლოდ, ზიანის მომტანია. სწორედ ეს იყო ჯერ კიდევ 2004 წელს ჩემსა და კახა ლომაიას შორის დაპირისპირების მთავარი თემა, და მეც იგივეს ხომ არ გავაკეთებ, რის გამოც ბატონ კახას დაუპირისპირდი? აქედან გამომდინარე, რეფორმები უნივერსიტეტში, ჩემი რექტორობის პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციური ხასიათის იქნება.

ბიოგრაფიული შტრიხები

ვლადიმერ პაპავა დაიბადა 1955 წლის 25 მარტს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-15 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1977 წელს. 1977 წლიდან მუშაობდა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1978-1982 წლებში გახლდათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარი და შემდეგ დასწრებული სწავლების ასპირანტი. 1982 წელს დაუბრუნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა უმცროსი, უფროსი, ნამყვანი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1991 წელს ინსტიტუტის კოლექტივმა აირჩია დირექტორის თანამდებობაზე. 1994 წლის 24 ივნისიდან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით იგი საქართველოს ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან 2000 წლის მაისამდე იმუშავა. 1996-2000 წლებში იგი გახლდათ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი; 2000-2001 წლებში — საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე; 2000-2005 წლებში — ევროპის მეწიერების სკოლის პროფესორი; 2000 წლიდან დღემდე — საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 2003-2005 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი. იმავე წლებში — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე. 2004 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტში. 2004-2007 წლებში იყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 2007-2008 წლებში — იმავე კომიტეტის წევრი. 2005-2006 წლებში გახლდათ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. იმავე წლებში ფულბრაიტის პროგრამით მიწვიეს ვაშინგტონში (აშშ) ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის გადრეკებული საერთაშორისო კვლევების ნიცმეს სკოლის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტში მკვლევრად. 2008 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ვლადიმერ პაპავამ 1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რეგიონის სამშენებლო კომპლექსის მოდელირება სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელთან სისტემაში“, 1989 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივი



წარმოების პროდუქტიულობა და მისი დარგ-თაშორისი ანალიზი“.

1990 წელს სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო ნოდება, ხოლო 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით — პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდება მაკროეკონომიკის სპეციალობით.

1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

გახლავთ 343 სამეცნიერო ნაშრომის (საერთო მოცულობით 653,3 ნ.თ.) — მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სტატიების ავტორი. აქედან 34 სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან, ხოლო 24 — რუსეთის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. საზღვარგარეთ (აშშ, შვედეთი, რუსეთი, საბერძნეთი, აზერბაიჯანი) გამოქვეყნებული აქვს 14 მონოგრაფია. მისი ციტირების ინდექსი „Publish or Perish 4“-ის სისტემით შეადგენს 490-ს. გახლავთ ორი საერთაშორისო და ერთი რუსეთის იმპაქტფაქტორიანი სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის წევრი, ასევე, შემდეგი აკადემიების, საზოგადოებებისა და ასოციაციების წევრი: ეკონომიკური თეორიის მიღწევების საზოგადოება (აშშ, 1990), დანახარჯები-გამოშვების საერთაშორისო ასოციაცია (ავსტრია, 1992), ინფორმაციული საერთაშორისო აკადემია (გაერო, 1994), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია (საქართველო, 1994-2010), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემია (აშშ, 1995), დასავლეთის საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 1996), მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემია (აშშ, 1997), სამეფო ეკონომიკური საზოგადოება (დიდი ბრიტანეთი, 1997), საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოება (აშშ, 1998), ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტი (აშშ, 2006), ამერიკის ეკონომიკური ასოციაცია (აშშ, 2006), ცენტრალური ევროპის შემსწავლელი საზოგადოება (აშშ, 2006), შედარებითი ეკონომიკური კვლევების ევროპული ასოციაცია (იტალია, 2006), ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაცია (აშშ, 2006), პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ამერიკის აკადემია (აშშ, 2006).

წლების განმავლობაში უწევდა სხვადასხვა მოვალეობის შესრულებას: ჟურნალ

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“ — ეკონომიკის სერია, მთავარი რედაქტორი (1992-2005); საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკის სექციის თავმჯდომარე (1992-2003); საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი (1993-2003, 2005 წლიდან დღემდე); მსოფლიო ბანკის ალტერნატიული მმართველი (აშშ, 1994-2000); ჟურნალ „გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები“ რედაქციის წევრი (აშშ, 1997 წლიდან დღემდე); ჟურნალ „საზოგადოება და ეკონომიკის“ რედაქციის წევრი (რუსეთი, 1998 წლიდან დღემდე); ჟურნალ „ცენტრალური აზია და კავკასიის“ რედაქციის წევრი (შვედეთი, 2004 წლიდან დღემდე); ჟურნალ „კავკასია და გლობალიზაციის“ რედაქციის წევრი (შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე); დემოკრატიული გარდაქმნების პროექტის ტრანსატლანტიკური მმართველი ჯგუფის წევრი (აშშ, 2006 წლიდან დღემდე); ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის და სტოკჰოლმის უსაფრთხოებისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტის, აბრეშუმის გზის შემსწავლელი პროგრამის ერთობლივი ტრანსატლანტიკური სამეცნიერო ცენტრის ასოცირებული უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აშშ-შვედეთი, 2006 წლიდან დღემდე); სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი (პოლონეთი, 2007 წლიდან დღემდე); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის თავმჯდომარე (2011 წლიდან დღემდე); საქართველოს ფინანსთა მინისტრის სათათბიროს — მრჩეველთა საბჭოს — წევრი (2013 წლიდან დღემდე).

მიღებული აქვს შემდეგი სამეცნიერო ჯილდოები: 1. საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი ნიგნისათვის „სამრეწველო სანარმოს ორგანიზაცია და დაგეგმვა“ (თანაავტორი გიორგი პაპავა, 1987); 2. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნაშრომთა ციკლისათვის „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელირება (ავტორთა კოლექტივი, 2004); 3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მონოგრაფიისათვის აშშ-ში გამოსული მონოგრაფიისათვის „ნეკროეკონომიკა: პოსტ-კომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ (2008).

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

რეპტორობის კანდიდატი

თსუ-ში „ცისფერი მთების“ პრობლემა უნდა დასრულდეს

ინტერვიუ ისტორიის დოქტორ ბიორბი ქავთარაძესთან

ყველაზე მოულოდნელი მისი ახალგაზრდული ასაკია. გიორგი ქავთარაძე 28 წლისაა, კომუნიკაბელური, უშუალო და მიზანდასახული. უკვე საკმაოდ სერიოზული მიღწევები აქვს სამეცნიერო კარიერაში, თუმცა ყველაზე თამამი განაცხადი მის ბიოგრაფიაში სწორედ თსუ-ის რექტორის არჩევნებში მონაწილეობის სურვილია, რადგან სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაინტერესდა გიორგი ქავთარაძის პერსონით მედია და ფართო საზოგადოება.

რატომ გადაწყვიტეთ თსუ-ის რექტორის არჩევნებში მონაწილეობა?

— დღეს თსუ ძალიან შორს დგას იმ ლიბერალური იდეებისგან და იდეალებისგან, რასაც მისი დამფუძნებელი მამები დაარსების მომენტში აყენებდნენ უნივერსიტეტის წინაშე. მიმართა, რომ მაქვს თეორიული ცოდნა და შესაძლებლობა, რომ უნივერსიტეტში აღორძინდეს ის ფასეულობები, რაც ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს ამ უნივერსიტეტის დაარსების დროს. პირველ რიგში, ეს იყო შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბება. ივანე ჯავახიშვილისა და მისი თაობის ქართველი მოაზროვნეების თაოსნობით მოხერხდა ის, რომ ამ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური სკოლა, დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლა, სხვა ქართული სამეცნიერო სკოლები.

გარდა ამისა, მიმართა, რომ პრობლემა უნივერსიტეტის მართვაში. აქ არ მიმუშავია, მაგრამ ვსწავლობდი 7 წლის განმავლობაში და ვიცი, რა ბიუროკრატიული ბარიერების წინაშე დგანან სტუდენტები, როდესაც ელემენტარული ცნობის აღება ესაჭიროებათ. ჯავახიშვილში, ისე როგორც სხვა უნივერსიტეტებში, არის „ცისფერი მთების“ პრობლემა და მიმართა, რომ ეს უნდა მოგვარდეს. პრობლემა ადმინისტრაციაშიც: არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სათანადო სამუშაო პირობები თანამშრომლებისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ არის ადგილი თანამშრომლებისა და სტუდენტების შესვენებისათვის.

რას შეცვლიდით თქვენი რექტორად არჩევის შემთხვევაში?

— აკადემიური განვითარების კუთხით, ჩემი კონცეფცია ეფუძნება 2012-2013 წლებში შექმნილ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების რე-

ფორმის შემუშავებელი კომისიის მიერ შექმნილ კონცეფციას, რომელიც გია დვალის ხელმძღვანელობით მომზადდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონცეფცია უკვე მიღებულია, მაგრამ ამ კონცეფციაში არის უფრო მეტად მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს არა მარტო თსუ-ის, არამედ მთელი ქართული საგანმანათლებლო სივრცის განვითარება. სამეცნიერო თვალსაზრისით, ეს არის ტენუარის სისტემა, რომელზეც უნდა გადაწყვიტოს და მოხდეს უნივერსიტეტის მოდერნიზაცია. ამისკენ უნდა იყოს ორიენტირებული უნივერსიტეტის განვითარება. ამავე დროს, მიმართა, რომ უნდა შეიქმნას ცალკე განვითარების სამოქმედო გეგმა სტუდენტებისათვის და მის შემქმნაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელი უნივერსიტეტმა. ჩემი გეგმით, პირველ რიგში, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შეისწავლიან დღეისათვის არსებულ მდგომარეობას. აქვე დავამატებ იმას, რომ როდესაც ეს უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა, 1917 წლის 12 მაისს, ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დამაარსებელ კრებაზე განაცხადა: უნივერსიტეტი უნდა იყოს ორიენტირებული ქართული აზროვნების განვითარებაზე და საამისოდ, პირველ რიგში, უნდა შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შევქმნათ სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიწყება უნივერსიტეტის განვითარება. ჩემი სტრატეგია აქეთკენ იქნება მიმართული: პირველ რიგში შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან სტუდენტებისა და ადმინისტრაციის მუშაობის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის დახვეწაზე.

უნივერსიტეტის საბიუჯეტო საკითხებს ნაკლებად ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ უნივერსიტეტს აქვს საიმისო სახსრები და საშუ-

ალებები, რომ ჩემი ხედვის რეალიზება მოკლე დროში შევძლო.

რაც შეეხება უნივერსიტეტისათვის სსიპ-ის სტატუსის მინიჭებას, მიმართა რომ ეს ნორმალური პროცესია, რადგან ქვეყნისა და სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს უნდა პასუხობდეს ყველა უნივერსიტეტი და თუ ჩვენ შევეცდებით მივიღოთ უნივერსიტეტისგან სხვა სახელმწიფო, რასაც ითხოვდა ზოგიერთი პოლიტიკოსი, ეს იქნება აბსურდი და ეს არ პასუხობს უნივერსიტეტის იდეას. ჩვენ გვჭირდება უნივერსიტეტი, რომელიც იქნება ქართულ სახელმწიფოზე ორიენტირებული. ყველამ ვიცი, რომ თსუ არ არის მხოლოდ უნივერსიტეტი, ეს არის საქართველოს უახლესი ისტორიის ერთი დიდი ფურცელი, რომელმაც ლომის წვლილი შეიტანა დღევანდელი ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ინტერესები ძალიან ახლოს უნდა იდგეს ერთმანეთთან.

რა დამოკიდებულება გაქვთ აკადემიური საბჭოსა და, ზოგადად, ამ არჩევნების მიმართ?

— ვგონებ, რომ საბჭოს შესახებ ჩემი აზრი ჩამოყალიბდებოდა ამ კონკურსის განმავლობაში. რაც შეეხება კანდიდატებს, მოხარული ვიქნები, რომ მეტი ღირსეული კანდიდატი იყოს. ამ შემთხვევაში საბჭოს მეტი საშუალება ექნება მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

ბიოგრაფიული შტრიხები

ბიორბი ქავთარაძე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. დოქტორანტურა დაასრულა წინააღმდეგობრივ პირობებში უნივერსიტეტში. 2009 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას



ენევა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში: იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული მასწავლებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ისტორიის ექსპერტი; 2008-2009 წლებში რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ილია ჭავჭავაძის როლი ქართული ერის გადარჩენაში“ მეცნიერ-მკვლევარი. მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში და სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტებში. არის 15-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. 2003-2005 წლებში დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ფრიაღონების სტიპენდიით, 2008 წელს რუსთაველის ფონდის ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიით. კარგად ფლობს რამდენიმე ენას. ამჟამად არის ქართული უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.

ჩემი ბებრის მიხედვით, პირველ რიგში, სამართლიანობა უნდა აღდგეს!

ინტერვიუ პროფესორ ბიორბი ბარამიძესთან

პროფესორმა გიორგი ბარამიძემ გადაწყვიტა კენჭი იყაროს თსუ-ის რექტორის თანამდებობაზე და უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია წარმოადგინა. „აუცილებელია უნივერსიტეტი დაუბრუნდეს მათ, ვისაც იგი ეკუთვნის: სტუდენტებსა და პროფესორებს, ხოლო მათი საშუალებით — ქართველ ერს, საქართველოს მოქალაქეებს და საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებას. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია: უნივერსიტეტს მიენიჭოს ქვეყნის ავტონომია, პროფესორს — აკადემიური თავისუფლება, სტუდენტს — საუნივერსიტეტო ინსტიტუციის სრულყოფილი წევრობა“, — ეს არის პროფესორ გიორგი ბარამიძის სამოქმედო გეგმა.

პროფესორ გიორგი ბარამიძის მიხედვით, რომ უნივერსიტეტი გამუდმებით უნდა იღვწოდეს უნივერსალური ცოდნის მოპოვებისთვის, არ უნდა იზღუდებოდეს პოლიტიკური და, მით უმეტეს, პარტიული საზღვრებით. იგი თავისი პრინციპულობით და მიუკერძოებლობით აპირებს უნივერსიტეტში სამართლიანობის აღდგენას, უნივერსიტეტის რეალურ დეცენტრალიზაციას და გავრცელებას, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა უნივერსიტეტში დამკვიდრდეს აკადემიური მიუკერძოებლობა, როგორც უნივერსიტეტის სტაბილური განვითარების გარანტი.

„პროფესორი ბარამიძე არის უაღრესად გამორჩეული მკვლევარი, რომლის მოღვაწეობა ფილოსოფიისთვის ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს. მისი ფილოსოფიური მოღვაწეობა უმაღლეს ალარებას იმსახურებს“, — ასე აფასებს პროფესორ გიორგი ბარამიძის სამეცნიერო მოღვაწეობას მსოფლიოს ერთერთი ყველაზე მაღალრეიტინგული მოაზროვნე დოქტორი ბოხუმის რუბის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორი — ბურკჰარდ მოიზიძი.

მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი მიმართულებებია თეორიული ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, მეტაფიზიკა, ქრისტიანული მისტიკა, პოლიტიკურად ორიენტირებული ფილოსოფიური თეოლოგია და რწმენის შესახებ მეცნიერება. იგი შესანიშნავად იცნობს ანგლო-ამერიკულ, გერმანულ, ფრანგულ და იუდეურ აზროვნებას.

პროფესორი გიორგი ბარამიძე თვლის, რომ უნივერსიტეტის რექტორობა უდიდესი პასუხისმგებლობაა ერისა და ქვეყნის წინაშე და მისი მართვა დაფუძნებული უნდა იყოს სამართლიანობასა და უმაღლეს კომპეტენციაზე.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, რა იდეოლოგიის გამტარებელი იქნება პროფესორი გიორგი ბარამიძე თსუ-ის რექტორის პოსტზე და რა ნაბიჯებს გადადგამს აპირებს იგი უნივერსიტეტის განვითარებისათვის.

ბატონო გიორგი, რატომ გადაწყვიტეთ მონაწილეობა მიიღოთ თსუ-ის რექტორის არჩევნებში?

— უნივერსიტეტს დღეს შეეღობა უნდა! უნივერსიტეტი დამორდა თავის იდეას და

ალარ არის ის, რაც უნდა იყოს. მარტივ მაგალითის მოგიყვანთ: თსუ-ში დღეს ადმინისტრაციის 3000-მდე თანამშრომელია, როცა პროფესორების რიცხვი მხოლოდ 640-ია, რაც ანომალური შემთხვევაა. დღეს უნივერ-

სიტეტი აღარ არის... უნივერსიტეტი პროფესორებისა და სტუდენტების ერთობაა — ეს მომენტი კი აბსოლუტურად დარღვეულია. რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ წინა რეჟიმი კორუპციული იყო და უნივერსიტეტის შიგნით დიდი გასაქანი მიეცა აკადემიურ კორუფციას. კოლეგები ერთმანეთს მიკერძობით, არაობიექტურად, მერკანტილური მიზნებიდან გამომდინარე აფასებენ, არ ფასობს პროფესიონალიზმი, აკადემიურ თანამდებობებს დისკვალიფიცირებული სპეციალისტები იკავებენ...

თქვენ ახლა ზოგადად საუბრობთ, ამ ფაქტების დადასტურებელი კონკრეტული მაგალითები თუ გაქვთ?

— რა თქმა უნდა, კონკრეტული მაგალითებიც მაქვს. ეს არ არის ბრალდება, ეს არის ჩემი, როგორც დამოუკიდებელი პროფესორის შეხედულება, რომელსაც აკადემიური თავისუფლება გარანტირებული აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით. ამ საკითხებზე უკვე დიდი ხანია საჯაროდ ვსაუბრობ პრესითა და ტელევიზიით. მთავარი მოტივაცია, რამაც გადამანწყვეტინა მონაწილეობა მიმელო რექტორის არჩევნებში, არის სტუდენტების და პროფესორის დიდი ნაწილის მხარდაჭერა. ჩემი კონცეფციის მიხედვით, ამას მოჰყვება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სხვადასხვა მიმართულებით.

რას შეცვლიდით უნივერსიტეტში?

— უნივერსიტეტი უნდა იყოს სამართლიანი ინსტიტუცია, დღეს უნივერსიტეტი მთლიანად დგას უსამართლობის საფუძ-

ველზე და ამას ვამბობ აკადემიური თვალსაზრისიდან გამომდინარე. საკმაო ხანია, რაც ხმამაღლა ვლაპარაკობ აკადემიური კორუფციის შესახებ. როცა ძირი ეთხრება პროფესორის აკადემიურ თავისუფლებას, ძირი ეთხრება ხარისხსაც.

დღეს უნივერსიტეტში აკადემიური თავისუფლება არ არსებობს?

— უნივერსიტეტი უნდა იყოს პროფესორების და სტუდენტების ერთობა და მე გეკითხებით თქვენ, იმ შემთხვევაში, როცა ჩვენს წინაშე ადმინისტრაციული მონსტრი 3000 თანამშრომლით, ეს მაშინ, როცა პროფესორთა რიცხვი მხოლოდ 640 შეადგენს, ეს ხომ, უბრალოდ, დაუჯერებელია...

მაგრამ ეს 3000 თანამშრომელი იმისთვის ზრუნავს, რომ სწავლის პროცესი და სტუდენტთა მომსახურება ხარისხიანი და ეფექტური იყოს?

— დიახ, იდეის მიხედვით ასე უნდა იყოს, მაგრამ ეს მათემატიკურ თანაფარდობაშიც უნდა აისახებოდეს. აქ კი პირიქითაა, სტუდენტები და პროფესორები ემსახურებიან ადმინისტრაციას, და ეს ასეა. ამის თქმის უფლება მაქვს, ეს არის ჩემი აკადემიური თავისუფლების გამოხატულება. ამ უნივერსიტეტში 1979 წლიდან 2012 წლის ზაფხულამდე ემოღვაწეობდა შარშან, კონკურსის საფუძველზე დამითხოვეს. ჩემი საქმე საკაცო წესით გავასაჩივრე. სასამართლოს საბოლოო განაჩენი ჯერ არ გამოუტანია.



რეპტორობის კანდიდატები

ჩემი გემის მიხედვით, პირველ რიგში, სამართლიანობა უნდა აღდგეს!

ინტერვიუ პროფესორ ბიორბი ბარამიძესთან

მეოთხე გვერდიდან

ჩემი მიზანი აქ დაბრუნება კი არ არის, არამედ ის, რომ უნივერსიტეტი დაუბრუნდეს მათ, ვისაც ის ნამდვილად ეკუთვნის — სტუდენტებსა და პროფესორებს და მათი საშუალებით მთლიანად საზოგადოებას, საერთაშორისო აკადემიურ თანამეგობრობას. აი, ეს უნდა მოხდეს! ინსტიტუცია უნდა იყოს სამართლიანი, უნივერსიტეტი უსამართლო ინსტიტუცია ვერ იქნება!

როგორ უნდა გაკეთდეს ეს?

— ქართული საზოგადოებისა და საერთაშორისო მეგობრობის დიდი ნაწილი ხედავს იმას, რომ წლების განმავლობაში უნივერსიტეტიდან ხდებოდა პროფესორის დაუსაბუთებელი, უკანონო დათხოვნა და ეს ფასდება როგორც რეპრესიული ინსტიტუცია, რომელიც საბოლოო ჯამში ახდენს სტუდენტების დისკრიმინაციას და პროფესორის თანდათანობით, გეგმაზომიერ გაძევებას აკადემიური სივრციდან. უნივერსიტეტის კედლებში გასაქანი ეძლევა ინტელექტუალური სივრცის მეკობრეობას და პლაგიატს. ის, რის მიხედვითაც დღეს უნივერსიტეტში ე.წ. კონკურსები ტარდება, ეს ხომ საერთოდ ნონსენსია! დაუმეგობრებელი კომისიის შემადგენლობაში შესული არასპეციალისტები აფასებდნენ სპეციალისტს. ბოლო წლებში უკვე ე.წ. „ტროიკები“ შემოიღეს ადმინისტრაციის წევრების სახით, რომლებიც პირდაპირ დირექტივებს ასრულებდნენ და წვევებდნენ პროფესორის აკადემიურ სივრცეში ყოფნა-არყოფნის საკითხს, რასაც სხვა არაფერი ჰქვია აკადემიურ ენაზე, თუ არა დევნა. ამიტომ ჩემი გემის მიხედვით, პირველი, რაც უნდა მოხდეს, უნდა აღდგას სამართლიანობა. ვინც არ უნდა გახდეს რექტორი, მან პირველად სამართლიანობა უნდა აღადგინოს. ეს უნივერსიტეტმა გარე ძალების ჩარევით კი არ უნდა გააკეთოს, არამედ თვითონ გამოიჩინოს კე-



თილი ნება და უკან დაბრუნოს ყველა ის თანამშრომელი, რომელიც უსამართლოდ გააძევეს უნივერსიტეტიდან და უნდა აღადგინოს ყველა ის აკადემიური დანაყოფი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე უკანონოდ და უსამართლოდ იქნა გაუქმებული. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამას არ უნდა მიეცეს რეგანსისტული ხასიათი. ეს ადამიანები ერთად დასხდნენ და საერთო საუნივერსიტეტო კონსენსუსის საფუძველზე მოილაპარაკონ, თუ როგორ ჩაატარონ ნამდვილად ობიექტური აკადემიური არჩევნები და კონკურსები. გარეშე რეფერირების გზით უნდა გაკეთდეს კონკურსზე წარდგენილი ნაშრომების ექსპერტიზა, ეს ნაშრომები უნდა შემომდგეს პლაგიატზეც, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს სამეცნიერო სფეროში.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს უნივერსიტეტში ნამდვილი პროფესორნაღები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აღარ დარჩნენ, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის...

— რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში ყოველთვის იღვწოდნენ და ახლაც იღვწიან მაღალკვალიფიციური პროფესორები, რომლე-

ბიც თითქმის მარტონი დარჩნენ სისტემური გადაგვარების არნახული მასშტაბების პირისპირ. ყოველივე ამის შედეგად ძირი გამოეთხარა უნივერსიტეტის ავტონომიურობასა და პროფესორის აკადემიურ თავისუფლებას. უნივერსიტეტმა უნდა დაიცვა ავტონომია. უნივერსიტეტის ავტონომია არ ნიშნავს უპასუხისმგებლობას, ანდა პარტიულ პასუხისმგებლობას. იგი ანგარიშვალდებულია არა რომელიმე პარტიის, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე, როცა უზრუნველყოფილი იქნება როგორც ე.წ. გარეგანი, ისე შინაგანი დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს პროფესორის თავისუფლებას საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის სტრუქტურებისგან.

ახალი საუნივერსიტეტო მოწესრიგების ცენტრი სტუდენტი გახდება. დღეს სტუდენტები თავს უნივერსიტეტის სტრუქტურებისა და ადმინისტრაციის დანამატად განიცდიან, რომელსაც შეგიძლია ისე მოეპყრო, როგორც გინდა. მათზე ხორციელდება ფსიქოლოგიური და სხვა სახის ზეწოლა და სტუდენტები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში გრძნობენ თავს. სწორედ ამ სიტუაციას უნდა დაეცვას წერტილი. სტუდენტი არის ზუსტად ისეთივე წევრი საუნივერსიტეტო კორპორაციისა, როგორც პროფესორი. როცა ეს ასე არ არის, ამას ჰქვია უნივერსიტეტის გახრწნა, გარყვანა და კორუფციის ქაობში ყოფნა.

უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებასა და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აქტიურ ჩართულობაზე. უნივერსიტეტი არა მარტო ჩვენი შვილების მომავალია, არამედ ის სახელოვანი წარსულის ძეგლია, რომელსაც სამართლიანობა უნდა დაუბრუნდეს და გახდეს ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც ღირსეულად უნდა ატაროს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის სახელი. ვერაფერს ვერ უნდა ბედავდეს, შეზღუდოს მისი აკადემიური თავისუფლება!

და ბოლოს, მოვუწოდებდი თსუ-ის რექტორობის ყველა კანდიდატს, რომ გამოაქვეყნონ თავიანთი კონცეფციები და გააცნონ ისინი ფართო საზოგადოებრიობას.

ბიობრაფიული შტრიხები

გრიგოლ რობაქიძისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ბიორბი ბარამიძე** დაიბადა 1957 წელს ლანჩხუთში, დაამთავრა სოფელ ლესის საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1979 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე. 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1094 წელს სადოქტორო დისერტაცია და გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დოქტორი ჰუმანიტარულ დარგში. 1986-1996 წლებში იყო ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, ხოლო 1996-1999 წლებში ამავე ჯგუფის ხელმძღვანელი. 1999-2004 წლებში იგი ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარეა. გიორგი ბარამიძე 2000-2012 წლებში თსუ-ის პროფესორი გახლდათ. გამოქვეყნებული აქვს 2 ორიგინალური მონოგრაფია, გერმანული, ინგლისური, ფრანგული ენებიდან თარგმნილი აქვს 4 მონოგრაფია და არის 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი. თავისუფლად ფლობს რამდენიმე უცხო ენას და აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში.

ლაბირინთიდან დახსნის გზა ორგვარია — ერთია „ბრმა სვლა“ და მეორე — რწმენით გამოსვლა

ინტერვიუ პროფესორ ილია თაყვალიძესთან

მთელი ახალგაზრდობა მფარველობის და ხელშეწყობის გარეშე იარა დიდი სამეცნიერო ასპარეზის მიმე აღმართზე, არადა ხელშეწყობა ფაქტორად ილია ვეკუას შვილიშვილობა და ალბერტ თავხელიძის ძმიშვილობაც კმარაოდა. თუმცა დამოუკიდებლად გაკვალულ გზაზე სიარული და ბრძოლა არჩია — მას ახლობლების ზნეობრივი მაგალითები ხელის გულზე ედო და, ამდენად, სხვა არჩევანის უფლებაც არ მისცა თავს. მეცნიერებაში საკუთარი ბილიკი გაკვალა და, მიუხედავად იმისა, რომ, მისი პოტენციალის პატრონი, დღესდღეობით უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის სტატუსს ვერ გასცდა, მთელი პასუხისმგებლობით აგრძელებს თავის საქმეს სტუდენტებისგან სიყვარულით გარემოცული. თუმცა მანამდე ხან სრული პროფესორი, ხან დირექტორის მოადგილე, ხან დეკანის მოადგილე, ხანაც განყოფილების გამგე და კოორდინატორი იყო. საქმეს მეცნიერებისგან არასდროს მოუწყვეტია. მისი ორიენტირი სამეცნიერო კვლევითი პროცესის მსოფლიო მასშტაბებთან მიახლოებაა, რაც, ამ შემთხვევაში, დიდი ილია ვეკუას შთამომავლის ნააზრევს უდავოდ ჰგავს. ამ იდეებს მისი ფართო საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტებიც უწყობს საფუძველს. საუნივერსიტეტო ცხოვრების ფერხულში ჩაბმულს დღეს მხოლოდ იმიტომ ამოძრავებს რექტორის პოსტის დაკავების სურვილი, რომ წინააღმდეგობრივი ბატალიები ჩაცხრეს და მშვიდ გარემოში შეეღობათ ერთად სიბრძნით იპოვოს გამოსავალი — ეს ჯერ კიდევ 2011 წელს პატრიარქთან პირისპირ საუბარმა შთააგონა და მას შემდეგ ყველა პრობლემის გადაჭრისთვის მხოლოდ ინტელექტუალურ გზას ეძებს. კერძოდ კი, რის შეცვლას აპირებს და რა ინიციატივები აქვს პროფესორ ილია თავხელიძეს, ამის თაობაზე ვაზებთ „თბილისის უნივერსიტეტს“ გულახდილად ესაუბრა.

თქვენ გადაწყვიტეთ რექტორობა. რა მოტივაცია ახლავს თქვენს სურვილს?

— მინდა რომ, უნივერსიტეტში, მომავალში, ხანგრძლივი პერიოდით, დაისადგუროს ჭეშმარიტად მეცნიერულმა, კოლეგიალურმა, მშვიდმა აკადემიურმა, სწავლის სურვილით გაჯერებულმა გარემომ. მსურს, უნივერსიტეტს შევთავაზო არა მარტო ჩემი პირადი გამოცდილება, არამედ ჩემ დიდ ოჯახში დაგროვილი საკმარისად დიდი გამოცდილება და „უნივერსიტეტელბთან“ ერთად გადაჭრა ყველა საჭირობო საკითხი.

კულტურულად თქვენ, როგორც რექტორობის კანდიდატს, მეცნიერებაში წარმატებულად მოგიხსენიებენ და ამ ფაქტორს ყველაზე მეტად უსვამენ ხაზს. საინტერესოა, რა სამეცნიერო გამოცდილება გაქვთ?

— გმადლობთ ასეთი შეფასებისთვის. ალბათ ყველაზე მეტად ამ კუთხიდან დანახვა ჩემთვის ყველაზე ღირებული, რადგან წლები სწორედ მეცნიერებას და შთამბეჭდავი საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას მივუძღვენი. მართალია, 1982 წლიდან 1990 წლამდე ჩემი სამეცნიერო კარიერა და ურთიერთობები ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბს არ გასცდენია, მაგრამ კონტაქტი ჩემს საზღვარგარეთელ კოლეგებთან არასდროს გამიწყვეტია. იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდში ჩემს ძმას გერმანელი ქალის ცოლად მოყვანა უნდოდა, „არასაიმედო პირად“ ვიყავი მიჩნეული და ამ მიზეზით ბევრი საინტერესო და სამეცნიერო კონტაქტებისთვის საჭირო ბევრი ვიზიტი გადაიღო. 2 წლით მიწვეული ვიყავი საფრანგეთის უნივერსიტეტში სამუშაოდ XX საუკუნის ერთერთი



უდიდესი მათემატიკოსის — ჟაკ ლუი ლიონის ლაბორატორიაში (ჟაკ ლუი ლიონს პირადად ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი მოხსენება მოსმენილი), მაგრამ, სამუშაოდ, ჩემი დიდი კოლეგისთვის იმ პერიოდში პასუხის გაგზავნაც კი ვერ მოვახერხე. ასევე, ჩამუშალა შეიდეგთან მიწვევა ტრინიტში, რომელსაც მთავაზობდა ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი აბუ სალამი. მაშინაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზის გამო მითხრეს ნასვლაზე უარი, რის შემდეგაც საერთოდ შეწყვეტი საქართველოდან გასვლის ყოველგვარი

მცდელობა. მიუხედავად ამისა, მქონდა შესანიშნავი კონტაქტები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ასევე, სანკტპეტერბურგის, ნოვოსიბირსკის მსოფლიოში აღიარებულ სკოლებთან. 1993 წელს, რეალურად, პირველად მომეცა საშუალება სამეცნიერო-ზოგადოების სტუმრის სტატუსით ვესმინსტერის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების, სადაც ვაგაკეთე რამდენიმე მოხსენება და ვაგეცანი იმპერიულ კოლეჯის მუშაობას. შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი და მჭიდრო



რეპტორობის კანდიდატები

ლაბირინთიდან დახსნის გზა ორბვარია — ერთია „პრმა სვლა“ და მეორე — რწმენით გამოსვლა

ინტერვიუ პროფესორ ილია თავხელიძესთან

მეხუთე გვერდიდან

თანამშრომლობა რომის უნივერსიტეტში „La Sapienza“, სადაც თავიდან ორი პროფესორი ვმუშაობდით — ცნობილი იტალიელი პროფესორის გაეტანო ფიკერას მონაფე, პროფესორი პაოლო ემილიო რიჩი და მე. თუკი თავიდან ჩვენი მოღვაწეობა დიფერენციალური განტოლებების სფეროში დაიწყო, შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა ნელ-ნელა გადაიზარდა სხვადასხვა თემების კვლევაში. ჩვენს საერთო მუშაობას, ძირითადად, აფინანსებდა ორი იტალიური გრანტი (C.N.R. — იტალიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და თ — „La Sapienza“-ს უნივერსიტეტის გრანტი). ამ კოლაბორაციაში ჩაერთნენ პროფესორები: კატერინა კასიზა, სერჯიო კამიცი... შემდგომში ჩვენი ეს თანამშრომლობა საერთაშორისო ფარგლებს გაცდა და შეიცვალა პროფილიც — დიფერენციალური განტოლებების სფეროდან გადავიდით გეომეტრიულ საკითხებზე და ამ პროცესში ჩაერთნენ ბელგიელი, ჰოლანდიელი და ფრანგი კოლეგები. ჩვენი თანამშრომლობა მათემატიკის გარდა მოიცავს ამ მათემატიკური შედეგების გამოყენებას ტექნიკური მეცნიერებების დარგებში. მაგალითად, ანტიკენების ფორმების ძიებაში, ბიოლოგიაში, ქიმიამში... ამ ერთობაში, ბოლოს, ჩართო ქართველი მეცნიერ-მედიკოსი მამანტი როგავა, რომელიც ესპანელი და გერმანელი კოლეგების ორიგინალურ თვალსაზრისს იზიარებს და ამის საფუძველზე იქმნება სრულიად ახალი მიმართულება. სწორედ ასეთმა გამოცდილებამ მიკარნახა — თსუ-სთვის თავი შემთავაზებინა რექტორობის კანდიდატად. დიდი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება ბევრმა ქართველმა ახალგაზრდა და მსცოვანმა მეცნიერმა გაუგოს გემო საერთაშორისო თანამშრომლობას. თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ პრობლემებით არ ვიქნები „დატვირთული“ რექტორის პოსტზე ჩემი არჩევის შემთხვევაში.

— ამჟამად რა მიმართულებით მუშაობთ?

— ამჟამად ვანარმოებ ძალიან საინტერესო კვლევას მათემატიკაში, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. მეზიუს-ლისტინგის ტიპის ობიექტებთან, რომელიც ძალზე რთული სტრუქტურის არის. აღმოჩნდა, რომ ამ ობიექტებს დიდი მოლეკულების სტრუქტურასთან მჭიდრო კავშირი აქვს. კვლევა ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, ინტენსიურად მიმდინარეობს, რაშიც ჩაბმულნი ვართ მე და რამდენიმე კოლეგა იტალიიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან... უკვე ძალზე სერიოზული ნაშრომი ერთერთ პრესტიჟულ ყურნალში გამოქვეყნდა, რასაც საინტერესო გამოხმაურებაც მოჰყვა. ჩვენ ახლა სრულიად ახალი ფენომენების და ფაქტების ძიებაში ვართ. ეს კვლევა ჯერ საწყის ეტაპზეა, მაგრამ იმდენად ეფექტური შედეგები გამოგვდის, რომ 2012 წელს გამართულ კონფერენციაზე — „მათემატიკა და ხელოვნება“ ბელგიის სამეფო აკადემიაში ჩვენი კვლევითაც, როგორც ხელოვნების ნიმუში, ისე დაინტერესდნენ.

— რა კონცეფციით მოდიხართ რექტორის პოსტზე? რას შეცვლიდით უნივერსიტეტში თქვენი რექტორად არჩევის შემთხვევაში?

— ეს ყველაზე რთული კითხვაა და პასუხის გასაცემად ყველა პრეტენდენტმა დავენერეთ ჩვენული ხედვა — თანაც ყველამ იმდენი, რამდენსაც ვთვლიდით მინიმალურად. უნივერსიტეტი საწყობი არ არის, სადაც გამგის შეცვლის შემდეგ ახალი ინვენტარიზაცია შეიძლება დაიწყო და ყუთები თავიდან დალაგდეს. ეს არის ქვეყნის ნამყვანი ინტელექტუალური სამყედლო და აქ თავმოყრილი არიან ნიჭიერი და ძალზე სენსიტიური ადამიანები, ამიტომ ნებისმიერი პრობლემის „გადაჭრა“ უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე და ყველა მხარესთან ხანგრძლივ მსჯელობასა და მეცნიერულად დასაბუთებულ არგუმენტებზე დაყრდნობით, თანაც ძალზე დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოში!

მთავარი პრინციპი ერთია — უნივერსიტეტი ქართველი ერის საგანძურია! ჩვენ, ყველამ, მიუხედავად საკუთარი მიღწევებისა მეცნიერებაში, პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში, ერთი პატარა აგური უნდა დავდოთ მის საკეთილდღეოდ. ასე იცხოვრა ბატონმა ილია ვეკუამ, ბიძაჩემმა — ალბერტ თავხელიძემ, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში აღიარებული ლექტორი იყო და დედაჩემმაც. ბატონი ილიასგან რაც ვისწავლე, ის იყო, რომ თუკი ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მოხვდები, ვილაღის სახით „გამონაკლისი“ არ უნდა დაუშვა, რათა კანონი და წესი ყველასთვის ერთი იყოს. თუ „გამონაკლისს“ დაუშვებ, მერე შეიძლება სხვაგვარ მოგთხოვოს გზიდან გადახვევა. ამიტომ, თავიდანვე არ უნდა შეცდე. ეს პრინციპი აქედანვე გამჟღავნა ჩემში და თუკი რამე მამოძრავებს (ჩემს პატარა ამბიციას ვგულისხმობ), ესაა ფიქრი — როგორ ვემსახურო ჩვენს უნივერსიტეტს. მოდით, მოუხმეთ გონს და ვიპოვოთ პრობლემების გადაჭრის ინტელექტუალური გზა!

— მოგხსენებთ, 2006 წელს საუნივერსიტეტო რეფორმის შედეგად ბევრი პროფესორი აღმოჩნდა უნივერსიტეტს მიღმა — ზოგმა პროტესტის ნიშნად არ მიიღო კონკურსებში მონაწილეობა, ზოგი უცერემონიოდ დაბოხდა. პროფესორის ამ ნაწილს დღეს გაუჩნდა იმის მოლოდინი, რომ უნივერსიტეტის ახალი რექტორი მათ აქ დააბრუნებს. თუ გიფიქრიათ ამ თემაზე?

— ემოციურად, ალბათ, მომგებინა ის პასუხი, რომ „ამ საკითხს გადაწყვეტ“, მაგრამ ეს პრობლემა არც თუ ისე მარტივად მოსაგვარებელია. უნდა გამოირიცხოს დაპირისპირება წლების მანძილზე კონკურსებში მონაწილეებს, მასში სამართლიანად გამარჯვებულ პროფესორებსა და იმ პროფესორის ნაწილს შორის, რომლებმაც თავის დროზე პროტესტის ნიშნად კონკურსებში მონაწილეობაზე უარი თქვეს. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას არსებულ იურიდიულ სივრცეში.

— უნდა ჰქონდეს თუ არა უნივერსიტეტის რექტორს მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, რათა მან გარკვეული ცვლილებები გაატაროს?

— უნივერსიტეტი იმხელა ორგანიზაციაა, რომ შეუძლებელია იგი მართოს მთავრობასთან გაბუტულმა ადამიანმა, მით უფრო, რომ უნივერსიტეტს სახელმწიფო სტატუსი აქვს. მთავარია, მკაფიოდ გაიმიჯნოს — რას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი არის სახელმწიფო და რა იგულისხმება უნივერსიტეტის ავტონომიურობაში. აი, ეს არის ის ქვაკუთხედი, რომელიც უნივერსიტეტებმა მთავრობასთან ერთად მშვიდ გარემოში უნდა გადაეწყვიტონ. თავისუფლება დაარსების დღიდან ჰქონდა უნივერსიტეტს და ამის წართმევის მცდელობაც კი არ უნდა ჰქონდეს ვინმეს გაფიქრებული, მაგრამ უნივერსიტეტმა ბრძნული პოლიტიკა უნდა შესთავაზოს სახელმწიფოს, სანამ მისი მხრიდან გამოიცემა უკვე გამზადებული კანონი.

— როგორც მათემატიკოსს, ცხოვრებისეული ლაბირინთიდან გამოსვლა თუ შეგიძლიათ?



ფოტოზე: ილია ვეკუა და ილია თავხელიძე

— ლაბირინთიდან გამოსვლის გზაზე როცა ვსაუბრობთ, მოცემულობა ასეთია: გვაქვს ორი ალგორითმი. პირველი არის ე.წ. მარცხენა ხელის წესი — თქვენ შეგიძლიათ თვალდახუჭული ნებისმიერი ლაბირინთიდან გამოხვიდეთ, უბრალოდ უნდა მიადოთ მარცხენა ხელი კედელს და ბოლომდე იაროთ ისე, რომ კედელს ეს ხელი არ მოაშოროთ (ამას ჰქვია „ამონურის მეთოდი“) და არის მეორე გზა — ეს არის ჩემთვის პატრიარქის სიტყვები: არასდროს თქვა, რომ იმედი გადაიწურა, ვილოცოთ და უფალი გამოსავალს გიჩვენებთ. ასე რომ, ლაბირინთიდან დახსნის გზა ორგვარია — ერთია „პრმა სვლა“ და მეორე — რწმენით გამოსვლა. მე უფრო მეორეს ვემზობი. ლაბირინთიდან გამოსავალი ყოველთვის არსებობს; თუ არ არსებობს, მაშინ იმას ლაბირინთი აღარ ჰქვია და ის უკვე ჩაკეტილი წრეა.

— დაუბრუნებთ თუ არა უნივერსიტეტს წარსულ იმიჯს?

— რექტორი, როგორც კანონი გვეუბნება, არის უნივერსიტეტის სახე, მაგრამ ყველა რექტორი არსებული საზოგადოების ნაწილია. ამიტომ როდესაც უნივერსიტეტის ადრინდელი სახის დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, არ დავგავიწყდეს, რომ ივანე ჯავახიშვილის გვერდით იდგა ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერების მთელი პლეადა, რომელთაგან ყველა თითო აგურს დებდა უნივერსიტეტის იდეის გარემოში. მე ჩემი ნილი აგურის დადებას შევცდები, მაგრამ იდეის განხორციელება არ შეიძლება მხოლოდ ერთ პიროვნებაზე იყოს დამოკიდებული. ყველამ, ზოგმა საღვთო კურსების კვალიფიციურად წარმართით, ზოგმა დეფიციტად მონათლული კარგი სახელმძღვანელოების თარგმნით, ზოგმაც არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებით და არა დაფარვით უნდა შეძლოს უნივერსიტეტის უმაღლეს დონემდე აყვანა, რადგან ეს უნივერსიტეტი იმსახურებს პირველობას.

ბიოგრაფიული შტრიხები

ილია თავხელიძე დაიბადა ქალაქ თბილისში 1955 წლის 6 თებერვალს მეცნიერთა ოჯახში. 1968 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. № 23 საშუალო სკოლა, 1971 წელს კი სწავლა განაგრძო და საშუალო განათლების მიღება დაასრულა თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში. ამავე წელს, მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ჩაირიცხა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ხუთი წლის შემდეგ, 1976 წელს წარჩინებით დაასრულა სწავლის სრული კურსი და იქვე ჩაირიცხა მათემატიკის განყოფილების ასპირანტურაში დიფერენციალური განტოლებების სპეციალობით (ხელმძღვანელი - აკადემიკოსი ო. ოლიინიკი). ასპირანტურაში, სწავლის ვადის დასრულებამდე, 1979 წლის 30 ნოემბერს დაიცვა საკანდიდატო დის-

ერტაცია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის №1 სპეციალიზირებულ საბჭოზე (თავმჯდომარე — აკადემიკოსი ა. კოლმოგოროვი), თემა: „სენ-ვენანის პრინციპი და მაღალი რიგის ელიფსურ განტოლებათა ამონახსნების ანიმპტოტიკა“.

1980 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1984 წელს გახდა ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1988 წლიდან 2005 წლის მარტამდე გახლდათ თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში და 1999 წლიდან ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილებასაც.

1990 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მომენიჭა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება.

2004 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის Ph.D. 01.08 №8 სადისერტაციო საბჭოზე (თავმჯდომარე — აკადემიკოსი გ. ხარატიშვილი), თემა: „ერთი კლასის მაღალი რიგის ელიფსურ განტოლებათა ამონახსნების აპრიორული ენერგეტიკული შეფასებები“.

1976 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს 72 სამეცნიერო ნაშრომი და 5 ლექცია-თა კურსის ინტერნეტული ვერსია. შრომების ნაწილი შესრულებული აქვს ანტიგერმანის (ბელგია), ბურგუნდიის (ლე კრეზო, საფრანგეთი), დელფტის ტექნოლოგიური და ნეიმეგენის რადიუსის (ჰოლანდია), ვილნუსის (ლიტვა), კიოლის (კორეა), სალერნოს, რომის „La Sapienza“ და რომის ბიოსამედიცინო (იტალია) და მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის (რუსეთი) უნივერსიტეტებისა და მოსკოვის ნ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

1984 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიენიჭა ილია ვეკუას პრემია ნაშრომთა ციკლისათვის „პოლიპრომონიული განტოლებების ამონახსნთა ზოგიერთი თვისების შესახებ“.

1999 წელს გახდა გამოფენა-კონფერენციის SoITEC'99 მეორე პრემიის ლაურეატი.

მათემატიკურ მეცნიერებაში მიღებული მაღალი დონის შედეგებისათვის 2009 წელს დაჯილდოვდა უკრაინის მათემატიკოსთა კონგრესის ნიკოლოზ ბოგოლიუბოვის სახელობის მემორიალური მედლით.

ილია თავხელიძე 1980 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1980-2006 წლებში იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მონვეული ლექტორი; 2006, 2009 და 2012 წლებში კონკურსების შედეგად აირჩიეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

2005 წლის მარტიდან მისის ჩათვლით, სამი თვის განმავლობაში, გახლდათ უნივერსიტეტის კოორდინატორი. 2005 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

1998 წლიდან 2007 წლის ჩათვლით, როგორც მინვეული ლექტორი, სხვადასხვა კურსებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-ის ასპირანტურისა და „THE WORLD FEDERATION OF SCIENTISTS“ გრანტის მქონე სტუდენტების მუშაობას; მინვეული იყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტად; აზერბაიჯანის ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, მ. ლომონოსოვის

რექტორობის კანდიდატები

ლაბირინთიდან დასნის გზა ორგანიზაცია — ერთია „პრეზ სვლა“ და მეორე — რწმენით გამოსვლა

ინტერვიუ პროფესორ ილია თავხელიძესთან

მეექვსე გვერდიდან

სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. 1988-2008 წლებში გახლდათ სამი მათემატიკური ჟურნალის რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე და ტექნიკური რედაქტორი.

1997 წლიდან 2005 წლამდე სხვადასხვა ფორმითა და სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელის (GRENA) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელის იდოლოგიის ჩამოყალიბებასა და კონსტრუქციის მოხერხებაში. ორჯერ 1996 და 1997 წლებში იყო ფონდის „ლია საზოგადოება საქართველოს“ შესაბამისი საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი.

მეცნიერული თანამშრომლობისათვის სხვადასხვა ფორმითა და ხანგრძლივობით მუშაობდა: მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მკვლევარი, XI.1983-XI.1984 რუსეთი), ვესტმინსტერის უნივერსიტეტში (ინგლისის სამეფო საზოგადოების სტუმარი, 1993 წ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); იყო მონაწილე პროფესორი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში (1995 წ. გერმანია), კიოლის უნივერსიტეტში (2008 წ. გერმანია), სალერნოს უნივერსიტეტში (2012 წ. იტალია), ვილინუსის უნივერსიტეტში (2012 წ. ლიეტუვის რესპუბლიკის სამეცნიერო საბჭოს გრანტი) და ოთხჯერ რომის უნივერსიტეტში „La Sapienza“ (1998, 2001, 2004, 2005 წწ.).

2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის დეკემბრამდე რომის უნივერსიტეტში „La Sapienza“ იყო პროექტის „Collaborazione Coordinata e Continuativa“ ფარგლებში ერთობლივი თემის — „ოპერატორული მეთოდები, მრავალგანზომილებიანი სპეციალური ფუნქციები და

მათი გამოყენება კერძონარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის დასაშუი ამოცანების ამოსახსნელად“ თანახელმძღვანელი.

1975 წლიდან დღემდე იყო 41 საერთაშორისო და 22 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი. 1999 და 2005 წლებში მონაწილეობა მიიღო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის კვლევითი სემინარის (NATO-ARW) მუშაობაში. 2012 წელს ბელგიელ და იტალიელ კოლეგებთან ერთად მოხსენებით წარსდგა ბრიუსელში სამეფო აკადემიის მიერ ორგანიზებულ სამიტში „მათემატიკა და ხელოვნება“.

1999-2005 წლებში გახლდათ „UNESCO“-ს ეგიდით მომუშავე ISPM (საერთაშორისო სემინარი ფიზიკისა და მათემატიკაში) — კოორდინატორი — და თბილისსა და ბაქოში ჩაატარა 9 საერთაშორისო კონფერენცია. 1980 წლიდან არის ჟურნალ „Mathematical Review“-

ის რეფერენტი და ამერიკის მათემატიკური საზოგადოების (AMS) წევრი;

1988 წლიდან დღემდე სხვადასხვა ფორმით ეწევა მათემატიკისა და, საზოგადოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოპულარიზაციას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან არსებულ „ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა სკოლაში“, გურჯაანის გიმნაზიასა და საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში. ორჯერ 2009 და 2010 წლებში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შესაბამისი პროექტების ფარგლებში ლექციები წაიკითხა საქართველოს 17 რაიონში.

ჰყავს მეუღლე - ნანა დადიანი (ფიზიკოსი) და სამი შვილი: სოფიო (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი), ეკატერინე (თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი) და ლუკა (სკოლის მოსწავლე) თავხელიძეები.

არჩვის შემთხვევაში თვისობრივად ახალ უნივერსიტეტს ჩამოვყალიბებ

ინტერვიუ პროფესორ სირა ბარამიძესთან

რექტორის თანამდებობა ცირა ბარამიძისთვის „ბევრი რამის“ შეცვლის შესაძლებლობაა. თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელისთვის მთავარი მაინც თავისუფლებაა, რადგან მისივე სიტყვებით რომ გავიმეორებოთ: „თავისუფლებაში იბადება და ქმნის მომავალს ნამდვილი უნივერსიტეტი“.

რექტორობის კანდიდატი ამ მიზნის მისაღწევად გარკვეულ სტრატეგიას ირჩევს და ყოველგვარი პოლიტიკური ზიგზაგების გამოყენებაზე უარს თქმით განსხვავებული აკადემიური გარემოს შექმნას გეგმავს, რომელშიც თავს ლაღად იგრძნობს როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტობა.

„თვისობრივად ახალი უნივერსიტეტი“ — ეს მისი ერთერთი მთავარი გზავნილია — სწორედ ამ იდეისთვის აპირებს ბრძოლას რექტორობის კანდიდატი.

— ქალბატონო ცირა, რა მოტივაცია გაქვთ რექტორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობისთვის?

— უნივერსიტეტში უკვე მერამდენედ ვადაზე ადრე დანიშნული რექტორის არჩევნები დასტურია იმისა, რომ ხელისუფალი (განურჩევლად ძველი თუ ახალი) თამაშობს კატალიზატორის როლს უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მინდა, ჩემი კანდიდატურის წარდგინებით უარი ვუთხრა ამგვარ მიდგომას, რადგან უნივერსიტეტი აპოლიტიკური ორგანიზაციაა, იგი თავისი არსით არის საზოგადოებრივი ინსტიტუცია (როგორც ეს დემოკრატიულ ქვეყნებშია) და თუ დღეს საქართველო ამენებს სამოქალაქო საზოგადოებას, თუ ჩვენ გადავდგით ნაბიჯები ისტორიული ავტორიტეტული მმართველობიდან დემოკრატიისკენ, მაშინ უნივერსიტეტი პირველი უნდა დაადგეს ამ გზას. აკადემიურმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარყოს პოლიტიკური ზიგზაგები, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალაში გამოსავლის ძიება, უნივერსიტეტის პოლიტიკური პოლარიზება; უნდა მოახდინოს თვითორგანიზაცია უნივერსიტეტის მთავარი იდეის განსახორციელებლად. უნივერსიტეტს უნდა ხელმძღვანელობდეს აკადემიური პირი თავად უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რომლისთვისაც სისხლხორცეულია მიღწეულიცა და მისაღწევიც, მტკივნეულია მარცხი და ბედნიერებას ჰგვრის წარმატება, რომელიც უფროსი იდეა და იცავს უნივერსიტეტის სახელს, თავად ქმნის უნივერსიტეტის ანმუსს, არ ივიწყებს წარსულს, რათა ზუსტად განსაზღვროს წარმატებული მომავალი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მოტივირებული უნდა იყოს, დაიცავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, თავისუფლება, აკადემიზმი, ფუნდამენტურობა, ინოვაციურობა; უნდა იყოს ლიდერი, პრინციპული, სამართლიანი, მეცნიერების ორგანიზატორი, ნოვატორი, კოლეგიალური, ალიარებული მეცნიერი და მოღვაწე, გამობრძმედილი სასწავლო პროცესის მართვაში, უნდა იცნობდეს და უსმენდეს სტუდენტობასა და პროფესურას, უნდა ჰქონდეს ადმინისტრირების უნარი და კარგად იცნობდეს ადმინისტრაციის პრობლემებს, უნდა

ზრუნავდეს სწავლებისა და კვლევის ხარისხზე, ხელს უწყობდეს პროგრესს, ევროპულ სასწავლო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას; რექტორს არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ავტობიოგრაფია. ყოველთვის გამოწვეული ვიყავი პოლიტიკისგან და ჩემი ცხოვრების კრედო საუნივერსიტეტო იდეაა. ჩემთვის მოტივაციის ძირითადი პრინციპი უნივერსიტეტში არსებული სიტუაცია და ამ სიტუაციის შესაბამისი ლიდერის შერჩევაა.

ჩემი კანდიდატურის ინიცირება რამდენიმე პროფესორს ეკუთვნის, მაგრამ გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, თავად მივიღე. ეს იქნება ჩემთვის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რასაც, ვფიქრობ, არჩევის შემთხვევაში შევასრულებ თვისობრივად ახალი უნივერსიტეტის ჩამოყალიბებით, თავისუფალი აზრისა და ნების მატარებელი ახალგაზრდობის, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდით.

— რამდენად ენდობით აკადემიურ საბჭოს?

— არა მაქვს არც სამართლებრივი და არც მორალური საფუძველი, რომ არ ვენდობოდე. საზოგადოება ისეთივე არაერთგვაროვანია, როგორც პოლიტიკური სპექტრი. პოლიტიკურ ფიგურებს იგივე საზოგადოება ისევე მალე ივიწყებს, როგორც იმასხორცებს. უნივერსიტეტი კი უნივერსიტეტად რჩება. აკადემიური საბჭოსადმი უნდობლობას თუ აკადემიური საზოგადოება აცხადებს, ეს იგივეა, საკუთარ თავს რომ გამოუცხადოს კაცმა უნდობლობა. იმ საბჭოში მათივე არჩეული პროფესორები არიან და თუ არ ენდობდნენ, რატომ აირჩიეს? ან სად იყვნენ აქამდე? საბჭოს წევრებმა უნივერსიტეტის გახუთიდან უპასუხეს ამ განწყობას. გული დამწყდა, ასე რომ დადგა საკითხი. შეიძლება რომელიმე კონკრეტული წევრი არ მოგწონდეს და არ ენდობოდე, მაგრამ მთლიანად საბჭოს მიმართ საკითხის ასე დასამაძამკნიებელია უნივერსიტეტისთვის. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, მხედველობაში აქვთ რექტორ ალექსანდრე კვიციანილის არჩევა ამ საბჭოს მიერ, რადგან მას პოლიტიკური წარსული ჰქონდა. მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ კარგად გავეცანი ყველა კანდიდატის პრიორიტეტს და მათ შორის ყველაზე კარგი



სწორედ მისი პროგრამა იყო. საბჭოს მაშინ კანონი არ დაურღვევია, მაგრამ ზოგჯერ კანონის დაცვა გამაღიზიანებელი ხდება, თუ იგი არ შეესაბამება უნივერსიტეტის არსს. აკადემიურ საზოგადოებას მაშინაც შეეძლო, გაეპროტესტებინა, მაგრამ იგი პოლიტიკური ნების ცვლას დაელოდა და ახლა რევანშს იღებს? მე, პირადად, რაც საპროტესტო იყო, არგუმენტირებულად ვაპროტესტებდი მაშინაც ყველა ინსტანციაში არა ჩასაფრებულის პოზიციით, არამედ უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამის შემდგომ ვაგრძელებდი საქმიან ურთიერთობას ხელმძღვანელობასთან. ასე რომ, თუ აკადემიური საზოგადოება თავის საქმიანობაში ცვლილებას პოლიტიკურ ცვლას დაუკავშირებს ქრონიკულად, ის ვერასოდეს განთავისუფლდება პოლიტიკური პოლარიზებისაგან. ეს კი რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ ოდესმე საქართველოში შედგეს თავისუფალი აკადემიური საზოგადოება.

ამჟამად აკადემიური საბჭო დიდი გამოცდის წინაშე დგას. დამოუკიდებელი არჩევნით ის გადაარჩენს უნივერსიტეტის მომავალსაც და საკუთარ ღირსებასაც. მჯერა, ასე იქნება. თუ არა, ისევ დაიწყება პოლარიზება გაუთავებლად. ეს კი არ შეესაბამება უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოს და

წინსვლის ნაცვლად იქნება სტაგნაცია. ცოტა ხანში ისევ ახალ წრეზე წავალთ... სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ინსტიტუცია — უნივერსიტეტი — იდეაში დარჩება.

საკითხს უნდა მივუდგეთ ამბივალენტურად: არ არსებობს აბსოლუტურად კარგი და აბსოლუტურად ცუდი. ახლა თუ საზოგადოებას სურს წყალში გადაყაროს, რაც ამ წლებში გაკეთდა უნივერსიტეტში, მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდი დაეინახოთ, ეს არ არის ჯანსაღი მიდგომა. ჩვენ თვითონ არ ვქმნიდით უნივერსიტეტის ანმუსს? ახლა აღმოვაჩინეთ, რომ ვანგრევდით? თუ აქამდე არ გვექონდა სწორი ანალიზის უნარი, რა გარანტია გვაქვს, რომ ახლა გვექნება?

— რას შეცვლიდით უნივერსიტეტში?

— ბევრ რამეს. უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტის ცნობიერებიდან გავაქრობდი ხელისუფლებაზე ორიენტირების განწყობას. ეს ვნებს თავად ხელისუფლებას და უნივერსიტეტსაც. შევქმნიდი ნამდვილ აკადემიურ გარემოს, რომელშიც პროფესორები და სტუდენტები არ იქნებიან კლასიფიცირებული „ისტის“ მიხედვით. თავისუფლებაში იბადება და ქმნის მომავალს ნამდვილი უნივერსიტეტი.



რეპტორობის კანდიდატები

არჩვის შემთხვევაში თვისობრივად ახალ უნივერსიტეტს ჩამოვყალიბებ

ბლის-ინტარკიუ პროფესორ სირა ბარამიძისთან

მეზიდე გვერდიდან

გავაუმჯობესებ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, შევქმნი ახალ ლაბორატორიებს, შევიძენ ახალ საექსპედიციო აღჭურვილობას, ავაშენებ თანამედროვე სტანდარტის სასწავლო კორპუსს, შევქმნი კამპუსის პროექტს და განვახორციელებ მას. აღვადგენ სტუდენტთა სასახლას, გავარემონტებ კორპუსებს. ეს ყოველივე საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს განავითაროს ახალი საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობები. განვაახლებ ტრანსპორტს ავტოფარეხისთვის, გავაუმჯობესებ გამოცემლობას. გავზრდი აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის ხელფასს, აღვადგენ სახელობით სტიპენდიებს, პრემიას წლის საუკეთესო ნაშრომისთვის, გამჭვირვალეს გავხადი ყველა საჯარო ინფორმაციას, გადავინჯავ ერთდროულად ორი სამატო ხელშეკრულების საკითხს კანონის ფარგლებში, ვიზრუნებ სწავლებისა და კვლევის ხარისხზე, დავხვეწ რეგისტრაციისა და მობილობის სისტემას, ვიზრუნებ ბიბლიოთეკისა და მუზეუმის განვითარებაზე, გადავინჯავ საბჭოების სტრუქტურის საკითხს კანონის ფარგლებში, უზრუნველყოფ საკონკურსო კომისიების სამართლიანობას...

კონკრეტული სამუშაო გეგმა, რომელიც წარვუდგინე საბჭოს, ვრცელდა, შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო ბაზასა და რეპტორის უფლებამოსილებებს. ყოველივე ეს ემსახურება უნივერსიტეტის მიღწეულის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას.

ბიოგრაფიული შტრიხები

სირა ბარამიძე დაიბადა 1962 წლის 16 მარტს ოზურგეთის რაიონის სოფელ დეაბზუში მოსამსახურის ოჯახში. 1979 წელს დაამთავრა დეაბზუს საშუალო სკოლა წარჩინებით, 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება ასევე წარჩინებით და მიენიჭა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, დამატებით სპეციალობა - კავკასიური ენები. 1990 წელს დაამთავრა თსუ-ის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დღესტურ ენათა მიმართულებით (ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა თაბასარანულ ენაში), მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, გრიფით კავკასიური ენები. თაბასარანული ენის სრულყოფილად შესწავლისთვის ხანგრძლივად ცხოვრობდა დალესტინის რესპუბლიკაში. 1986-2002 წლებში მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად. 1990 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია: 1990-2002 წლებში - კავკასიურ ენათა კათედრის დოცენტი, 2002-2006 წლებში - ამავე კათედრის პროფესორი, 2006 წლიდან დღემდე - კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი და ხელმძღვანელი. 2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: თაბასარანული ენის ფონემატური სტრუქტურა და მორფოლოგიის საკითხები.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების კვლავად, ორი კათედრის: კავკასიურ ენათა კათედრისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის გაერთიანებით ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე დააარსა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. მის მიერ წარმოდგენილი კავკასიოლოგიის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დარგის, განვითარების კონცეფცია, თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტების შესაბამისად, ერთდროულად იყო ტრადიციულიცა და ინოვაციურიც. დააარსა ახალი მოდულები (აზერბაიჯანოლოგია, ოსოლოგია, არეალური ლინგვისტიკა) სწავლების სამივე საფეხურისათვის, აღადგინა რუსული სექტორი და შექმნა რუსულენოვანი პროგრამები სწავლების სამივე საფეხურისათვის. მან, ასევე, შექმნა 4 ათეულზე მეტი ახალი საგანი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ქართული და რუსული სექტორებისათვის. მისი თქმით, ამგვარი მიდგომის მიზანი იყო, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ფართო პროფილის კავკასიოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც, ამავდროულად, იქნება კონკრეტული მოდულის მიხედვით, კავკასიოლოგიის ვიწრო სფეროს სპეციალისტიც. მიდგომა შეპირებული იყო კავკასიის, როგორც მულტილინგვური და მულტიკულტურული სივრცის აღქმით. დასახული ამოცანის განსახორციელებლად გამართა ერთობლივი მუშაობა კავკასიის სხვადასხვა სუბიექტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სასწავლო პროგრამის ამოქმედებისათვის შედგა არაერთი პრეზენტაცია ახალი პროგრამებისა, მაგალითად, ოსური მხარის მონაწილეობით თსუ-ში (2007), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (2007). შექმნა კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ახლა გადის ექსპერტიზას ხარისხის სამსახურში. შექმნა ელექტრონული კურსები სპეციალობაში. თარგმნა და გამოსცა სახელმძღვანელოები რუსულ ენაზე. დააარსა სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარი, რომლის მასალები რეგულარულად იტვირთება ვებ-გვერდზე. შექმნა ინსტიტუტის სამეცნიერო ვებ-გვერდი. აღადგინა ორი ათეული წლის მანძილზე არსებული პოლიტიკური ვითარების გამო დაკარგული ურთიერთობები ჩრდილო კავკასიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან.

ცირა ბარამიძემ დააარსა კავკასიოლოგია საერთაშორისო კონგრესი: 2007 წელს გაიმართა პირველი — „კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში“; 2010 წელს კი მე-2 — „კავკასიური ცივილიზაცია — ისტორია და თანამედროვეობა“. ორივე

კონგრესისათვის დაიბეჭდა 450 გვერდიანი სამეცნიერო მასალები და სხვა პუბლიკაციები, წიგნები, ბულებები, პროგრამები მისი რედაქტორობით. 2013 წლის ოქტომბერში დაგეგმილია მესამე კონგრესი (მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში), რომელიც მის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე საკონფერენციო გრანტის კონკურსში დააფინანსა რუსთაველის ფონდმა. კონგრესის ფორმატი ითვალისწინებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგს, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით სწავლობს კავკასიური ცივილიზაციას. კონგრესზე ფუნქციონირებს 8 სექცია სამ ენაზე. იბეჭდება მასალები და სპეციალურად კონგრესისათვის განკუთვნილი სამეცნიერო პუბლიკაციები მისი რედაქტორობით. კონგრესისათვის მან შექმნა სპეციალური ვებ-გვერდი 2007 წელს. იგი მუდმივად განახლებადი და ინფორმაციულია, რაც კონგრესს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ხელმისაწვდომი ყველა ქვეყნის მეცნიერთათვის.

2008 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად ჩატარდა ლინგვისტა მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი, ხოლო 2011 წელს - ლინგვისტა მე-3 სიმპოზიუმი. ორივე სიმპოზიუმის მასალები (თითო 400 გვერდიანი) დაიბეჭდა.

2009 წლის მაისში, ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, არ შეცვალა გეგმით გათვალისწინებული საერთაშორისო კონფერენციის (ერგატევი და ერგატევი კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში) დათქმული დრო და ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოკავკასიელმა კოლეგებმა სხვა ქვეყნების კოლეგებთან ერთად. დაიბეჭდა სამეცნიერო მასალები.

2012 წელს თსუ-ის რექტორის მომართვის საფუძველზე კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა რეგიონის ქვეყნების (თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ერთობლივი ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“. სინქრონი განხორციელდა 5 ენაზე, მასალებიცა და სტატეტიკაც აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად დაიბეჭდა ასევე 5 ენაზე. აღნიშნული სიმპოზიუმი იყო პირველი კავკასიის ქვეყანათა ერთობლივობით ჩატარებული სამეცნიერო ფორუმი ჰუმანიტარულ სფეროში.

მისი ინიციატივითა და სამეცნიერო რედაქტორობით ჩატარდა აგრეთვე 2 ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია (იან ბრაუნი - 80, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის საუნივერსიტეტო და სამეცნიერო მოღვაწეობის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი). ორივე კონფერენციის კრებული დაიბეჭდა.

2008 წელს მიწვეული იყო ესპანეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მე-3 კონგრესზე, სადაც, პირველმა პოსტსაბჭოთა სივრცედან, მის მიერ დაისვა საკითხი ჩრდილო კავკასიის ენობრივი უფლებების დაცვის თაობაზე რუსეთის ფედერაციის ენობრივი სიტუაციის მექანიზმის მეცნიერულად არგუმენტირებული მხილვით.

ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში სხვადასხვა ქვეყანაში.

ხელმძღვანელობს მიმდინარე გრანტს (რუსთაველის ფონდის დაფინანსებით) „პრაქტიკული სახელმძღვანელოები კავკასიურ ენათათვის“. წარდგენილი აქვს ორი გრანტი საერთაშორისო ფონდებში სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გადაწყვეტის პრაქტიკული ღონისძიებების განსახორციელებლად. ხელმძღვანელობს 5 დოქტორანტს, მათ შორის ერთი უცხოელია.

2009 წელს დააარსა სამეცნიერო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“. ჟურნალის რედაქციისა და სარედაქციო საბჭო საერთაშორისოა. ჟურნალი დაყოფილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებად, რომლებიც შეისწავლიან კავკასიას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით გამოვიდა სამი ნომერი (თითო 700 გვერდიანი), იბეჭდება მე-4 და გამოსაცემად მზადდება მე-5 ნომერი. ჟურნალმა გამოსვლისთანავე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ჟურნალს ანალოგი არა აქვს ამ დარგში. იგი კარგად წარმოაჩენს თსუ-ის სამეცნიერო პოტენციალს და მთავარი რედაქტორის შესაძლებლობებს.

არის 80-მდე ნაშრომის ავტორი, მათ შორის - 4 წიგნისა (სამი მონოგრაფიაა).

არის თსუ-ის ორი მონვევის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

2007 წელს იყო თსუ-ის წესდების შემდგენი კომისიის წევრი.

როგორც თავად აღნიშნავს, არის ინოვაციური პროცენა, ტოლერანტი, უყვარს ყველა და ყველაფერი მტრის ჩათვლით. „ვარდიერი, პრინციპული, კრიტიკულ შემთხვევაში საქმის ინტერესებს საკუთარ ხასიათსა და ინტერესებზე წინ ვაყენებ და ვიჩენ დიპლომატიურობას, ვარ „მცველი“ ბუნებით (დარგის, ადამიანის ღირსების, ქვეყნის). ალბათ, სწორედ ამ თვისებების გამოც დამაბრუნეს (თუ დავბრუნდი) ხელოვნებიდან მეცნიერებაში. ვარ მეცნიერების ორგანიზატორი, მოტივირებული იდეისა და ქმედებისათვის. ვარ კოლეგიალური, მყავს კოლეგები და მეგობრები ბევრ ქვეყანაში, ვთანამშრომლობ და ვმეგობრობ კონფლიქტის ზონაში მყოფ კოლეგებთან, ვხდები მათ ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ვარ გახსნილი შემდგომი ურთიერთობებისთვისაც, მათ შორის სამეცნიერო ოპონენტებთანაც უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის ფარგლებში.

მიყვარს კანონის დაცვა და, რაც მთავარია, შესწავლა. არ ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ბლოკის წევრი. ჩემთვის სისხლხორციულად მნიშვნელოვანია ჩემი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები და მე მას ვემსახურები შეძლებისდაგვარად ჩემი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით. მაქვს მცირე მუშაობა და თავად ვუძღვები მას, — ამბობს ცირა ბარამიძე.

ჰყავს მუფლე და ორი ვაჟი.

უნივერსიტეტის პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს

ინტარკიუ პროფესორ მირაბ საბარკალთან

მერაბ ცაგარელი ბიოლოგი გახლავთ — კარგი მეცნიერი და ასევე კარგი მენეჯერი. მასთან საუბარი იმდენად სასიამოვნოა, რომ გრძნობ — შენს წინ ზის ერთდროული, მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნება, რომელიც თავმდაბლად, მაგრამ პრინციპულად გიხსნის საკუთარ მოტივაციას — რატომ უნდა, რომ უნივერსიტეტის რექტორი გახდეს.

ის უნივერსიტეტული, მიუხედავად წარმატებული სამეცნიერო გზისა და უცხოეთში მიღებული განათლებისა, არასოდეს უფიქრია, რომ სხვაგან უკეთესია, ვიდრე საკუთარ სამშობლოში, თუმცა ავსაც ხედავს და კარგავს. ისიც ახსოვს, როგორ გამოიყურებოდა ძველი უნივერსიტეტი და მის დერეფნებში კატალოგებისა და წიგნების სუნსაც სიყვარულით იხსენებს.

მშვიდი და კომუნიკაბელური ადამიანია, სურს, რომ საკუთარი უნივერსიტეტი განახლებული, მსოფლიო სამეცნიერო ასპარეზზე წარმატებული იხილოს. ამისთვის საკუთარი გეგმაც აქვს — ფინანსების მოძიება და მუხლჩაუხრელი შრომა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან აბსოლუტური კოორდინაციის პირობებში. სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ამაღლება, სტუდენტთათვის მაქსიმალურად კომფორტული სასწავლო პირობების შექმნა, პროფესორ-მასწავლებელთა ხელშეწყობა, უნივერსიტეტის აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და უცხოეთთან მჭიდრო კავშირები — ესაა ის, რაც ბატონ მერაბს სურს შექმნას უნივერსიტეტის ავტონომიის პირობებში. როგორ აპირებს იგი ამ პროგრამის განხორციელებას, მის საარჩევნო პროგრამასა და გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარშიც ნათლად ჩანს:

— ბატონო მერაბ, რატომ გადაწყვიტეთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილეობა?

— გარდა იმისა, რომ მაქვს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, რამდენიმე წელი ვიმუშავე ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად და ვფიქრობ, კარგად ვუძღვებოდი საქმეს. ჩემი გამოცდილება, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური და ორგანიზატორული, მაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქრო, რომ შევძლებ წარვუძღვე უნივერ-

საუბარშიც ნათლად ჩანს:

— ბატონო მერაბ, რატომ გადაწყვიტეთ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილეობა?

— გარდა იმისა, რომ მაქვს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, რამდენიმე წელი ვიმუშავე ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად და ვფიქრობ, კარგად ვუძღვებოდი საქმეს. ჩემი გამოცდილება, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური და ორგანიზატორული, მაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქრო, რომ შევძლებ წარვუძღვე უნივერ-



რექტორობის კანდიდატები

უნივერსიტეტის პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს

ინტერვიუ პროფესორ მერაბ საბარაძესთან

მერაბ გვერდიდან

სიტუაცია, რადგან მეც, ისევე, როგორც ყველა უნივერსიტეტისთვის, იგი ძალიან მიყვარს და მინდა მსოფლიო ასპარეზზე ვიხილო. რექტორობის შემთხვევაში მექნება შესაძლებლობა, რაღაც გავაკეთო უნივერსიტეტისა და ჩემი ქვეყნისთვის.

— კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ?

— იმ დაფინანსების პირობებში, რაც უნივერსიტეტს აქვს, რამე სერიოზულის გაკეთება შეუძლებელია, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნახევარი ხელფასებზე მიდის, დარჩენილი ფულით კი სწავლების და კვლევის ხარისხის ამაღლება წარმოუდგენელია. ელემენტარულად, ინფრასტრუქტურა უნდა მოწოდებული იქნას, რომ ასეთი ოთახები და აუდიტორიები, როგორშიც, ვთქვათ, თქვენი რედაქციაა განთავსებული, უნივერსიტეტში აღარ იყოს.

პირველი, რაც, ვფიქრობ, რექტორმა უნდა გააკეთოს, ესაა ფინანსების მოძიება. მე ხშირად მინევეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნა და კარგად ვიცნობ იქაური სასწავლებლების სტრუქტურას და შესაძლებლობებს. ისედაც საკმაოდ მაღალი ბიუჯეტის მქონე უნივერსიტეტები იქაც კი ცდილობენ ნებისმიერი ფონდიდან მოიძიონ თანხები, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია რეიტინგული სასწავლებელი გახდეს. ჩვენ, ცხადია, მათ ვერ დავენევი, მაგრამ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ფინანსები მოვიზიდოთ. ამაში უნდა ჩაერთონ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიც, რათა უნივერსიტეტმა შეძლოს მაღალი დონის კვლევის, სწავლისა და სასწავლო პროცესის განხორციელება.

მეორე პუნქტად ჩემს პროგრამაში ჩანს უნივერსიტეტის მართვა, რადგან მიმაჩნია, რომ მართვის სისტემა უნდა შეიცვალოს. დღეს შეფარდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობას შორის არ არის ადეკვატური. ისმის პრეტენზიები, რომ ადმინისტრაციული შტაბები ხელოვნურადაა გაზრდილი, რომ ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი მაღალია და პროფესორებისა, — მათთან შეფარდებით, — დაბალი და ა.შ. ამას უნდა დახვეწა: თანაფარდობა ოპტიმალური უნდა იყოს და პროფესორს არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მისი შრომა არ ფასდება.

ასევე დაცული უნდა იყოს შესაბამისობა სტუდენტთა რაოდენობასა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობას შორის. სტუდენტთა იმ რაოდენობას, რაც უნივერსიტეტშია, გაცილებით მეტი პროფესორი სჭირდება. დღევანდელი დათვლით, 1 პროფესორზე 20 სტუდენტი მოდის, რაც ძალიან ზრდის პროფესორთა დატვირთვას და მათ არ რჩებათ დრო კვლევითი მუშაობისთვის. ჩემი გეგმაა, ეს თანაფარდობა დავიდეს იდენტურ შეფარდებაზე 1:15-თან, პერსპექტივაში კი 1:12-თან. ეს შექმნის სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარების საშუალებას.

ასევე მნიშვნელოვანდ მიმაჩნია საუნივერსიტეტო საცხოვრებლის პრობლემის გადაჭრა. სულ ნობელის პრემიის ლაურეატებით რომ გვყავდეს აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებული, მაინც ვერ ვიქნებით მაღალი დონის უმაღლესი სასწავლებელი, თუ სტუდენტთათვის ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს არ შევქმნით. ეს ძველი პრობლემაა და სასწრაფოდ მიხედვას საჭიროებს, რადგან არც ერთ თავმოყვარე უნივერსიტეტს არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი პირობები, რაც უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებშია. თუ უნივერსიტეტის სტატუსი ისევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად უნდა შეიცვალოს, მაშინ თავმოყვარე და ხელისუფლებამ ეს საკითხი უნდა გაითვალისწინოს და უნივერსიტეტის დაფინანსება გაზარდოს. ამაში უნდა ჩაერთოს საბანკო სექტორიც და ბიზნესიც. ეს ყველას საფიქრალი უნდა იყოს, რადგან ხელისუფლების წარმომადგენელთა და ბიზნესმენთა უმრავლესობას სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული.

— დღევანდელი კანონმდებლობით რექტორი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობებს განსაზღვრავს და ეს საკითხები მაინც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციაა. ამ პირობებში და კიდევ რეგენტთა საბჭოს პირობებში, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?

— ვფიქრობ, რეგენტთა საბჭო ახალი კანონმდებლობით აღარ იარსებებს. რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კი აბსოლუტურად თანამოაზრეები უნდა იყვნენ და ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტის მიმართ. ასევე უნდა იმუშაოს აკადემიურმა საბჭომაც და წარმომადგენლობითმა საბჭომაც — უნივერსიტეტის პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს.

— ბევრს საუბრობენ უნივერსიტეტის მონეტის საკითხებზე. კერძოდ, გადასახედად მიაჩნიათ ფაკულტეტების დამსხვილების საკითხი. თუ თქვენ გახდებით რექტორი, ამ სტრუქტურას ასე დატოვებთ თუ მის გადახედვასაც გეგმათ?

— ზოგადად, რადიკალური ჩარევა ამ საკითხში არ მიმაჩნია სწორად, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კათედრების როლი უნდა გაძლიერდეს (ზოგ ფაკულტეტზე ამ რგოლს ისევე კათედრა ჰქვია, ზოგან — დეპარტამენტი და ზოგან — ინსტიტუტი) სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და უნივერსიტეტის მართვის საკითხებში. როგორ მუშაობენ დღეს ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები? მოდიან, კითხულობენ ლექციებს და გარბიან სხვა უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად. სამეცნიერო კათედრა, როგორც მნიშვნელოვანი რგოლი, უნივერსიტეტში, ფაქტობრივად, აღარც არსებობს. ვფიქრობ, ისინი უნდა ამოქმედდეს. ახლა ლაპარაკობენ, რომ კათედრა არის კომუნისტური გადმონაშთი. არა, ბატონო, არავითარი კომუნისტური გადმონაშთი, კათედრა, არის ძლიერი ერთეული. იგი წარმართავს როგორც სწავლებას, ისე, კვლევას. მისი ხელმძღვანელი უნდა იყოს გამოცდილი და კარგი მეცნიერი.

მე არ მიმაჩნია სწორად, რომ ფაკულტეტების რაოდენობა ასე შემცირდა, მაგრამ არც ყოფილი სტრუქტურული მონეტა იყო გამართლებული — ხელოვნურად იყო გაზრდილი ფაკულტეტების რაოდენობა, რაც იწვევდა კათედრების და პერსონალის ზრდასაც. ექსპერტებს მაშინაც ჰქონდათ შენიშვნები, მაგრამ ფაკულტეტების ასე შემცირება არავის მოუთხოვია — ზომიერება უნდა ყოფილიყო დაცული.

— ენდობით თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და იქნება თუ არა თქვენთვის მისაღები რექტორის არჩევნებზე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

— აბსოლუტურად ვენდობი, რადგან უკანასკნელი მოვლენების გათვალისწინებით, როგორც ბატონმა სანდრომ, ისე აკადემიურმა საბჭომ, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, ისეთი, როგორც ეკადრება უნივერსიტეტს. დღეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რათა აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა და გააკეთოს ღირსეული არჩევანი. ეს იქნება პირველი და უდიდესი ნაბიჯი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვეყნარბი ავტონომიურობისკენ.

ბიოგრაფიული შტრიხები

მერაბ ცაბარაძე დაიბადა 1954 წლის 11 აგვისტოს.

1971 წელს დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1977 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიოლოგიის ფაკულტეტი (ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა (წარჩინების დიპლომით);

1978-1982 წლებში სწავლობდა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში (ბიო-



ლოგიის ფაკულტეტი, უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის კათედრა);

1982 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში;

1990 წლიდან იყო საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის უფროსი მეცნიერთანამშრომელი;

1998 წლიდან იყო ევ. ფიფას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი;

მისი სამეცნიერო კვლევის მიმართულებებია: ნერვული უჯრედის ფიზიოლოგია; ადამიანის ფსიქოფიზიოლოგია; ტკივილის ნივთიერებათა მეტაბოლიზმი;

მერაბ ცაბარაძე 1977-1978 წლებში იყო ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის რადიობიოლოგიის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი;

1981-1982 წლებში — მ. ვ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი;

1982-1985 წლებში — ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის რადიობიოლოგიის სექტორის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი;

1983 წელს მივლინებული იყო — სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ტვინი ინსტიტუტის ნიუიორულ სინაპსთა პლასტიკურობის ლაბორატორიაში უმცროსი მეცნიერთანამშრომლად (მოსკოვი);

1985-2000 წლებში მუშაობდა მ. საათიანის სახ. ფსიქიატრიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერთანამშრომლად;

1986-1989 წლებში — ვ. პ. სერბსკის სახელობის საკავშირო ზოგადი და სასამართლო ფსიქიატრიის ინსტიტუტის უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოფიზიოლოგიის ლაბორატორიის უფროს მეცნიერთანამშრომლად (მოსკოვი);

1993-1995 წლებში იყო ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ტკივილისა და ანალგეზიის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის ლაბორატორიის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი;

1995-2003 წლებში — ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ტკივილისა და ანალგეზიის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერთანამშრომელი;

2003-2004 წლებში იყო მინვეული უფროსი მეცნიერი (Professorship — Sabbatical Year) ესპანეთის ქ. ალიკანტეს უნივერსიტეტის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის კვლევითი ინსტიტუტის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის დეპარტამენტში;

2004-2006 წლებში მუშაობდა ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის

ტკივილისა და ანალგეზიის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის ლაბორატორიის გამგედ;

2006-2008 წლებში — ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია;

2008 წელს და 2010 წელს ორჯერ იყო მინვეული პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტის, დევისი (აშშ) ნივთიერებათა მეტაბოლიზმის, ფიზიოლოგიისა და ქიმიის დეპარტამენტში;

2008 წლიდან დღემდე არის ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნივთიერებათა მეტაბოლიზმის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტკივილის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე;

მონაწილეობდა კვლევით გრანტებში:

1997-1999 წლებში — „ზოგიერთი ნარკოტიკული და არანარკოტიკული ანალგეტიკების მოქმედების მექანიზმების შესწავლა“, - საქ. მეცნ. აკადემია, გრანტის მთავარი შემსრულებელი;

2000-2001 წლებში — „ენდოგენური ანალგეზიის ქერქული მექანიზმები და ტკივილის აფექტურ-ემოციური კორელატების შესწავლა“, - საქ. მეცნ. აკადემია, გრანტის მთავარი შემსრულებელი;

2002-2003 წლებში — „ტკივილის ემოციური ასპექტების ნივთიერებათა მეტაბოლიზმის შესწავლა“, - საქ. მეცნ. აკადემია, გრანტის მთავარი შემსრულებელი;

2004-2005 წლებში — „ბაზალური ბირთვების როლი თავის ტვინის ქერქის ნივთიერების აქტივობის მოდულაციაში“, - საქ. მეცნ. აკადემია, გრანტის მთავარი შემსრულებელი;

2007-2009 წლებში — „Thermo TRP channels and irritant chemical modulation of thermal pain“, - U.S. Civilian R & D Foundation (CRDF), გრანტის ხელმძღვანელი.

2008-2010 წლებში — „არაოპიოიდური ანალგეტიკების ანტიმოციტოპური მოქმედებისა და მათ მიერ გამოწვეული ტოლერანტობის შესწავლა“, - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტის ხელმძღვანელი;

2009-2010 წლები — US NIH supplement to Parent Grant: “Trigeminal Mechanism of Oral Irritation”, Grant #3R01DE013685-09S1, გრანტის შემსრულებელი;

2010-2012 წლებში — „ქიმიური გამლენიანებლებით თერმული ტკივილის მოდულაციის ქიმიური და ელექტროფიზიოლოგიური შესწავლა: გარდამავალ რეცეპტორულ პოტენციალთა არხების როლი“ — საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, — გრანტის ხელმძღვანელი;

2013-2016 წლებში — „არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო ნაწილებით ტრანზიტორულ რეცეპტორულ პოტენციალთა არხების შესწავლა“ — რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტის ხელმძღვანელი;

სესფ-ის აპარატურის გრანტი: კომპიუტერით კონტროლირებადი Patch Clamp (ფიქსირებული პოტენციალის) გამძლეობის ფიზიოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომელი (გრანტი № GNSF/EQ06/124).

არის ერთი აკადემიური დოქტორის, სამი საკანდიდატო დისერტაციის, ერთი სამაგისტრო და ორი სადოქტორო შრომის ხელმძღვანელი; ამჟამად ერთი დოქტორანტის ხელმძღვანელი;

მერაბ ცაბარაძე 1980-1981 წლებში იყო მ. ვ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიის კათედრის დიდი პრაქტიკუმის ასისტენტი;

1993-2003 წლებში — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტ “VIIA” - ს ფიზიოლოგიის კურსის და კათედრის გამგე (1999-2003);

1996-2001 წლებში — მუშაობდა ევ. ფიფას სახ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, (პათოფიზიოლოგია);

1999-2002 წლებში — უნივერსიტეტში „ლეგია“ (სამედიცინო ფაკულტეტი, ფიზიოლოგია);



რეპტორობის კანდიდატები

უნივერსიტეტის პრობლემების მოგვარება ყველასთვის პრიორიტეტი უნდა იყოს

ბლიზ-ინტერვიუ პროფესორ მერაბ საბარალოთან

მეცხრე გვერდიდან

2004-2006 წლებში იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „ჰიპოკრატეს“ ფიზიოლოგიის კათედრის გამგე;

2006-2009 წლებში — იყო ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

2012 წლიდან დღემდე არის თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის მინვეული ასოცირებული პროფესორი;

2013 წლიდან დღემდე — არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის მიმართულების (ფიზიოლოგია), მინვეული მასწავლებელი;

მერაბ ცაგარელი არის საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი (1995 წლიდან); ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1995 წლიდან)

1982-1985 წლებში იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არ-

სებული იზოტოპებისა და გამოსხივებათა მუდმივმოქმედი კომისიის სწავლული მდივანი;

1997-2000 წლებში — ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი;

მ. ცაგარელი არის ივ. ბერიტაშვილის სახ. საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების სწავლული მდივანი (1995-1999); ქ. თბილისის ფსიქიატრთა საზოგადოების სწავლული მდივანი (1987-1992); საქართველოს პათოფიზიოლოგთა საზოგადოების წევრი; საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობის წევრი (1989-1993); საქართველოს ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების დამფუძნებელი გენერალური მდივანი, პრეზიდენტი (2002-2010); საქართველოს ნეირომეცნიერების ასოციაციის დამფუძნებელი გენერალური მდივანი (1996 - 2008), ევროპის ტვინის ინიციატივების - ალიანსის საქართველოს ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი (2001);

საქართველოს ტკივილის შემსწავლელი საზოგადოების დამფუძნებელი პრეზიდენტი (2011).

არის რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი: ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაცია (IBRO) მმართველი საბჭოს წევრი (1997-2008); ფსიქოფიზიოლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (IOP) (1995); ევროპის ნეირომეცნიერების საზოგადოებათა ფედერაციის (FENS) წევრი (1998) და მისი დამფუძნებელი საბჭოს წევრი (1998-2009); ნეირომეცნიერების საზოგადოების წევრი (SfN) (1995) (აშშ); ევროპის ტვინისა და ქცევის საზოგადოების წევრი (EBBS) (1998); ტკივილის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის წევრი (IASP) (1998); ევროპის ტვინის ინიციატივების ალიანსის წევრი (EDAB) (2004); ნეირომეცნიერების ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი (ISHN) (2010); ევროპის ქცევითი ფარმაკოლოგიის საზოგადოების წევრი (EBPS) (2011); მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის

ამერიკის ასოციაციის წევრი (AAAS) (2012); იყო არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი; მიღებული აქვს 18 სამგზავრო გრანტი სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე;

2011 წლიდან არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის წევრი (Neurophysiology, Springer, ISSN:0090-2977; www.springer.com) და რეცენზენტი (Neuroscience Letters, ISSN:0304-3940; Peptides, ISSN:0196-9781; Pharmacology, Biochemisrty & Behavior, ISSN:0091-3057; Pharmacological Research, ISSN:1043-6618; Elsevier, www.elsevier.com);

მერაბ ცაგარელი არის 160-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათგან, 2 მონოგრაფიის, 70 სტატიისა და 90 თეზისის.

ამას გარდა, იგი არის მეცნიერების პრობლემებისადმი მიძღვნილი 10 საგაზეთო სტატიის, 16 სამეცნიერო-პოპულარული და 3 სამეცნიერო-პოლიტიკური სტატიის ავტორი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

არჩევნები იქნება დასაწყისი იმ ცვლილებების პროცესისა, რაც უნდა წარიმართოს უნივერსიტეტში

ინტერვიუ მესხინიარაბათა აკადემიურ დოქტორთან მარიანა მუსხალიშვილთან

— უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ოფიციალურად 12 კანდიდატურაა, ამ ეტაპზე, დარეგისტრირებული. კანდიდატთაგან ბევრია მეცნიერული ღვაწლისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე. თქვენი, როგორც კონკურსში მონაწილე ერთერთი კანდიდატის აზრით, ასეთი მოცემულობის ფონზე საკმარისია თუ არა ის კრიტერიუმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს აკადემიურმა საბჭომ არჩევანის გასაკეთებლად?

— პირველ რიგში, უნივერსიტეტის რექტორს არ მოეთხოვება იყოს საუკეთესო საუკეთესოთა შორის მეცნიერული თვალსაზრისით. საკმარისია, რომ რექტორი იყოს კარგი მეცნიერი, უნდა ესმოდას მეცნიერება და ესმოდას მეცნიერების ეთიკა; უნდა ერკვეოდეს თამაშის წესებში და უნდა შეეძლოს ხარისხის შეფასება, ანუ ლოგიკის და დემაგოგიის ერთმანეთისგან გარჩევა, სიახლის და პლაგიატიზმის განსხვავება. მოკლედ, მისთვის ყველაზე მთავარი უნდა იყოს ის აკადემიური კრიტერიუმები, რომლებიც მეცნიერებაში დროთა განმავლობაში მუშაობს და რაც ფილტრავს რეპუტაციებს და ქმნის ცოდნის იმ „კორპუსს“, რომელიც შემდეგ თაობიდან თაობას განათლების გზით გადაეცემა. ამიტომ რექტორის კანდიდატის შეფასების მინიმალური კრიტერიუმი არის ის, რაზეც ვისაუბრე, ხოლო შემდეგი ეტაპია მისი კონცეფცია და არა მისი მეცნიერული მისწრაფება (რექტორს შეიძლება მოუწიოს თავისი მეცნიერული მოღვაწეობის გვერდზე გადადგმა). ანუ რექტორის შეფასებისას, ჩემი აზრით, უნდა გაანალიზდეს — როგორ ხედავს იგი უნივერსიტეტის პრობლემას, უნივერსიტეტის განვითარებას, რა პრიორიტეტები აქვს ამ თვალსაზრისით დასახული და რამდენად ესადაგება მისი ხედვა უნივერსიტეტის მიზნებს. იგი უნივერსიტეტში უნდა ამკვიდრებდეს აკადემიურ სტანდარტებს და გვერდზე უნდა სწევდეს კარიერისტულ, ინტრიგანულ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სხვა კორუფციულ მოტივებს.

— თქვენს სურვილს — გახდეთ თსუ-ის რექტორი, რა მოტივაცია ახლავს თან?

— მოგეხსენებათ, მე მომხრე ვიყავი იმისა, რომ რექტორი, გარდამავალ პერიოდში, ყოფილიყო დანიშნული და არა არჩეული, ვინაიდან ვითარება საჭიროებს ჯერ გამოსწორებას, ე.ი. ნორმალურ რეალურზე მის გადაყვანას და შემდეგ უკვე, თავისუფალ გარემოში უნივერსიტეტის პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით, განვითარების ახალ

ეტაპზე გადასვლა იქნებოდა შესაძლებელი. ვინაიდან ეს არ გაკეთდა, ყველანი ვმოქმედებთ იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც ვიმყოფებით. ჩემი დიდი სურვილი იქნებოდა — ვინმე სხვა ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც გააკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც საჭიროდ მიმაჩნია, მე კი ჩემს საქმეს მივხედავდი. მაგრამ ვინაიდან ამის იმედი ბოლომდე არ მაქვს, ამიტომ იძულებული ვარ, კონკურსში მივიღო მონაწილეობა.

— თქვენი რექტორად არჩევის შემთხვევაში რას შეცვლიდით უნივერსიტეტში?

— შინაარსობრივად უნივერსიტეტი ჯერ არ არის გარდაქმნილი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებად, ანუ რეალურ უნივერსიტეტად. უნივერსიტეტში ბევრი ცვლილებაა გასატარებელი და, ამ მხრივ, დიდია სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც. მაგალითად, დღეს რექტორი ფორმალურად ატარებს ლექციას, რომელსაც სტუდენტები ესწრებიან, მაგრამ, სინამდვილეში, რა ხდება ამ დროს? რა ცოდნას აწვდიან სტუდენტს? რა ნივთებით, რა სახელმძღვანელოებით, რა წყაროებით ანათლებენ მათ? ჩვენ არ გვაქვს, პირველ რიგში, ბიბლიოთეკები, ტექსტები, ყველაფერი კი იწყება შინაარსით. შინაარსობრივად მხარემ პირველ პლანზე უნდა წამოიწიოს, რაც შეუძლებელია მეცნიერული კვლევის გარეშე, ბიბლიოთეკებისა და სახელმძღვანელოების გარეშე. თუკი ეს პრინციპული საკითხები სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩება, ჩვენ თვისობრივად ვერ გავაუმჯობესებთ უნივერსიტეტის ხარისხს. იმისათვის, რომ ჩვენაირმა პატარა ქვეყანამ მიიღოს თანამედროვე დონის მეცნიერება, განათლება, შეინარჩუნოს ეროვნული კულტურა, საჭიროა განვითარდეს გრძელვადიანი მიზნებისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მათში რესურსების ინვესტირება, რასაც მხოლოდ სახელმწიფო მოახერხებს. განათლებას და მეცნიერებას ბევრად მეტი ყურადღება სჭირდება და არ შეიძლება — ყველაფერი თვითინებზე და მოკლევადიან კონკურენციაზე იყოს მიშვებული. აი, ეს არის მთავარი აქცენტი.

— რა ზღუდავს უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპს და რამდენად არის შესაძლებელი ავტონომიურობის მოპოვება?

— ავტონომია არ ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორების და მმართველების ავტონომიას. ავტონომია გაცხადებით უფრო რთული კონცეფციაა და რაც უფრო მეტად წამოინვეს წინ შინაარსობრივი კრიტერიუმები, მით უფრო ავტონომიური იქნება უნი-



ვერსიტეტი სწორედ მისი აკადემიური თავისუფლების და აკადემიური ხარისხის თვალსაზრისით. ავტონომიურობის დაცვისთვის არ არსებობს ერთი რაიმე რეცეპტი და ეს არც მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი გადაწყვეტილებებით მოხდება. მაგალითად, საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ კანონი არც თუ ცუდი იყო იმ თვალსაზრისით, რომ თეორიულად იგი საზოგადოებრივი მაუწყებლის ავტონომიას ხელისუფლების ზეგავლენისგან იცავდა, მაგრამ პრაქტიკაში ეს რეალურად არ ხორციელდებოდა. BBC კი, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსაც ეროპიროვნულად პრემიერ-მინისტრი ნიშნავს, გაცხადებით უფრო ავტონომიურია, ვიდრე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი. ამდენად, სამართლებრივი კრიტერიუმი — ეს არის ერთი მიდგომა, მაგრამ არა ერთადერთი.

ავტონომია ნიშნავს მისი აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების და სტუდენტების ავტონომიას. ხშირად ემუდბათ და ფიქრობენ, რომ თუკი სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეებში არ ერევა, მაშინ უნივერსიტეტი ავტონომიურიაო, ამ დროს კი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შეიძლება პოლიტიკურად მოტივირებულ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებდეს — უნივერსიტეტში ვინ იმუშავებს და ვინ არა, რაც ავტონომიურობის პრინციპს ლახავს.

აკადემიური პერსონალის ავტონომიის უზრუნველყოფის ერთერთი მთავარი გზა იქნებოდა ის, რასაც ვი ვადალის კონცეფცია გვთავაზობს. ტენუარება, რომელთაც აქვთ აღიარებული სამეცნიერო რეპუტაცია,

უნდა შექმნან უნივერსიტეტის ის ჩონჩხი, რომელიც აკადემიურ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს ადმინისტრირებაზე მაღლა დააყენებენ, დაიცავენ უნივერსიტეტის მთელ პერსონალსა და სტუდენტობას პოლიტიკური მანიპულირებისგან და სხვა გარე ფაქტორებისგან, რომლებმაც უნივერსიტეტს შესაძლოა მისი განსაკუთრებული ადგილი და არსი დააკარგვიანონ.

— რამდენად ენდობით დღეს მოქმედ აკადემიურ საბჭოს, რომლის ზოგიერთი წევრის მიმართ თქვენ პრეტენზიებს გამოთქვამდით?

— დიდხანს ვიფიქრე — შემეტანა თუ არა საბუთები ამ კონკურსში, რადგან მისი შეტანა, გარკვეულწილად, ამ არჩევნების ლეგიტიმაციასაც ნიშნავდა. ამ მომენტში არ მაქვს სხვა გამოსავალი და არც პასუხი იმის თაობაზე, თუ რა მოხდება ამ არჩევნების შედეგად. ნებისმიერ შემთხვევაში მკაფიოდ ვიცი, რომ უნივერსიტეტები, მეცნიერება და ახალგაზრდობის განათლება არ უნდა დავთმოთ მხოლოდ იმის გამო, რომ პირობები, რომელშიც ამ მიმართულებებით ვითარების გაუმჯობესებისთვის ბრძოლა გვიწევს, არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი. ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს პასუხისმგებლობა და ეს პასუხისმგებლობა მით უფრო დიდია, ვინაიდან, როგორც ჩანს, პრობლემა მწვავედ აწუხებს მთლიანად საზოგადოებას. მივესალმები, რომ კონკურსში ამდენმა ადამიანმა შემოიტანა განაცხადი. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტში დღესეული ადამიანების პოტენციალი დაგროვდა, რომლებსაც ცვლილებები სურთ. ჩემთვის ეს იმის ინდიკატორია, რომ უნივერსიტეტი მზად არის ამ ცვლილებებისთვის. ეს პროცესი 16 აგვისტოთი არ მთავრდება. როგორც უნდა იყოს შედეგი, ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება დასასრული. პირიქით, არჩევნები იქნება დასაწყისი იმ ცვლილებების პროცესისა, რაც უნდა წარიმართოს უნივერსიტეტში. ამ მხრივ მაქსიმალურად ვიქნები ჩართული, რისი შესაძლებლობაც მექნება, და ვფიქრობ, რომ ეს არის საზოგადოების, სტუდენტების ნება და, დარწმუნებული ვარ, პროფესორისაც. მინდა, რომ კარგად გავაცნობიეროთ, ჩვენ ახლა ვსაუბრობთ არა სახელმწიფოს რაღაც ერთერთი ელემენტის უკეთესად თუ უარესად მონყოფაზე, არამედ ვლპარაკობთ იმ ბაზისის განვითარებაზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს ქვეყნის წინსვლას და განვითარებულ ქვეყნად ჩამოყალიბებას.



რეპტორობის კანდიდატები

არჩევნები იქნება დასაწყისი იმ ცვლილებების პროცესისა, რაც უნდა წარიმართოს უნივერსიტეტი

ინტერვიუ მესწიარებთან აკადემიურ დოქტორთან მარინა მუსხელიშვილთან

მეათე გვერდიდან

— თქვენი აზრით, აკადემიური საბჭო არის თუ არა მზად — ისეთ კანდიდატს დაუჭიროს მხარი, რომლისგანაც მკვეთრ ცვლილებებს ელოდება?
— ამას ჩვენ ვნახავთ. მოდით, ნუ გაუფსნებთ მოვლენებს.

ბიოგრაფიული შტრიხები

საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, დოქტორი **მარინა მუსხელიშვილი** დაიბადა 1956 წლის 15 ივნისს ქალაქ თბილისში. 1979 წელს დაამთავ-

რა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით. 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. 1982-1986 წლებში თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ. 1986-1993 წლებში მუშაობდა თსუ-ის ზოგადი მათემატიკის კათედრაზე დოცენტად. ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (მექანიკისა და მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი). 90-იან წლებში შეიცვალა სპეციალობა და მუშაობა დაიწყო პოლიტიკურ მეცნიერებებში.

1992-1996 წლებში გახლდათ საქართვე-

ლოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის თანამშრომელი, რომელიც ეწეოდა პარლამენტის კომიტეტების საინფორმაციო მომსახურებას.

გაიარა რამდენიმე სტაჟირება საზღვარგარეთ, მათ შორის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით 2002 წელს იყოფებოდა კოლუმბიის უნივერსიტეტში. 2006 წელს პოლიტიკური მეცნიერებების დარგში აირჩიეს სრულ პროფესორად და 2006-2009 წლებში გახლდათ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი.

2009-2010 წლებში ფულბრაიტის პროგრამით იმყოფებოდა ვაშინგტონის უნივერსიტეტში სენტ ლუისში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა უნივერსიტეტებში მონვეულ ლექტორად

დაიწყო მუშაობა და ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში დღემდე კითხულობს ლექციებს.

1996 წლიდან მუშაობს ა/ო საზოგადოების კვლევის ცენტრში, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს. მისი შესწავლის სფეროებია: დემოკრატია, დემოკრატიზაცია... შესრულებული აქვს როგორც თეორიული, ასევე ემპირიული კვლევები.

არის 50-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის ისეთ ნაშრომებს, რომლებშიც გამოცემილია მონაცემები, როგორცაა რუტლენის, შპრინგერისა და ბარბარა ბუდრისის შურონალები და კრებულები. არის 1 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სემინარებში.

ეროვნული სამეცნიერო ტრადიციების დამკვიდრება ჩემი პრიორიტეტი იქნება

ინტერვიუ დოქტორ მელა რუსუასთან

— ქალბატონო მელა, რა იყო მოტივაცია რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რატომ გაგიჩნდათ სურვილი, სათავეში ჩაუდგეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

— პედაგოგი ისტორიულად უნიკალურ პროფესიად ითვლება. საუკუნეების განმავლობაში მისადმი დამოკიდებულება ყოველთვის განისაზღვრებოდა საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარებით და იმ მოთხოვნებით, რომელთა განმსაზღვრელი ახალი თაობის აღზრდა-განათლებაა. ცნობილია ისიც, თუ რაოდენ რთული და მრავალმეტყველი იყო ის გზა, რომელიც განვლო თავად ამ პროფესიამ.

პედაგოგიური პროფესიისადმი ლტოლვა და პასუხისმგებლობა მუდამ განსაზღვრავდა ნებისმიერი ქვეყნის ცივილიზაციის დონეს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იმ ქვეყნებში დადგა დღის წესრიგში მასწავლებლის სათანადო მომზადების საკითხი, სადაც თავად ეს ცივილიზაცია განათლების საფუძველზე განვითარდა.

წარსული მხოლოდ სარკეა, რომელშიც მუდმივი ქვეყნარტეზიანი, ჩვენი დადებითი და უარყოფითი ქმედებანი შეგვიძლია აღვიქვათ და დავინახოთ. მომავალი ჩვენი ოცნებათა სამყაროა და მხოლოდ აწმყოა ის სფერო, სადაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ და ჩვენი ოცნება რეალობად ვაქციოთ.

თანამედროვე ცივილიზაციის მახასიათებელი ხდება ინფორმაციის მაღალი ტექნოლოგიები, რომელიც მომავალში მსოფლიოს მმართველ ძალად იქცევა. მასობრივი ინფორმაციის წყაროები, როგორც მსოფლიო გლობალიზაციის ერთერთი მთავარი ბერკეტი, არღვევენ ტრადიციულ ეთნიკურ, საზოგადოებრივ, რელიგიურ საზღვრებს, რელიგიური ცნობიერების გვერდით აღმოცენდა და დამკვიდრდა ათეისტური ცნობიერება.

ჩვენ, როგორც მცირე ქვეყნის ხალხმა, უნდა ვიფიქროთ ყოველნაირად დავიცვათ და შევიწინარწუნოთ ჩვენი ეროვნება (ენა, მამული, სარწმუნოება).

სამყაროსა და საზოგადოების ჰარმონიული თანარსებობა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ჩაუწერავთ მოზარდს; თუ როგორ მივანოვებთ მას თავისუფლებისა და ინტეგრაციის იდეას; რამდენად შევძლებთ მასში ადამიანურობის აღზრდას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნულობის, ერთიანობისა და განათლების გარანტი, სულისჩამდგმელი, ინიციატორი.

ადამიანი ცხოვრობს იმისთვის, რომ ეცადოს და მიადლოს. მთელი ჩვენი არსებობა ამგვარი მცდელობების უწყვეტი ჯაჭვია. ხან ვაღწევთ სასურველ შედეგს, ხან — ვერა. რა თქმა უნდა, ამგვარ აქტივობას შესაბამისი

სარბიელი და ასპარეზი სჭირდება. შევეცადები, უკეთესობისკენ შევცვალო სახელმწიფო უნივერსიტეტი. გათვითცნობიერებული მაქვს, რომ ამას ბევრი რამ სჭირდება — ორგანიზატორული უნარები, პედაგოგიური ტაქტი, შრომის ორგანიზაციის უნარი, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, მიზნის დასახვის და მიღწევის უნარი, კოლექტივში მუშაობის უნარი, სახელმწიფოს კანონებისადმი პატივისცემა, ჰუმანიზმი, სულიერება, სამშობლოს დაცვისთვის მზადყოფნა, ეროვნული სიამაყე, პატრიოტიზმი, ურთიერთობათა მოთხოვნილება. ვფიქრობ, ზემოთ აღნიშნული კომპონენტებითაც არ ამოიწურება მოთხოვნები და არც ზუსტ თეორიულ ჩარჩოებში ჩაისმება. იყო ლიდერი, ორგანიზატორი, ბუნების მიერ ბოძებული ნიჭია.

— მოკლედ თქვენი პროგრამის შესახებ — რას შეცვლით უნივერსიტეტში?

— შევეცადები, იგი გახდეს საგანმანათლებლო სივრცის წარმატებული წევრი და მან ამ სივრცეში ღირსეული ადგილი უნდა დაუკვიდროს ეროვნულ სამეცნიერო ტრადიციებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ტრადიციების, გელათის და იყალთოს აკადემიების სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრის, ძირითად ორიენტორს უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტში ეროვნული ღირებულებების, ქართველოლოგიური მიმართულებების გაფართოება, გაღრმავება და გადარჩენა; მაღალზნეობრივი, კვალიფიციური საერთაშორისო სტანდარტების დონის კადრების მომზადება. ქვეყნის დასაყრდენი უნდა გახდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობა.

რაც შეეხება ცვლილებებს, მას ეტაპობრივად განვახორციელებ, უნივერსიტეტის პრობლემებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. ბუნებით არ ვარ რევოლუციონერი, ვინაიდან ყოველ რეველუციას წგრევა ახასიათებს. კონსერვატორი ვარ, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის სიახლეებთან და ინოვაციებთან შეჯუბებაში, პირიქით, სულ ახლის ძიებაში ვარ, თუმცა არის გარკვეული ფასეულობები, რაც მარადიული და ხელშეუხებელია.

— რა მეთოდებს გამოიყენებთ იმისათვის, რომ თქვენი საარჩევნო პროგრამა განხორციელდეს?

— ეს მეთოდები არ დაექვემდებარება ძალადობასა და ავტორიტარულ მიდგომებს. იგი დაყრდნობა ტოლერანტობისა და კომუნიკაციის ჯანსაღ ფორმებს.

განათლების სფეროში რესურსების დაბანდება მკვეთრად უნდა გაიზარდოს და ეს უნდა მოხდეს განათლების პრესტიჟის გაზრ-



დით. სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილებაში უნდა შევიდეს საკითხები, რომელიც განათლების სფეროს შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფენ. უნდა დამუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც უნივერსიტეტში განათლების მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შექმნიან.

— ენდობით თუ არა თსუ-ის აკადემიურ საბჭოს გადაწყვეტილებას?

— ნინასნარი შეფასებისაგან თავს შევიკავებ. არჩევნები გვიჩვენებს, თუმცა არ მაქვს ეჭვისა და უნდობლობის არანაირი საფუძველი. ნინააღმდეგ შემთხვევაში, მონაწილეობას არ მივიღებდი. ერთერთი ფაქტორი, რამაც ჩემი არჩევნებში მონაწილეობა განაპირობა, იყო ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის რწმენა. ვიმედოვნებ, ჩატარდება ყველაზე გამჭვირველი, ობიექტური და სამართლიანი არჩევნები, რადგან აკადემიური საბჭო ყოველგვარი ზენოლისგან თავისუფალი იქნება.

მე ყველა კონკურსანტს წარმატებას ვუსურვებ.

ბიოგრაფიული შტრიხები

მელა რუსუა დაიბადა 05.11.1964 ქალაქ ზუგდიდში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაიცვა დისერტაცია. არის განათლების მეცნიერების დოქტორი (Ph.D).

არის 11 საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომის და ერთი მონოგრაფიის - „ჯონ ლოკი, ფიქტურები აღზრდაზე“ - ავტორი;

1986-1987 წლებში მუშაობდა მასობრივი მუშაობის ორგანიზატორად ქ. ზუგდიდის ბალმარანის საბაზო სკოლაში.

1987-1988 წლებში — იყო სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ქ. ზუგდიდის ბალმარანის საბაზო სკოლაში;

1988-1990 წლებში იყო ცხვარიჭამის პიონერთა ბანაკ „თიანეთის“ (შემდგომში მოსწავლეთა და ახალგაზრდობის რეაბილიტაციის ცენტრში) დირექტორის მოადგილე მასობრივ-ალმურდებლობით დარგში.

1991-1996 წლებში სწავლობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1996 წელს მუშაობდა დაიწყო პედაგოგად (ინგლისური ენა) ქ. თბილისის 32-ე პროფესიულ ლიცეუმში, 1997 წელს — პედაგოგად ქ. მოსკოვის ქართული სათვისტომოს მე-III კლასიკურ გიმნაზიაში.

1998 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიის ფაკულტეტზე ასპირანტურის განყოფილებაში;

1999-2001 წლებში მუშაობდა ჟურნალისტისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში ლექტორად.

2002-2003 წლებში იყო ბიზნესისა და მართვის ინსტიტუტის ადმინისტრაციის უფროსი.

2004 წელს მუშაობდა საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტ „თბილისის“ ლექტორად. 2007 წელს ასრულდა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას; იყო ამავე ფაკულტეტის დეკანი.

2009 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში (გარდაამალი); მიმართულება: განათლების მეცნიერებები.

2011 წელს დავიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჯონ ლოკის პედაგოგიური მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ და მიენიჭა განათლების მეცნიერების დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხი.

მელა რუსუა იყო მცირეწლოვანთა სამართალდარღვევის პრობლემების შემსწავლელ ცენტრ „არა ასოციალურ ქცევას“ — კონსულტანტი; ასევე აგრო სექტორ — „დარგე და ახარე შენი ხე“, „ჩვენი საუნჯეს“ კოორდინატორი; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში — „ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღ ცხოვრების წესს“ — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“ — კოორდინატორი.

არის ევროპულ მკვლევართა საერთაშორისო (სამეცნიერო) ასოციაციის (ERA) წევრი (თანამომხსენებელი);

მუშაობს თემაზე პროფესორ ჯონ დანის (კემბრიჯის უნივერსიტეტი) ხელმძღვანელობით: „საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხედვა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ინტეგრირების პროცესში“ ტრადიციებისა და სიახლის სინთეზი“.

მელა რუსუა პედაგოგების ოჯახიდანაა. ჰყავს და-ძმა და ძმისშვილი, რომლებიც მოღვაწეობენ საზღვარგარეთ.



რეპტორობის კანდიდატები

მინდა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა წამყვანი პოზიციები დაიკავონ როგორც საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, ისე – დასაქმების ბაზარზე

ინტერვიუ პროფესორ ირმა რატიანთან

უფალთან თანხმობაში ცხოვრების სურვილს ადამიანები იოლად ვერ ამყლავებენ... ქალბატონ ირმა რატიანს კი ამ პასუხისმგებლობის და ტვირთის ტარების, როგორც ჩანს, არ ეშინია... ფიქრი მტკვრის პირას ჯერ კიდევ მე-9 კლასიდან დაიწყო და ტატოს ლექსების შთაბეჭდილების ქვეშ დარჩენილ მომავალ ფილოლოგს არ გასჭირვებია მოზღვავებულის ემოციების ფურცლებზე გადატანა... წარმატებაც მაშინვე მოვიდა... მოსწავლეთა რე-სპუბლიკურ ოლიმპიადებზე არ დაიბნა და პირველად მაშინ გაიმარჯვა... ლირიკის მორევში „გაჭენებულმა“ ბარათაშვილმა მას თავი უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე სწავლის დრო-საც შეახსენა და ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტადაც გამოარჩიეს სხვათაგან... თუმცა მამის კვალს გაყოლის სურვილის კარნახით შინაგანი ხმა ჯერ კიდევ ბავშვობაში ახსენებდა თავის მისიას — ქართული ლიტერატურა აერჩია სწავლის, განსჯის, თეორიული ჩაღრმავების და ბოლოს — კვლევის საგნადაც... მის ცხოვრებაში გამოჩნდა პერიოდიც, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის სადავების დაცვის სადარაჯოზეც დადგა... კომუ-ნისტური რეჟიმის მარწმუნებელსგან პირადი ინიციატივით გამოთავისუფლებულმა აზროვნე-ბამ ბიძგი მისცა და... ქართულ სიმბოლოთა პატივისცემით ნასაზღვრებმა სულმა სანადელს მიაღწია — ქალბატონ ირმა რატიანი დღეს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ-ერატურის ინსტიტუტის დირექტორია და, თუ შეიძლება ითქვას, ამ პატარა მწვერვალთან „საკუთარი განვლილი გზის მკვლევარის“ ამპლუაში ეჭიდება ცხოვრებას, ყოფას, რეალობას, თანამედროვეობას... საკუთარ თავში „მადიებლობა“ მან უკვე დიდი ხანია დაამთავრა და გამოტანილი დასკვნების გულწრფელად აღიარების უამრავ დაუდგა... ირმა რატიანს უამრავი მიზეზი დაუგროვდა იმისათვის, რომ თავი შესთავაზოს უნივერსიტეტს რექტორად — იგი თავის მიზნებზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ გულახდილად ესაუბრა.

— ქალბატონო ირმა, გავაცანით თქვენი ოჯახი, ფესვები, საიდან მოვიდა ქართული ფილოლოგიის სიყვარული?

— მამა, შალვა რატიანი, პროფესიით ფილოლოგი იყო და წლების განმავლობა-ში მუშაობდა შოთა რუსთაველის ქართუ-ლი ლიტერატურის ინსტიტუტში. სამწუ-ხაროდ, ის ძალიან ადრე — 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მე მაშინ 14 წლის ვიყავი, ჩემი და კი, დღეს უკვე ცნობილი სოპრანო, ირინე რატიანი — 12 წლის იყო. დედამ, რო-მელიც პროფესიით ექიმი, მარტომ ითავა ჩვენი აღზრდა და მთელი თავისი ძალა და ენერჯია ჩვენ შეგვალა. მიუხედავად პა-ტარა ასაკისა, კარგად მახსოვს მამას უახ-ლოესი სამეგობრო წრე: ნოდარ ალანია, აგი აბაშიძე, მირიან აბულაძე, გურამ ასათიანი, ქიცა ხერხეულიძე, შოთა ვაძაყაძე, ხეთისო არჩემაშვილი, ზურაბ ლომიძე — ადამიანე-ბი, რომლებიც ქმნიდნენ ამინდს მაშინდელ ქართულ ლიტერატურულ და, ზოგადად, ინტელექტუალურ წრეებში. ისინი ხშირად გვცხუმობდნენ, მით უფრო, რომ ბევრი მათგანისათვის გზაც არ იყო შორი: ჩვენ ვცხოვრობდით ლიტერატორების სახლში, მცხეთის ქუჩაზე და ეს გარემო ხელს უწყ-ობდა ჩემს მუდმივ თანაზიარობას ლიტერა-ტურულ გარემოსთან.

ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც ამით იყო განპირობებული ჩემი პროფესიული არჩევანი, მაგრამ ნამდვილად დიდი როლი ითამაშა მამის ნაადრევმა გარდაცვალებამ და ჩემმა სურვილმა, არ დამეკარგა მამის კვალი. გარდა ამისა, ალბათ, არსებობდა გარკვეული ბუნებრივი მონაცემები და შინაგანი განწყობა ამ პროფესიისადმი.

— როდესაც ადამიანები ლიტერატუ-რას ეხებან, ხშირად იხსენებენ კონკრე-ტულ დროს და მწერალს, რომლის გაც-ნობის შემდეგაც შეიგრძნეს, რომ მათ იზ-იდავთ და აინტერესებთ ლიტერატურის სამყარო. თქვენ თუ გახსოვთ, რა იყო ასეთი დიდი შთაბეჭდილება?

— მე-9 კლასში ვიყავი, როდესაც გა-მიჩნდა დამოუკიდებელი სურვილი, რაღაც დამეწერა ბარათაშვილზე. საამისოდ სერიოზული ბიძგი აღმოჩნდა ბარათაშ-ვილის პირადი მიმონწერის — მეგობრე-ბისადმი, ოჯახისადმი, მაიკო ორბელია-ნისადმი მიწერილი წერილების გაცნობა. მოგვხსენებთ, 15-16 წელი მოჭარბებუ-ლად რომანტიკული ასაკია და ამ დროს ეპისტოლურ ფანრთან, მით უფრო ესოდენ დახვეწილთან, ზიარება განსაკუთრებით იპყრობს ახალგაზრდის ემოციას. ჩემი სურვილიც ეს იყო — წამეკითხა ბარათაშ-ვილის პოეზია რომანტიკული ემოციების ფონზე. სწორედ ამ პერიოდში დავდიდი

ლიტერატურულ წრეზე მაშინდელ „პიო-ნერთა სასახლეში“ ჩემთვის დაუფინყარ დოდო დეიდასთან — ქალბატონ დოდო ჯორბენაძესთან. მან პირველმა მომიწონა ნაშრომი და „წრის“ სახელით წარმადგინა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადე-ზე. ძალიან ვეღებავდი, პირველად ვიდექი დიდი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ, რო-გორც ჩანს, არ დავიბენი — გაიმარჯვე, მივიღე პირველი ხარისხის დიპლომი და, რაც მთავარია, — სრულიად გარკვეული გადაწყვეტილება მომეცა პროფესია-სთან დაკავშირებით.

— რა ასოციაციას იწვევს თქვენში სტუდენტობის პერიოდის გახსენება?

— უნივერსიტეტში 1984 წელს ჩავაბარე და სწავლა 1989 წელს დავასრულე. ჩვენ ვი-ყავით საბჭოთა პერიოდის უნივერსიტეტის ბოლო გამოშვება.

მიუხედავად ამ გარდამავალი პერიოდი-სა, ის უნივერსიტეტი, რომელშიც მე ვსწავ-ლობდი, ძალიან საინტერესო იყო: უამრავი მოგონება მაკავშირებს სტუდენტობასთან — კარგიც, ნაკლებად კარგიც, მაგრამ ყო-ველთვის საინტერესო. გარდა იმისა, რომ ვიყავი რიგითი სტუდენტი, რომელიც ცდი-ლობდა, კარგად ესწავლა და წარმატების-თვის მიეღწია, ასევე ვიყავი ცნობილი სტუ-დენტური „პრეს-კლუბის“ ერთერთი დამ-ფუძნებელი და წევრი. შესაბამისად, ჩემი სტუდენტური ცხოვრება საკმაოდ სისხლ-სავსე და მოუსვენარი იყო.

— თქვენ იმ თაობის პედაგოგთა სტუ-დენტი ბრძანდებით, რომლებიც დღეს უკვე ქართული ფილოლოგიის პატრიარ-ქებად მოიხსენებიან. ვინ გიკითხავდათ უნივერსიტეტში ლექციებს და გყავდათ თუ არა „თქვენი ლექტორი“, რომელმაც თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობაზე მოახ-დინა გავლენა?

— ჩემს პროფესიულ ცხოვრებაში გა-დამწყვეტი როლი შეასრულა ბატონმა თენ-გიზ კიკაჩიშვილმა. მან არა მარტო განსაზ-ღვრა ჩემი პროფესიული არჩევანი, არამედ — ადამიანობის ფასდაუდებელი გაკვეთი-ლებიც მომცა: ბატონი თენგიზი, გარდა იმისა, რომ თავის საქმის პროფესიონალია, უადრესად ღირსეული პიროვნებაა. მეორე კურსიდან უკვე მასთან ვმუშაობდი — ხან საკურსო, ხანაც საკონფერენციო თემებ-ზე, მოგვიანებით ასპირანტურაში ჩავაბა-რე ლიტერატურის თეორიის მიმართულე-ბით და პირველი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელიც ბატონი თენგიზი იყო.

აქვე, არ შემიძლია არ გავიხსენო ადამი-ანები, რომლებმაც დიდი ამაგი დამდეს: ბატონი კორნელი დანელია — შესანიშნავი ენათმეცნიერი, ჩვენი დეკანი, თბილი და



გულსხმიერი ადამიანი, ქალბატონი ნელი ბაბუნაშვილი, მართლაც არაჩვეულებრი-ვი ქალბატონი, რომელსაც ძალიან დავწყ-ვიტე გული, როცა ენის მიმართულება არ ავირჩიე, ბატონი ალექსანდრე ალექსიძე — სრულიად დაუფინყარი პროფესორი, ბრწყ-ინვალე ლექტორი და პიროვნება, ქართუ-ლი ლიტერატურათმცოდნეობის მეტრები — ბატონები რეზო სირაძე, ზურაბ კიკნაძე, გრივერ ფარულავა...

— ჩვენი თაობა აქტიურად იყო ჩარ-თული სტუდენტური სალონებისა და წრეების მუშაობაში, იმართებოდა სტუ-დენტური შემოქმედების განხილვები. თქვენ რამდენად იყავით მათი ხშირი სტუმარი?

— ძალიან აქტიური სტუდენტი ვიყავი, ჩემი სტუდენტური ინტერესები სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავდა. პრევალირებდა აკადემიური სფერო — დიდ დროს ვუთმობ-დი სწავლას, ვცდილობდი, მეტად მომეხ-დინა ჩემი შესაძლებლობების რეალიზება. ვიმედოვნებდი, რომ ოდესმე მეცნიერებაში ვიმუშავებდი და საჭიროდ მიმაჩნდა, ამ მი-მართულებით დამეხვეწა ცოდნა. ჩემი მც-დელობის შედეგი იყო ის, რომ მესამე კურ-სიდან გავხდი ბარათაშვილის სახელობის სტიპენდიანტი (ისევე ბარათაშვილი!) და ფი-ლოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სა-მეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მაგრამ, ეს ნამდვილად არ იყო ერთადერთი სფერო, სადაც ჩემს თავს ვპოულობდი: უდიდესი სიამოვნებით ვიყავი ჩართული სტუდენტთა ლიტერატურული წრის მუშაობაში. ეს წრე იყო ემოციურად დამუხტული ჰაერი, რომე-ლიც ძალიან გვჭირდებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს.

— ის პერიოდი, რომელზეც ახლა თქვენ საუბრობთ, ძალიან საინტერესო იყო იმიტომ, რომ იწყებოდა ეროვნული მოძრაობის გამოღვივება. მახსოვს, რომ

ღრმად მოაზროვნე სტუდენტები ძალიან მჭიდროდ ჰყავდათ მიმავრებული კომ-კავშირულ ორგანიზაციაზე, რათა ისინი რაიმე მოძრაობაში არ ჩაბმულიყვნენ. თქვენ ისეთი სამეგობრო გყავდათ, რომ-ლებიც დაუმორჩილებლთა და პროტეს-ტანტთა ჯგუფს განეკუთვნებოდა. როგორ ახერხებდით, რომ პიროვნული თავისუ-ფლება არ შეგეზღულათ, ყოფილიყავით ერთდროულად სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც და სტუდენტური პრეს-კლუბის წევრიც?

— რაც თავი მახსოვს, სულ დაკავებუ-ლი ვიყავი ასაკისათვის შესაფერისი სხვა-დასხვა საქმიანობით და მგონია, რომ თუ ადამიანს ეძლევა თავისი ენერჯისა და შე-საძლებლობების გამოვლენის საშუალება, ეს კარგია.

რაც შეეხება კომკავშირს, ამ ორგანი-ზაციასთან, ფაქტობრივად, ურთიერთობა არ მქონია: ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მე ის არაფერში მჭირდებოდა. მხოლოდ მე-10 კლასში მიმიღეს კომკავშირში, ისიც იმი-ტომ, რომ ოქროს მედლის კანდიდატი ვი-ყავი და სხვაგვარად მაშინ მედლის გაცემა არ შეიძლებოდა. მახსოვს, კლასის დამრი-გებელი მოვიდა დედაჩემთან სპეციალური ვიზიტით და თხოვნით: „ეს თუ არ შევიდა კომკავშირში, მედალს, რასაკვირველია, არ მისცემენ, მაგრამ სკოლასაც დიდი საყვე-დური შეხვდება“. ასე აღმოვჩნდი ორგანი-ზაციაში, სადაც ჩემი ყოფნის „სტაჟი“ სულ რაღაც სამი წლით განისაზღვრა — პირვე-ლივე შესაძლებლობისას ჩავაბარე მანდატი იმ სტუდენტებთან და ლექტორებთან ერთ-ად, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს პარტიასა და კომკავშირს.

რაც შეეხება სტუდენტურ მოძრაობას, მე-3 კურსის ბოლოდან აღმოვჩნდი მასში



რეპტორობის კანდიდატები

მინდა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ნამყვანი პოზიციები დაიკავონ როგორც საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, ისე – დასაქმების ბაზარზე

ინტარვიუ პროფესორ ირმა რატიანთაძე

მეთორმეტე გვერდიდან

ჩართული და ეს, რასაკვირველია, იყო იმ წლის დამსახურება, რომელშიც ვტრიალებდით. მოძრაობა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებს აერთიანებდა, მაგრამ მიზანი საერთო გვექონდა — გვინდოდა გვეთქვა თავისუფალი სიტყვა, ხშირად რადიკალურიც, იმ რთულსა და, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ჩაკეტილ ეპოქაში. როცა ოცი წლისა ხარ, რადიკალიზმშიცა და სიჯიუტეც ნორმალურია, მეტიც — ეს საჭიროა საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ სტუდენტების აქტიურობაში ტრადიციული და ცუდი არაფერია, პირიქით.

სტუდენტური მოძრაობის ლიდერი იყო სტუდენტური „პრეს-კლუბი“, სადაც ჩემს გვერდით იყვნენ (თუ მე ვიყავი მათ გვერდით) დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, ქეთი გვაზავა, მოგვიანებით — კახა ლორია, გიორგი მასიურაძე, ნანა ბოკუჩავა და სხვანი. კარგად მახსოვს ის შინაგანი მღელვარება, როდესაც მე და დათო ტურაშვილი, სტუდენტების სახელით, სიტყვით გამოვსვლა მოგვინია უნივერსიტეტში შევარდნაძესთან და რაზუმოვსკისთან გამართულ ისტორიულ შეხვედრაზე...

როცა ამ პერიოდზე ვსაუბრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო ბატონი ნოდარ ამალობელი, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი — ღირსეული პიროვნება, შესანიშნავი მეცნიერი და, უბრალოდ, კაცი, რომელსაც უყვარდა სტუდენტები. რომ არა მისი კეთილგანწყობა სტუდენტების მიმართ, დიდი ალბათობა იყო იმისა, რომ „სტუდენტური ფურცელი“ საერთოდ არ ჩაერთოთ უნივერსიტეტის გაზეთში. „სტუდენტური ფურცელი“-ს ბექედის იდეას იცავდა და კურირებდა პრორექტორი, ბატონი ვახტანგ გოგუაძე. ეს თანადგომა და თანაგრძნობა უნდა გვახსოვდეს!

— თავისი არსებობის მანძილზე უნივერსიტეტი მუდამ იდგა ყველა იმ პროცესის სათავეში, რაც კი საქართველოში მომხდარა: ენის დაცვის საკითხი, ეროვნული მოძრაობა და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ეს ნიშა — საზოგადოების ფლაგმანისა, დღესაც უნდა ეკავოს უნივერსიტეტს?

— დიახ, ეს იყო მისია, რომელიც იმთავითვე ეკისრებოდა ქვეყნის პირველ უნივერსიტეტს, განსაკუთრებით, საბჭოთა დიქტატურის პირობებში, და რომელიც ღირსეულად შეასრულა უნივერსიტეტმა. მაგრამ, მოგახსენებთ, დრო იცვლება და ეს ცვლილება საქართველოსთვის, პირველ რიგში, დამოუკიდებლობის აღდგენით აღინიშნა, თავისუფლებით, რომელიც ხანგრძლივი და ტკივილიანი მოლოდინის შემდეგ მოიპოვა ქვეყანამ.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელმაც ახალ ისტორიულ და პოლიტიკურ ხანაში შეაბიჯა, ეპოქაში, როდესაც ქვეყნის სტრატეგიას — პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს თუ საგანმანათლებლოს განსაზღვრავს სახელმწიფო, რომელსაც აქვს გარკვეული ხედვა და გეზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისთვის მნიშვნელოვანი და საჭირობო-ტო საკითხების გადაჭრის მიზნით, აქტიურად უნდა ითანამშრომლოს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სტრუქტურებთან — ეს უნდა იყოს კონსტრუქციული დიალოგის ფორმატი, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული შედეგებისკენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს სწავლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობასა და განვითარებაზე, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიან განათლებაზე ორიენტირებული ძლიერი, თავისუფალი საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანიც იქნება ქვეყნისათვის ღირსეული მოქალაქეებისა და პროფესიონალების აღზრდა, სტუდენტისა და ქვეყნის ინტერესებზე მორგებული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება.

ვთვლი თუ არა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც პირველ ქართულ უნივერსიტეტს, უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერის იმედი? დიახ, ვთვლი, ვინაიდან ყოველი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია სიმბოლოთა პატივისცემისა და დაცვის ისტორიაა.

— თქვენი მოღვაწეობის კიდევ ერთი სფერო — შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის დირექტორობა არ არის მარტო ის, რომ კარგი მკვლევარი იყო — აქ ბევრი კარგი მკვლევარი მუშაობს. ამ საქმეს სჭირდება ის თვისებები, რომელიც ადამიანს დაბადებიდან უნდა ჰქონდეს — ინიციატივანობა, ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა, სიახლეების ხედვა და მომავლის განჭვრეტის უნარი. რადგან ამ ინსტიტუტის საქმიანობა უკვე ხელის გულზე დეეს — გამოიცემა უამრავი საჭირო ლიტერატურა, ნიგონი და ჟურნალი, იმართება პრეზენტაციები და ჩანს, რომ აქ სიტუაცია დულს, გვაფიქრებინებს, რომ თქვენ, პედაგოგიური და სამეცნიერო უნარების გარდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარებიც გაქვთ. რა არის თქვენთვის ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობა?

— ჩემთვის ეს, პირველ ყოვლისა, დიდი პატივია. ამ ინსტიტუტის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ღრმა კვალი დაამჩნიეს ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ჩამოყალიბებას — კორნელი კეკელიძე, შალვა რადიანი, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ციციშვილი, სარგის ცაიშვილი და სხვანი. ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩემი ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს: ისინი არიან პროფესიონალები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან თავის ქვეყანას და ასრულებენ თავის პროფესიულ ვალდებულებებს არცთუ ისე სახარბიელო ანაზღაურების პირობებში. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი არის ეროვნული კვლევების უმნიშვნელოვანესი ცენტრი ჩვენს ქვეყანაში, მე ვიტყვოდი, შეუცვლელი თავისი მიზნების, ამოცანებისა და შედეგების თვალსაზრისით.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის, ფოლკლორის განყოფილებები; ტექსტოლოგიის, რუსთველოლოგიისა და გალაკტიონოლოგიის კვლევითი ცენტრები; სამეცნიერო თარგმანის ჯგუფი. ინსტიტუტის ბოლოდროინდელი სამეცნიერო წარმატებები ნამდვილად მახარებს: დიდძალი სამეცნიერო ბექედური პროდუქცია — მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებულები, აკადემიური გამოცემები, თემატური გამოცემები, სამეცნიერო ჟურნალები; მიზნობრივი ბექედური პროდუქცია — სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები საქართველოს უნივერსიტეტებისათვის; ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ინტერნაციონალიზაცია — საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და ვორკშოპების ორგა-

ნიზება, სამეცნიერო კრებულების პუბლიკაცია პრესტიჟულ უცხოურ გამოცემებში, მთარგმნელობითი პროექტების განხორციელება, მონაწილეობა საგრანტო პროექტებში; ქმედითი თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სკოლებთან — ეს ყველაფერი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია.

— რა მოუტანა ამ ინსტიტუტს უნივერსიტეტთან ინტეგრაცია?

— ცხადია, მქონდა მოლოდინი, რომ ისეთ კარდინალურ ცვლილებას, როგორცაა სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავლო დაწესებულებასთან ინტეგრაცია, გარკვეული სირთულეები მოყვებოდა, მაგრამ ძალიან შევეცადე (ადმინისტრაციასთან ერთად), რომ ეს სირთულეები ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს არ ეგრძნოთ: მეცნიერს სჭირდება სიმშვიდე, თუნდაც ელემენტარული კომფორტი და სტაბილურობის განცდა იმისათვის, რომ იმუშაოს. რაკილა დღეს მე ვარ ამ ინსტიტუტის დირექტორი, ვთვლი, რომ სირთულეებიც მე უნდა გადავლახო ინსტიტუტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად.

ზოგადად, კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია ჩემთვის სრულიადაც არ არის მიუღებელი — ეს მსოფლიოში აპრობირებული და მიღებული მოდელია. მაგრამ ინტეგრაციისას აუცილებელია გარკვეული პირობების დაცვა: პირველ ყოვლისა, ინტეგრაცია არ უნდა ნიშნავდეს განლევას, განსაკუთრებით, იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროდუქციას ქმნიან, და მეორე — ადმინისტრაციულ და მართვა-უნდა იყოს მობილური და მოქნილი. ასეთ შემთხვევაში ინტეგრაცია ორმხრივად სასარგებლო იქნება.

დასაწყისი ყოველთვის რთულია, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ თანდათან მივუახლოვდებით იმ ოპტიმალურ კონდიციას, როცა ინტეგრაცია ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება.

— თქვენ გადაწყვიტეთ თსუ-ის რექტორის არჩევნებში მიიღოთ მონაწილეობა. რა მოტივაცია ახლავს თქვენს სურვილს — გაახდეთ რექტორი?

— პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მაქვს გულწრფელი მოწინება და სიყვარული უნივერსიტეტისა, მისი ისტორიისა და რეალობისა, აგრეთვე, დიდი სურვილი - ვიხილო იგი მსოფლიოს წარმატებული უნივერსიტეტების გვერდით.

ბოლო 30 წლის მანძილზე უნივერსიტეტი ჩემი პროფესიული ცხოვრების ფორმირებისა და განვითარების კერას და სარბიელს წარმოადგენს: 1984 წლიდან დღემდე საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა პროცესის, ჯერ სტუდენტურის, შემდგომ კი — აკადემიურისა და სამეცნიეროს თვითმზილველი, გულშემატკივარი და აქტიური მონაწილე ვარ. ჩემი აკადემიური და სამეცნიერო მუშაობა უწყვეტად მიმდინარეობს უნივერსიტეტის ეგიდით და თავს მის ორგანულ ნაწილად მივიჩნევ. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული კოლექტივი ჩემთვის მშობლიური კოლექტივია და დიდი სურვილი მაქვს, მასთან ერთად, წვლილი შევიტანო უნივერსიტეტის შემდგომი აღმავლობისათვის წარმოებულ მუშაობის პროცესში. დიდი სურვილი მაქვს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ნამყვანი პოზიციები დაიკავონ როგორც საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, ისე — დასაქმების ბაზარზე.

გარდა ამისა, 2006 წლიდან ვხელმძღ-

ვანელობ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, რომელიც 2010 წლიდან უნივერსიტეტის შემადგენელ სტრუქტურად იქცა. სახეზეა ინსტიტუტში წარმოებული როგორც სამეცნიერო, ისე ადმინისტრაციული მუშაობის თითქმის შედნლიანი წარმატებული გამოცდილება, მათ შორის, საერთაშორისოდ აღიარებული და უნივერსიტეტთან ინტეგრაციის სწორი კურსი.

ყველა ეს მიზეზი საფუძველს მძღვეს, მოვიაზრო ჩემი თავი უნივერსიტეტის რექტორის ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

— რა კონცეფციით მოდიხართ და რას შეცვლით უნივერსიტეტის რეალობაში?

— ჩემ მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ეფუძნება, ერთი მხრივ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის ღრმად გააზრებას და, მეორე მხრივ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცის პროგრესის განმსაზღვრელ აღიარებულ პრინციპებს — აკადემიურ თავისუფლებას, მიუკერძოებლობასა და ხარისხს.

ამ პრინციპების რეალიზაციით უნივერსიტეტის მისიის მთავარი განმახორციელებელი, ცხადია, უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტობაა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, უპირველეს ყოვლისა კი — რექტორს, ევალება მათთვის იმ პირობების შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს დასახელებული პრინციპებით სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას.

კონცეფციაში მოაზრებულია აუცილებელი, ამასთანავე, აბსოლუტურად რეალი-სტური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესორებისა და სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესებასა და წინსვლას, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას და განვითარებას.

კონცეფციის თითოეული დებულება და პუნქტი აგებულია „პოზიტიურის“ და „შემოქმედებითის“ პრინციპზე და ემსახურება ერთ მიზანს — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისმა პროფესორამ და სტუდენტობამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

ბიოგრაფიული შტრიხები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ირმა რატიანთაძე** დაიბადა 1967 წლის 19 ივლისს ქალაქ თბილისში. 1989 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1992 წელს დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურა ლიტერატურის თეორიის სპეციალობით. 1991-1993 წლებში გახლდათ თსუ-ის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი, 1993-1999 წლებში მუშაობდა თსუ-ის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, გახლდათ თსუ-ის

რეპტორობის კანდიდატები

მინდა, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა წამყვანი პოზიციები დაიკავონ როგორც საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო პროცესში, ისე – დასაქმების ბაზარზე

ინტერვიუ პროფესორ ირმა რატიანთან

მეცამეტე გვერდიდან

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დოცენტი. 2000-2004 წლებში იყო შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2004-2006 წლებში გახლდათ შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილების გამგე. 2004-2006 წლებში იყო თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, ხოლო 2006 წლიდან დღემდე არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი. 2006 წლიდან დღემდე იგი შ. რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორია. ასევე, 2006-2010 წლებში იყო თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი; 2007-2008 წლებში გახლდათ ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ ექსპერტი;

2006 წლიდან დღემდე არის კომპარატივისტული ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი; 2009 წლიდან დღემდე არის, ასევე, კომპარატივისტული ლიტერატურის ევროპული ასოციაციის წევრი. 2012 წლიდან დღემდე გახლავთ კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი. 2011-2013 წლებში ლექციებს კითხულობდა ყაზახეთში, ასტანაში, ნ. გუმბილიოვის სახელობის უნივერსიტეტში; ბულგარეთში – ლიტერატურის ინსტიტუტში საზაფხულო ლიტერატურული სკოლის ფარგლებში (ევროკავშირის გრანტი); ასევე სლოვენიაში ლუბლიანას უნივერსიტეტსა და სლოვენიურ ლიტერატურის ინსტიტუტში. 1013 წლის 12 მარტს მიენიჭა გრიგოლ კიკნაძის სამეცნიერო პრემია ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. 2013 წლის 14 ივნისს დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით. არის მრავალი ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე და ორგანიზატორი, გახლავთ

არაერთი ლოკალური და საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და მონაწილე. მინიჭებული აქვს: კემბრიჯის უნივერსიტეტის სტიპენდია (დონორი ორგანიზაცია – კემბრიჯის უნივერსიტეტი), შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია (დონორი ორგანიზაცია – ფონდი „შოთა რუსთაველი“) DAAD-ის სტიპენდია (გერმანიის ქ. ზაარლანდის უნივერსიტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დეპარტამენტი), JSPS-ის სტიპენდია (ოსაკის (იაპონია) სახელმწიფო უნივერსიტეტის ენებისა და კულტურის ფაკულტეტი) და სხვა. 2005 წლიდან დღემდე არის ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო ჟურნალების – „სჯანი“ და „LitInfo“ მთავარი რედაქტორი; სამეცნიერო ჟურნალის - „LITERATURA UN KULTURA: Process, Mijedarboeba, Problemas“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ავტორია 90-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომისა. მათ შორის: მონოგრაფიებისა: „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010), „ქრონო-

ტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში“ (2006), „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში. ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“ (2005); სამეცნიერო ნიგნებისა და სახელმძღვანელოებისა: „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“ (2012), „ფაზულა სიუჟეტი“ (2011), „უანრის თეორია“ (2009), „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი“ (2008); პუბლიცისტურ-ესეისტური ნიგნისა – „იაპონური დღიურები“ (ქართულ და რუსულ ენებზე, შესაბამისად – 2000, 2002); მხატვრული თარგმანისა კომენტარებით – „ასი უძველესი იაპონური ლექსი“ (2008). არის მთავარი რედაქტორი 30-ზე მეტი სამეცნიერო ნიგნისა და კრებულისა. მათ შორის: სამეცნიერო ნიგნისა: „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება“, რომელიც დაიბეჭდა ინგლისში, კემბრიჯის სამეცნიერო გამომცემლობის მიერ (CSP) 2012 წელს.

მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია

ინტერვიუ პროფესორ მანანა ხაჩიძესთან

— რატომ გადაწყვიტეთ რომ მიველოთ მონაწილეობა რექტორის არჩევნებში?
— სამწუხაროდ ყოველი ახალი რექტორის არჩევა გაუმართლებელი იმედი აღმოჩნდა. ასე მხოლოდ მე არ ვფიქრობ, თითქმის ყველა სტუდენტი, პროფესორი და უნივერსიტეტის თანამშრომელი მეთანხმება. რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეთ, რადგან იმედი მაქვს და ჩემი საკუთარი ძალების მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბევრ სასიკეთო ცვლილებას განვახორციელებ. საკმაოდ კარგად ვიცნობ არსებულ პრობლემებს.
— რექტორად არჩევის შემთხვევაში რასახსნი ცვლილებებს განახორციელებთ?
— თებერვალში გამოქვეყნდა კავკასიის რეგიონში უნივერსიტეტების რეიტინგი. რეიტინგში პირველ ადგილზე სომხეთის უნივერსიტეტია, მეორე ადგილზე — ილიაუნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კი მეოთხე ადგილი უჭირავს. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ უნივერსიტეტში რაიმე კატასტროფა ხდება. XXI საუკუნეში თსუ-ს გააჩნია ყველა სერიოზული დაწესებულებისთვის საჭირო კადრების დიდი რესურსი. რეიტინგის შედეგი უნივერსიტეტის ცუდი მენეჯმენტის ბრალია. საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული, ამიტომ მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია. ასევე, სხვაგვარად უნდა მოხდეს ფაკულტეტების დაყოფა, რათა ერთად არ იყოს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიმართულებები, რამაც სრული ქაოსი გამოიწვია როგორც სასწავლო პროცესში, ასევე მენეჯმენტშიც. ზუსტად და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ამის ნათელი მაგალითია. ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის შესწავლას დიდი მატერიალური რესურსი სჭირდება, რადგან ექსპერიმენტების გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართო, შესაბამისად დამხმარე პერსონალი მათ მეტი ესაჭიროებათ, რაც ზრდის მათთვის საჭირო ბიუჯეტს. სხვა რესურსი სჭირდება მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სწავლებას. სტუდენტების რაოდენობა კი უფრო მეტია კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებზე, ერთ სტუდენტზე განუვლი ხარ-

ჯი კი ნაკლები. ამის გამო ხშირად ხდება კამათი საფაკულტეტო სახსრების გადანაწილებაზე. ამიტომ აუცილებელია, რომ მსგავსი საკითხების გადაწყვეტის პროცესში აკადემიური პერსონალი იღებდეს მონაწილეობას. ამ ქაოსში ბევრი პროფესორი გაიქცა უნივერსიტეტიდან და კონკურენტ უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო მუშაობა. ვფიქრობ, რომ თსუ-ში მათი დაბრუნება აუცილებელია, ამისათვის კი უკეთესი პირობები უნდა შევთავაზოთ. ჩემი მთავარი მიზანია, სტუდენტებს შევუქმნა საუკეთესო გარემო. ყველა ნორმალურ უნივერსიტეტში ახალგაზრდას ჭამისა და დასვენების პრობლემა არ აქვს. ყველამ იცის რა ხდება მაღლივში, არ არსებობს კვების ობიექტი. ასევე მინდა გითხრათ, რომ სათანადოდ არ არის გამოყენებული შიდა რესურსი. მაგალითად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის გერმანული პროგრამა „ნოა“, რომელიც თსუ-მ, დაახლოებით, 200 000 ევროდ შეიძინა (მართალია, ამ თანხაში თსუ-ს თანამონაწილეობა შედარებით მცირე იყო), სრულიად გამოუსადეგარია, რადგან იგი შექმნილია მხოლოდ გერმანიის ერთერთი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტისთვის. ჩვენს მიმართულებაზე ბავშვები სადიპლომების ნაცვლად პროექტებს აკეთებენ. ამ პროექტების ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის სისტემა სამჯერ გვაქვს გაკეთებული, ამ სისტემის ასამოქმედებლად 50 000 ლარი იყო საჭირო, თუმცა უარი გვითხრეს.
— რაც შეეხება თსუ-ის აკადემიურ საბჭოს. ბოლო პერიოდის განმავლობაში აქტიურად საუბრობენ მისი წილის საკითხზე. ენდობით თუ არა თქვენ?
— ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა აკადემიურ საბჭოსთან დაკავშირებით გააზრდას კადრების დროს იყო. ასევე იყო პოლიტიკური ხასიათის განცხადებებიც საბჭოსთან დაკავშირებით. მე უბრალოდ უფლება არ მაქვს, რომ არ ვენდო საბჭოს წევრებს. ხალხი ვართ და სისუსტეები ყველას გაგვაჩნია. მე თუ მკითხავთ, „უნდობლობა“ მეტისმეტად ხმამაღალი ნათქვამია. ვფიქრობ, უნდა მივცეთ შანსი — დაამტკიცონ თავისი მიუკერძოებლობა.



ბიოგრაფიული შტრიხები

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების ტექნიკური ინფორმატიკის ქვემიმართულების სრული პროფესორი (2006-2012 წლებში) მანანა ხაჩიძე დაიბადა ქ. თბილისში 1965 წლის 17 ივნისს. 1982 წელს დაამთავრა თბილისის №142 საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1987 წელს დაამთავრა. 1988 წლიდან მუშაობდა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში მანქანური ინტელექტის განყოფილებაში ინჟინერ-პროგრამისტად. მანანა ხაჩიძე ინსტიტუტში 2008 წლამდე იმუშავა ინჟინრის პოზიციიდან უფროს მეცნიერ თანამშრომლამდე. უნივერსიტეტში სწავლისას, V კურსიდან ჩართული იყო სამეცნიერო საქმიანობაში,

აკადემიკოს ვლადიმერ ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. მონაწილეობა აქვს მიღებული 10-ზე მეტ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ვლადიმერ ჭავჭავაძის ასისტენტად განაგრძო მუშაობა. 1992-1994 წლებში გახლდათ ჟურნალის — „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი. 1996 წლიდან როქფელერის საერთაშორისო ფონდის პროგრამის — „ლიდერები გარემოსა და განვითარების სფეროში“ წევრია. საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ცოდნის წარმოდგენის არამკვეთრი ლოგიკური მეთოდები და მათი გამოყენება ეკოსისტემის მადეველირებელ ინფორმაციულ სისტემაში“ 1998 წელს დაიცვა. შედეგად ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. 1999 წლიდან საქართველოს სეულიოლოგთა კავშირის გამგეობის წევრია. მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით 4 საერთაშორისო პროექტი განხორციელდა, რომელიც ეხებოდა საქართველოში ეკოტურიზმის და



რეპტორობის კანდიდატები

მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია

ინტერვიუ პროფესორ მანანა ხაჩიძესთან

მეთექვსმეტე გვერდიდან

აქტიური ტურიზმის ინფრასტრუქტურულ განვითარება-დაპროექტებას. 2001-2003 წლებში საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის სამაშველო-საგამყოლო სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. 2000 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძირითად თანამშრომლად მუშაობს (უფროსი მასწავლებელი პროფესორამდე). 2006

წელს მისი მონაწილეობით წარმატებით განხორციელდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები კომპიუტერულ მეცნიერებებში საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტის (ACM) შესაბამისად. ამ პროგრამებმა არაოფიციალური სტანდარტის პოზიცია მოიპოვა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისათვის. გახლდათ თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი. ამჟამად მანანა ხაჩიძე საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ ერთერთი ხელმძღვანელი და სამაგისტრო პროგრამის — „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ავტორი და ხელმძღვანელია. პარალელურად 2011 წლიდან საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტია. ასევე, 1999 წლიდან გახლავთ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, 2008 წლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის

წევრი და საერთაშორისო ორგანიზაციაში „International Council for Science: Committee on Data for Science and Technology“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი. მისი ხელმძღვანელობით 20-ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული, რეგულარულად ხელმძღვანელობს საბაკალავრო ჯგუფურ პროექტებს. ყოველ წელს მონაწილეობს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც მომხსენებელი და როგორც საპროგრამო და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. მანანა ხაჩიძე 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

მინდა, თსუ იყოს თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტი

ინტერვიუ პროფესორ მარინე ჩიტაშვილთან

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სრული პროფესორის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის (CSS) დირექტორის მარინე ჩიტაშვილის ნებისმიერი საჯარო გამოსვლა ყოველთვის იქცევა საზოგადოების ყურადღებას პრინციპულობით, მკვეთრი აქცენტებითა და დასაბუთებულ, ძლიერი არგუმენტაციით. საყურადღებო კი ის არის, რომ ნებისმიერ გამოსვლაში და საჯარო ურთიერთობაში მარინე ჩიტაშვილი ყოველთვის რჩება და დღემდე რჩება უნივერსიტეტულად: არასდროს კარგავს აკადემიურობას და დისტანცირების უნარს. თუ მის პედაგოგიურ მოღვაწეობასაც გადავხედავთ, სტუდენტებთან მუშაობის პროცესშიც სწორედ მათ უნივერსიტეტულად ჩამოყალიბებას ცდილობს, რაც ცოდნის შექმნასთან ერთად პატიოსანი აზროვნების უნარის გამომუშავებას გულისხმობს.

— რატომ გადაწყვიტეთ თსუ-ის რექტორობა, როგორია თქვენი პირადი მოტივაცია?

— ბოლო 13 წლის განმავლობაში დაკავებული ვარ უმაღლესი განათლების ადმინისტრირების საქმით. ვარ მოქმედი პროფესორი თსუ-ში და კარგად ვიცი, რა პრობლემები აქვს უნივერსიტეტს, რაც მას ხელს უშლის — კვლავ გახდეს კვლევითი უნივერსიტეტი. ჩემი მოტივაცია მარტივია — მინდა, თსუ იყოს თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც იქნება პროფესორებისა და სტუდენტების კორპორაცია, რომელიც ემსახურება ცოდნის შენახვას, გავრცელებასა და ახალი ცოდნის შექმნას და არაფერს აღიარებს საღი და თავისუფალი აზრის გარდა.

— როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი, რა პრინციპებს ეფუძნება თქვენი ხედვა?

— ზემოთ უკვე მოგახსენეთ — როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი. რაც შეეხება კონცეფციას, ჩემი აზრით, ის ემსახურება სწორედ ამ პრინციპების ამუშავებას საუნივერსიტეტო სივრცეში. ჩემს მიერ წარმოდგენილ კონცეფციას მე არ განვიხილავ, როგორც უცდომელ დოკუმენტს — ამიტომ მისი განხილვა და რეალობასთან მოდიფიკაცია კოლეგიალური სამუშაოს შემდეგ იქნება შესაძლებელი. ძირითადი კი რამოდენიმე პუნქტია: ორგანიზა-

ციული რეფორმა, ფაკულტეტების ავტონომია, სადოქტორო სწავლების განვითარება, საზოგადოების მსახურება განათლების გავრცელებით.

— რა რესურსები არსებობს თქვენი მიზნების განსახორციელებლად და თუ აპირებთ ცვლილებებს? როგორი ხასიათის იქნება ეს ცვლილებები?

— ზემოთ მოგახსენეთ უკვე — რასაც ვფიქრობ, მაგრამ რამდენად შესაძლებელი იქნება ამის განხორციელება რესურსებზე მორგებით, ეს არ ვიცი, რადგან თსუ-ის ბიუჯეტი, რომელიც ვებ-გვერდზეა, ამის მიახლოებითი გათვლის საშუალებასაც კი არ იძლევა. რაც შეეხება პროცესს, ის იქნება ევოლუციური და არა რევოლუციური. სამოქმედო პრინციპი კი კოლეგიალური გადაწყვეტილება, რომელიც დაემყარება გაზომვად კრიტერიუმებს და მისაღები იქნება პროფესორის, სტუდენტების და ადმინისტრაციისთვის.

— რა ხელისშემშლელი ფაქტორები შეიძლება არსებობდეს თქვენი ხედვის განსახორციელებლად?

— მცდარი მოლოდინი, რომ ყველაფერი 1 წელიწადში ან უფრო ადრე გამოსწორდება ან შეიცვლება.

— რადგან არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეთ, გამო-



დის, რომ ენდობით თსუ-ის ამჟამინდელ აკადემიურ საბჭოს. რა ფაქტორებით არის გამოწვეული თქვენი ნდობა?

— კითხვა რიტორიკული და, ნაწილობრივ, არაკორექტულიცაა რესპონდენტის მიმართ. რიტორიკულია იმის გამო, რომ თსუ-ის საკუთარი რექტორის არჩევნისათვის დადგენილი წესი აქვს და მისი განმხორციელებელი აკადემიური საბჭოა. სხვა წესი არ არსებობს. არაკორექტული კი იმიტომ, რომ ეს გულისხმობს ჩემი დამოკიდებულების გამოხატვას ლეგიტიმური ორგანოს მიმართ, რომელმაც უნდა განიხილოს ჩემი კანდიდატურა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ — ეს პირდაპირი ინტერესთა კონ-

ფლიქტია. პასუხი მარტივი გახლავთ, როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ვთვლი, რომ რექტორი უნივერსიტეტში აკადემიურმა საბჭომ უნდა აირჩიოს.

ბიოგრაფიული შტრიხები

მარინე ჩიტაშვილი 1980 წელს თსუ-ის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ 1980-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდე-

ბობებზე. 1990 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1990-1995 წლებში იყო რელიგიის ფსიქოლოგიის კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი თსუ-ის რელიგიის შემსწავლელ ცენტრში. 1995 წლიდან დღემდე თსუ-ის აკადემიური პერსონალის წევრია. 1999 წლიდან თსუ-ის სრული პროფესორია. 2003-2005 წლებში ხელმძღვანელობდა ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრას. 2005 წლის მარტი-ივლისში იყო თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. არის ორი ნიგნისა და 80-ზე მეტი სტატიის ავტორი. 2007 წელს იყო ფულბრაიტის მკვლევარი სტენფორდის უნივერსიტეტში; 2006 წელს — DAAD-ის მკვლევარი ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში (მიუნხენი); 2001, 2003 წლებში — მინვეული მკვლევარი ზარლენდის უნივერსიტეტში; 1995 წელს — მინვეული მკვლევარი ლუნდის უნივერსიტეტში; 2011 წლიდან არის კემბრიჯის უნივერსიტეტის ვოლფსონის კოლეჯის მუდმივი მინვეული მკვლევარი.

2003 წლიდან დღემდე მარინე ჩიტაშვილი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორია. იყო ღია საზოგადოების ფონდების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ორი საგრანტო პროექტის დირექტორი („სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, „სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განვითარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“). ამჟამად ხელმძღვანელობს გამოყენებითი სოციალური კვლევების განვითარებას განათლებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ღირებული პროფესორის უკან დაბრუნებას უნივერსიტეტში

ინტერვიუ პროფესორ ნენსა მერაბიშვილთან

— ქალბატონო ნენსა, თქვენ მონაწილეობთ თსუ-ის რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში. რა მოტივაცია უძღვოდან წინ ამ გადაწყვეტილებას?

— ჩვენი უნივერსიტეტი დაარსების დღიდან მნიშვნელოვანი მისია აკისრია — იყოს ქართველი ერის გონის წინამძღოლი. ასე ჩაიფიქრა ეს ივანე ჯავახიშვილმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეს იყო

პირველი უნივერსიტეტი მთელს ამიერკავკასიაში და აქ სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. დღეს საქართველოში აკრედიტებულია 53 უმაღლესი სასწავლებელი, რაც მიაჩნია იმას, რომ უნივერსიტეტს ბევრი კონკურენტი გამოუჩნდა, მაგრამ ეს მოხდა არა მათი სიმრავლის გამო, არამედ იმის გამო, რომ დედა უნივერსიტეტმა დაკარგა მისთვის ჩვეული ღირებულებები.

ჩემი მიზანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუბრუნდეს საკადრისი პრესტიჟი და ლიდერის პოზიცია. ბუნებრივია, მისი ხარისხობრივი ზრდის შედეგად. ამასთანავე ერთად, დღეს, როდესაც გახსნილია საერთაშორისო ასპარეზი, ჩემი მიზანია, უნივერსიტეტმა დაიკვიდროს ღირსეული ადგილი საერთაშორისო თვალსაზრისით. ეს რთული

ამოცანაა, მაგრამ გადაუდებლად საჭირო.

მოგესხენებათ, ვარ ანგლისტი, თარგმანმცოდნე, ბაირონისა და გალაკტიონის პოეზიის მკვლევარი და მთარგმნელი. მიმაჩნია, რომ რექტორი, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს საერთაშორისო აღიარების მეცნიერი, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებლად კარგი ორგანიზატორი და მმართველი. თუ რექტორი არ

არის მაღალი ღირებულების მეცნიერი, ის ვერ მართავს მასზე ინტელექტუალურ პროფესურას, ხოლო, როგორი დიდიც არ უნდა იყოს მისი მეცნიერული ღირებულება, ის ვერ შედგება, როგორც რექტორი, თუ არ არის მმართველისა და ორგანიზატორის ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული.



რეპტორობის კანდიდატი

ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ღირებული პროფესორის უკან დაბრუნებას უნივერსიტეტში

ინტერვიუ პროფესორ იენსა მერაბიშვილთან

მეთხოველეთ გვერდიდან

ვინც იცნობს ჩემს საქმიანობას, იცის რა შემძლია გავაკეთო ამ თვალსაზრისით. დავასახელებ რამდენიმე მაგალითს: 1985 წელს თსუ-ის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე დავაარსე თარგმანის განყოფილება, რაც შემდგომში თარგმანის კათედრის დაარსებაში გადაიზარდა 1991 წელს. კათედრის დაარსება გადაიზარდა რეფორმის კვლევით-სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაარსებაში. სამაგისტრო პროგრამაზე დღეს 25 სტუდენტი, სადოქტოროზე — 20. ამდენად, ვარ ამ დარგის სრული პროფესორი. ვმონაწილეობ სწავლების სამივე დონეზე. ლექციებს ვკითხულობ და სტუდენტს ვხელმძღვანელობ არა მარტო ჩემი პუბლიკაციებიდან და მონოგრაფიებიდან გამომდინარე, არამედ ამ დარგში ბოლოდროინდელი საერთაშორისო მიღწევებით.



2010 წელს სტუდენტების მონაწილეობით დავაარსეთ თარგმანის ასოციაცია.

ვარ თარგმანის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი.

1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავაარსე ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ ლონდონში 1990 წელს სცნო თავის დამოუკიდებელ წევრად. 1995 წლიდან ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს სხვა 15 პროფესორთან ერთად გამოაცხადა ამ ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრად.

დღემდე ვხელმძღვანელობ საქართველოს ბაირონის საზოგადოებას და აქტიურად ვმონაწილეობ მოხსენებებითა და პუბლიკაციებით ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებაში.

ამასთანავე ერთად, ვარ ქართულ-ბრიტანული საზოგადოების საპატიო წევრი, რის თანახმადაც ხშირად ვკითხულობ ბრიტანეთში ლექციებს.

ასევე ვარ ნაპოლეონის საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილი წევრი და დაჯილდოებული ვარ ოქროს არწივით.

1991 წლის ნოემბერში გაზეთ „განათლების“ საშუალებით უნივერსიტეტის რექტორსა და განათლების მინისტრს მივმართე პროექტით. პროექტი მიზნად ისახავდა სკოლისა და უნივერსიტეტის დაკავშირებას და პროგრესს უცხოური ენების სწავლების მაგალითზე. ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე ამის განხორციელება ვერ მოხერხდა, თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ამ პროექტს სრული მონაწილეობა გამოუცხადა პრეზიდენტმა ზ. გამასახურდიამ.

1995 წელს ზემოთ ნარმოდგენილი პროექტის რეალიზაციის თვალსაზრისით თავად დავაარსე ინგლისური ენისა და კულტურის შემსწავლელი დამატებითი სკოლა, რომელსაც ბაირონის სახელი მივანიჭე. სკოლაში ასობით ბავშვი იღებს განათლებას და სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, როგორც საქართველოში, ისევე მის ფარგლებს გარეთ. ჩემი ხელმძღვანელობით, ამ წლების მანძილზე 100-ზე მეტი სტუდენტი ეწვია ბრიტანეთის საზოგადოებრივ სკოლის პროგრამით (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ნოტინგემი და სხვა).

ოქსფორდის გზამკვლევა თბილისის ბაირონის სკოლა (www.byransschool.ge) მსოფლიოს 500 საუკეთესო სკოლათა რიცხვში შეიტანა. მოგეხსენებათ, ამ სკოლას დღემდე თავად ვხელმძღვანელობ, ხოლო მისი კურსდამთავრებულები დასავლეთის ნამყვან უნივერსიტეტებში სწავლობენ.

ალანინშავია ისიც, რომ 2011 წლის ნოემბერში ჩემი ორგანიზებით ლონდონის ერთ-ერთ სასახლეში ჩატარდა გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რაც აღინიშნა გალაკტიონის ორენოვანი კრებულით ჩემი ინგლისური თარგმანების მიხედვით. საღამოს ესწრებოდნენ ფართო აკადემიური, დაბლომატიური და არისტოკრატიული წრეები, რაც გაშუქდა საქართველოს ტელევიზიითა და პრესით.

უნივერსიტეტს კარგად ახსოვს ჩემს მიერ მოწყობილი ყოველწლიური საჯარო ლექციები, აკადემიური თუ საიუბილეო შეხვედრები, მათ შორის მიმდინარე წლის 22 იანვარს ბაირონის დაბადების 225 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე თსუ-ის საექტო დარბაზში დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთისა და იტალიის საელჩოების მონაწილეობით. აღსანიშნავია სატელევიზიო და რადიო გამოსვლები.

მომავალ წელს ისევ ჩემი ორგანიზებით საქართველოში ბაირონის დიდი ფორუმი მოეწყობა, სადაც მსოფლიოს ნამყვანი მეცნიერები ჩამობრძანდებიან.

ვარ ასობით პუბლიკაციის, 15-ზე მეტი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების ფართო წრეები თვლიან, რომ მაქვს მართვისა და ორგანიზების საკმაოდ დიდი უნარი. მზად ვარ ჩემი უნარი, ენერჯია და გამოცდილება უნივერსიტეტს მოვახმარო, მოვახმარო მას არა მარტო ჩემი მეცნიერული ცოდნა და ალღო, არამედ ის ფართო კონტაქტები, რომლებიც დასავლეთთან და აღმოსავლეთთან გამაჩნია. ამ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ წინ გაგვიძღვება სამართლიანობა და ზნეობა, რაც მაგალითი უნდა იყოს, პირველ ყოვლისა, სტუდენტისათვის.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მე ამას ვაკეთებ ისე, როგორც შემძლია და როგორც საშუალებასაც მაძლევს გარემო-

ება, თუმცა ყოველთვის ვცდილობ დავძლიო ხელის შემშლელი პირობები. მიუხედავად ამისა, ვერაფერ იტყვის, რომ ოდესმე სამართლიანობის პრინციპისთვის მეღალატოს და არამართებულ აზრს კრიჭაში არ ჩავდგომოდე, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიულად გვგამაც ბევრი მაქვს და საქმეც, მაგრამ ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ ჩემი გამოცდილება და უნარი უნივერსიტეტის მართვასა და მის წარმატებულ წინსვლას შეიძლება მოხმარდეს.

როგორც ყველას მოგეხსენება, ამას არა მარტო მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ ზოგიერთის სიცოცხლეც კი შეეწირა. განაჩენთა ახალი სერია თურმე კიდევ წინ გველოდა, როცა აკადემიურ პოზიციებზე კონკურსების სერია დაიწყო, რაც ბოლო დრომდე გაგრძელდა. ამდენად, ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ღირებული პროფესორის უკან დაბრუნებას უნივერსიტეტში. ეს კი ისევ კონკურსის გზით უნდა მოხერხდეს, ოღონდ იმ კონცეფციის გათვალისწინებით, რომელიც გია დვალმა შემოგვთავაზა. ეს ყოველივე ეფუძნება ტენუარის ინსტიტუტს, ანუ პოზიციის მუდმივობას. ტენუარის ინსტიტუტი ამერიკულ უნივერსიტეტებში დამკვიდრებული მოვლენაა და ის დასავლეთის უნივერსიტეტების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდანაა გადმოტანილი. ევროპული, და საკუთრივ გერმანული საუნივერსიტეტო გამოცდილება დაუფლო საფუძვლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილმა. ამდენად, პროფესორის პოზიციის დაკავების მუდმივობის წესი, რომელსაც ბატონი გია დვალი გვთავაზობს და რაც მიღებულია დასავლეთში, იყო კარგად აპრობირებული ფორმა რეფორმამდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

ახალი კონკურსების სერია ტენუარის სისტემის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, დაბრუნების საშუალებას მისცემს დათხოვნილ პროფესორს, ხოლო მეორე მხრივ, გზას გაუხსნის ახალ საინტერესო კადრს.

მიმაჩნია, რომ არსებული აკადემიური პერსონალი არ უნდა შევინროვდეს და ისინი გააგრძელებენ მუშაობას ჯანსაღი კონკურსის პირობებში.

მნიშვნელოვანი იქნება უცხოელი პროფესორების მოზიდვა დროებით ლექციების ნასაკითხად და ჩვენი პროფესორების უფრო ფართო და რეალურად საქმიანი გამგზავრება საზღვარგარეთ. ამ ყველაფერს საფუძვლად უნდა დაედოს ფინანსური კეთილდღეობა. ერთი მხრივ, უნდა გაიზარდოს პროფესორის ხელფასი, ხოლო მეორე მხრივ, უნდა შემცირდეს მისი დატვირთვა ჩასატარებელი საათების რაოდენობის თვალსაზრისით, რაც მისცემს საშუალებას მეტი კონტაქტი იქონიონ სტუდენტთან და, აგრეთვე

როგორც ყველას მოგეხსენება, ამას არა მარტო მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა, არამედ ზოგიერთის სიცოცხლეც კი შეეწირა. განაჩენთა ახალი სერია თურმე კიდევ წინ გველოდა, როცა აკადემიურ პოზიციებზე კონკურსების სერია დაიწყო, რაც ბოლო დრომდე გაგრძელდა.

ამდენად, ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ღირებული პროფესორის უკან დაბრუნებას უნივერსიტეტში. ეს კი ისევ კონკურსის გზით უნდა მოხერხდეს, ოღონდ იმ კონცეფციის გათვალისწინებით, რომელიც გია დვალმა შემოგვთავაზა. ეს ყოველივე ეფუძნება ტენუარის ინსტიტუტს, ანუ პოზიციის მუდმივობას. ტენუარის ინსტიტუტი ამერიკულ უნივერსიტეტებში დამკვიდრებული მოვლენაა და ის დასავლეთის უნივერსიტეტების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდანაა გადმოტანილი. ევროპული, და საკუთრივ გერმანული საუნივერსიტეტო გამოცდილება დაუფლო საფუძვლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილმა. ამდენად, პროფესორის პოზიციის დაკავების მუდმივობის წესი, რომელსაც ბატონი გია დვალი გვთავაზობს და რაც მიღებულია დასავლეთში, იყო კარგად აპრობირებული ფორმა რეფორმამდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

ახალი კონკურსების სერია ტენუარის სისტემის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, დაბრუნების საშუალებას მისცემს დათხოვნილ პროფესორს, ხოლო მეორე მხრივ, გზას გაუხსნის ახალ საინტერესო კადრს.

მიმაჩნია, რომ არსებული აკადემიური პერსონალი არ უნდა შევინროვდეს და ისინი გააგრძელებენ მუშაობას ჯანსაღი კონკურსის პირობებში.

მნიშვნელოვანი იქნება უცხოელი პროფესორების მოზიდვა დროებით ლექციების ნასაკითხად და ჩვენი პროფესორების უფრო ფართო და რეალურად საქმიანი გამგზავრება საზღვარგარეთ.

ამ ყველაფერს საფუძვლად უნდა დაედოს ფინანსური კეთილდღეობა. ერთი მხრივ, უნდა გაიზარდოს პროფესორის ხელფასი, ხოლო მეორე მხრივ, უნდა შემცირდეს მისი დატვირთვა ჩასატარებელი საათების რაოდენობის თვალსაზრისით, რაც მისცემს საშუალებას მეტი კონტაქტი იქონიონ სტუდენტთან და, აგრეთვე

იმუშაონ საკუთარ თავზე. სრული პროფესორი ნაცვლად 8-9 საათისა უნდა ატარებდეს 4-5 საათს და მისი ხელფასი უნდა იყოს მაღალი. ეს ჩვენ გამოგვითავისუფლებს უამრავ საათს და მოგვცემს საშუალებას გავხსნათ დაახლოებით იმდენი პროფესორის პოზიცია, რამდენი პროფესორიც გვყავს დღეს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ აკმაყოფილებს წარმოდგენილ პროექტს, ფართოდ გავშლით საქველმოქმედო მუშაობას, რაც აპრობირებულია მთელს მსოფლიოში, და საკადრის ფინანსურ რესურსსაც მოვიზიდავთ. მაქვს თსუ-ის ეკონომიკური ზრდის სხვა საინტერესო პროექტებიც, განსაკუთრებით, ბრიტანული გამოცდილებიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის რექტორი, ისევე როგორც ნებისმიერი ადმინისტრატორი, სტუდენტებისა და პროფესორების უფლებათა დამცველი უნდა იყოს.

— **ქალბატონო იენსა, რამდენად ენდობით აკადემიურ საბჭოს?**

— აკადემიური საბჭო მე არაერთხელ გავაკრიტიკე ჩემს საჯარო გამოსვლებსა და პრესაში. მე მიკვირს რექტორობის იმ კანდიდატებისა, რომლებიც უსიტყვოდ ენდობიან საბჭოს და არ აკრიტიკებენ მის მუშაობასა და პოზიციას. მიუხედავად ამისა, რწმენას გამოვთქვამ, რომ აკადემიურ საბჭოს, როგორც უნივერსიტეტის დღევანდელ ნამყვან სახეს, გაცნობიერებული ექნება რა პასუხისმგებლობა, უნივერსიტეტის მომავალს მიკერძოებით კი არა, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე შეხედავენ. მაინც ვიტოვებ იმედს, რომ აკადემიური საბჭო საკუთარი ნებით გახსნის კარს და მომავალ რექტორს ფართო საზოგადოება აირჩევს. აქ საქმე რაოდენობაში იმდენად არ არის, რამდენადაც მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანი, რომელიც უნივერსიტეტის საზოგადოებრივი იმიჯი და სამართლებრივი აზროვნება. ხომ გვითხრა მოაზროვნემ ხმები კი არ დათვალოთ, ანონეთო. მსურს, რომ დედა უნივერსიტეტის რექტორის არჩევა ანონილი ხმით განხორციელდეს.

უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა და არა საჯარო სკოლა, ამდენად, დაუშვებელი იყო კათედრების გაუქმება. გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია კათედრების აღდგენა სათანადო კაბინეტების ხელახალი კეთილმოწყობით.

ჩემი კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტებისადმი განსაკუთრებული ყურადღება: მათი აკადემიური მდგომარეობის გაუმჯობესება, გადასახადის მაქსიმალურად შემცირება, სტიპენდიების მოზიდვა, სწავლებისა და ლექციებზე დასწრების სავალდებულო ფორმის განხორციელება, და რაც მთავარია, მათი პოლიტიკური ანგაჟირებისგან გათავისუფლება, რაც საგრძნობლად უშლის მათ ხელს აკადემიურ მუშაობაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის კამპუსის კეთილმოწყობა, რაც დიდ მუშაობას მოითხოვს.

ჩვენი სტუდენტობა აუცილებლად უნდა გავიდეს საერთაშორისო ასპარეზზე და ჩვენ ამას მრავალ უცხოურ წარმატებულ უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშ-

რეპტორობის კანდიდატები

ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ღირებული პროფესორის უკან დაბრუნებას უნივერსიტეტში

ინტარვიუ პროფესორ ინესა მერაბიშვილთან

მეთექვსმეტე გვერდიდან

რომლობით განვხორციელებთ. ამ შემთხვევაში, არც აქამდე განმტკიცებულ პირად აკადემიურ კონტაქტებს მოვერიდებით.
ეს და სხვა მრავალი ასახულია ჩემს კონცეფციაში. მისი სრული ვერსია სათანადო კომისიას გადაეცა განსახილველად.
უფრო სრული ვერსია ჩემი კონცეფცია — არის მთელი ჩემი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა, აუცილებლად ჩემი პიროვნების გათვალისწინებით.

ბიოგრაფიული შტრიხები

ინესა მერაბიშვილი დაიბადა ქ. გორში 1950 წლის 5 მარტს ბესარიონ და ვაროლია მერაბიშვილების ოჯახში.
სკოლამდელი აღზრდა და განათლება ოჯახში დაიწყო. 5 წლის ასაკში დაეუფლა მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას. 1957 წელს მშობლებმა შეიყვანეს გორის 6-ე რუსულ საშუალო სკოლაში, სადაც რუსულ ენას, ლიტერატურასა და კულტურას ეზიარა. იმავე წელს მიაბარეს სამუსიკო სკოლაში და შეიძღვრებოდა აქვე დაამთავრა.
10 წლის რომ შესრულდა, მშობლებმა ინგლისური ენის შესასწავლად მიაბარეს გორის უნიჭიერეს პედაგოგს, ქალბატონ ლიანა ბახტაძეს, რამაც განაპირობა მომავალში მისი პროფესიის არჩევა.
1967 წელს დაამთავრა ზემოხსენებული საშუალო სკოლა მედალზე და ერთი გამოცდით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. იყო წარჩინებული სტუდენტი. სამეცნიერო მუშაობა დაიწყო ლინგვისტიკასა და ინგლისური ენის სტილიტიკაში პროფესორ მერი იანკოვიჩის ხელმძღვანელობით.
1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნითელ დიპლომზე. 1973 წელს გახდა უნივერსიტეტის მაძიებელი პროფესორ მერი იანკოვიჩის ხელმძღვანელობით. პარალელურად დაიწყო მუშაობა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ინგლისური ენის მასწავლებლად საათობრივი ანაზღაურების წესით, სადაც იმუშავა 1978 წლამდე.
1977 წელს თსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის კათედრას გადასცა საკანდიდატო დისერტაცია: "Семантические параметры окказиональных словосочетаний" (на материале английского языка). ნაშრომი შეასრულა რუსულ ენაზე იმდროინდელი მოთხოვნების თანახმად. 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა ზემოაღნიშნული საკანდიდატო დისერტაცია. დისერტაციის პირველი ოპონენტი გახლდათ დიდი რუსი ანგლისტი, სტილიტი და ლექსიკოგრაფი ილია გალპერინი. სწორედ მან შესთავაზა ქალბატონ ინესას სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა

და კვლევის ობიექტად ბაირონის პოეზია შეირჩა ტექსტის ლინგვისტიკის უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენებით.
1978 წლიდან პროფესორ მ. ინესა იანკოვიჩის მინიჭებით მუშაობდა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე ინგლისური ენის მასწავლებლად საათობრივი ანაზღაურების წესით. ძირითადად ასწავლიდა ახლად შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებაზე, რომელიც დაფუძნდა თსუ-ის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე. პარალელურად კითხულობდა ინგლისური ენის სტილიტიკისა და ლექსიკოლოგიის თეორიულ კურსებს თსუ-ის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე.
საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე მუშაობამ ინესა მერაბიშვილს საშუალება მისცა იქვე შეექმნა თარგმანის განყოფილება, რომელსაც ჩაუდგა სათავეები. როგორც თავად ამბობს, ერთი მხრივ, თარგმანის განყოფილების ხელმძღვანელობამ, ხოლო მეორე მხრივ, ბაირონის ლექსის ანალოზმა შთააგონა მას თარგმანმცოდნეობითი ასპექტის ღრმა შესწავლა, ათვისება და შემდგომში ამ დარგის კონცეპტუალური განვითარება.
„მიუხედავად იმისა, რომ 1985 წლისათვის სადოქტორო დისერტაციის დიდი ნაწილი ხელმძღვანელმა ნაიკიტხა და მიონონა, გადაწყვიტეს კვლევის კალაპოტი შემეცვალა და ტექსტის ლინგვისტიკიდან აუცილებლად თარგმანის ლინგვისტიკაში გადავსულიყავი. პარალელურად გამოიტაცა ბაირონის პოეზიის თარგმანა და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების სიღრმისეულმა შესწავლამ. ამას მოჰყვა ის, რომ მე, როგორც ტექსტის ლინგვისტი და სტილიტი, აგრეთვე ჩამოვყალიბდი, როგორც თარგმანმცოდნე და მთარგმნელი“, — ამბობს ინესა მერაბიშვილი.
1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დააფუძნა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ სცნო თავის დამოუკიდებელ წევრად. 1991 წელს ზემოაღნიშნული ასოციაციის მინიჭებით ლონდონის უნივერსიტეტში გამართულ ბაირონის საერთაშორისო კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება „ბაირონი და საქართველო“, რამაც მიიპყრო დასავლეთის აკადემიური წრეების ყურადღება და გზა გაუხსნა მის მომავალ საქმიანობას. იქიდან მოყოლებული დღემდე თითქმის ყოველწლიურად გამოდის მოხსენებით საერთაშორისო კონფერენციებზე და აქვეყნებს შრომებს საზღვარგარეთ, როგორც ბაირონის, ასევე თარგმანის ხაზით.
1990 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე დააფუძნა ენებისა და თარგმანის კათედრა, რომელსაც 2005 წლამდე, ვიდრე რეფორმა არ დაიწყო, თავად ხელმძღვანელობდა. რეფორმის კვალდაკვალ მან დაარსა სამაგისტრო პროგრამა თარგმანის ხელოვნებაში, სადაც დღეს 25 მაგისტრანტი ირიცხება და სადო-

ქტორო პროგრამა თარგმანმცოდნეობაში, სადაც 20 დოქტორანტი მუშაობს. ის ორივე პროგრამას თავად ხელმძღვანელობს და არის თარგმანმცოდნეობის ერთადერთი თსუ-ის პროფესორი.
1995 წელს თბილისში დააფუძნა ბაირონის სკოლა, როგორც ინგლისური ენისა და კულტურის შემსწავლელი დამატებითი კერძო სასწავლებელი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს (იხ. ვებ გვერდი: www.byronschool.ge). სკოლა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, როგორც საქართველოში, ასევე ევროპაში, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, მითუმეტეს, რომ მოსწავლეთა ჯგუფი ყოველი წლის ზაფხულში სასწავლებლად ბრიტანეთს მიემგზავრება.
ბაირონის სკოლაშივე შექმნა და დააფუძნა მცირე თეატრი, რომელიც ბაირონის ქალიშვილის, ცნობილი მათემატიკოსის, თანამედროვე კომპიუტერის დამფუძნებლის — ადას სახელს ატარებს. იქ პერიოდულად იმართება ქართული და ინგლისური პოეზიის საღამოები, ინგლისური წარმოდგენები, საფორტეპიანო და კამერული მუსიკის კონცერტები. ბაირონის სკოლის მოსწავლეების გვერდით ამ სცენასა და თეატრს ხშირად სტუმრობენ ბრიტანეთის, საბერძნეთის, იტალიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ელჩები და დიპლომატები, ცნობილი ქართველი და ევროპელი შემსრულებლები და სტუმრები.
1995 წელს ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მუშაობისას ინესა მერაბიშვილმა მიაკვლია ბაირონის ცხოვრების ამსახველ მიწიწვეულ სამეცნიერო (London, 1825), რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ბაირონის ცხოვრების ის ეპიზოდი, როდესაც პოეტი აღმოსავლეთში მოგზაურობისას მონათა ბაზარზე ქართველ გოგონას შეხვდა. „ამ ეპიზოდის მოკვლევამ საშუალება მომცა დამესაბუთებინა, რომ სწორედ ამ გოგონასდმი განცდილი გრძობითაა ნაკარხვევი ბაირონის ლექსების ერთი დიდი ციკლი, რაც აისახა საერთაშორისო მოხსენებებსა და პუბლიკაციებში. ბაირონოლოგიაში ეს სრულიად ახალ სიტყვად გაისმა“, — ამბობს ინესა მერაბიშვილი (იხ. მონოგრაფია: Innes Merabishvili, Byron's Thyryza, Tbilisi, 2007). ამის პარალელურად ინესა მერაბიშვილი მუშაობდა ბაირონის ალქმის საკითხზე საქართველოში, რასაც ბრიტანულმა მნიშვნელოვანმა ორტომულმა The Reception of Byron in Europe, Continuum Press, London-New York, 2005 ცალკე თავი დაუთმო: Innes Merabishvili, Liberty and Freedom and the Georgian Byron.
ინესა მერაბიშვილი გვამცნობს, რომ 2006 წელს ჩატარებული კონკურსების შედეგად კომისიამ არამართებულად ამოიღო მისი კანდიდატურა კონკურსში გასულ პროფესორთა სიიდან. „ჩემი მხრიდან მრავალჯერადი განცხადებების შეტანის შედეგად, რომელზედაც არავითარი წერილობითი პასუხი არ მიმიღია, რექტორმა გ. ხუბუამ მიმინიჭა კონტრაქტი, ხოლო 2009 წელს უკვე კონკურსით ამირჩიეს თარგმანმცოდნეობის სრულ პროფესორად. 2012 წლის კონკურსში

ჩემს საუნივერსიტეტო საქმიანობას ისევე საფრთხე დაემუქრა კონკურსის არამართებელი გზით წაყვანის გამო. თარგმანის განხრით კონკურსი ხელახლა გამოცხადდა და მე კვლავ დავიკავე თარგმანმცოდნეობის სრული პროფესორის პოზიცია.
ღრმად მწამს, რომ უნივერსიტეტის ყოველი თანამშრომელი უნივერსიტეტისადმი თავის წილ პატივისცემას, პირველ რიგში, შრომით გამოხატავს. ეს დიდი მარცვალი არ უნდა დაიკარგოს. შეიძლება ის არა მარტო ცდებოდეს, არამედ კანონდარღვევასაც ჩადიოდეს, მაგრამ თუ ის გონიერი და სამართლიანი მმართველის პირობებში მუშაობს, ამას ვერ გააკეთებს“.
ქალბატონი ინესა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტზე: „ზემოსხენებულიდან გამომდინარე, იმედია, ჩანს, რომ თავად ექმნი ახალს და თავადვე ვხელმძღვანელობ საქმეს, რამაც მართვისა და ორგანიზაციის დიდი უნარი და გამოცდილება გამოიმუშავა. შესაძლებელია, ეს პირიქითაც იყოს“.
როგორც თავად ამბობს, პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა მისი ბიოგრაფიის დიდი ნაწილია. ამდენად, თავს მოვალედ ცნობს, მოკლედ კიდევ რამოდენიმე ასპექტზე გაამახვილოს ყურადღება:
„შექვემდებარე თარგმანის ახალი თეორია, რომელიც ძირითადად შემდეგ მონოგრაფიებში აისახა: პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005; თარგმანი — კულტურათა დიალოგი, თბ., 2005; Innes Merabishvili, Text Linguistics and Linguistics of Poetic Translation, Tbilisi, 1999; ჩავატარე გალაკტიონის პოეზიის მოკვლევა თანამედროვე სემანოლოგიური და ტექსტოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით, რაც აქამდე არ გაკეთებულა. ამას მიეძღვნა მონოგრაფია: გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003. ჩავატარე გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლა სიმბოლოებისა და მერის პროტოტიპის დადგენის თვალსაზრისით, რასაც მიეძღვნა მონოგრაფია: გალაკტიონის Meri, პროტოტიპის ძიებაში, თბ., 2012; ვთარგმნე გალაკტიონი ინგლისურ ენაზე. პირველი კრებული თბილისში გამოიცა ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორის რედაქციით: Galaktion Tabidze, Poems, Translated by Innes Merabishvili, Foreword by the translator, Edited by Richard Cardwell, Tbilisi University Press, 2005. მეორე ორენოვანი კრებული გამოსცა ბრიტანეთმა 2011 წელს: Galaktion Tabidze, Poems, translated by Innes Merabishvili, Critical, Cultural and Communications Press, Nottingham, 2011; 2011 წელს ინგლისელი ლორდებისა და პროფესორების ძალისხმევით და ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით ლონდონის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ სასახლეში გაიმართა გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რაც ზემოაღნიშნული წიგნის პრეზენტაციასაც გულისხმობდა. მას-მედია ფართოდ გააშუქა ეს მოვლენა; ყოველწლიურად ვკითხუ-

ლობ საჯარო ლექციებს, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, გამოვდივარ რადიოსა და ტელევიზიით და ვაქვეყნებ პუბლიცისტურ წერილებს; გამოცემული მაქვს ბაირონის არაერთი პოეტური თარგმანის კრებული. მათ შორის: ლორდ ბაირონი, ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ინესა მერაბიშვილმა, თბ., 2013; ბრიტანელი კოლეგების წარდგინებით საერთაშორისო ბრიტანულმა ცენტრმა დამაჯილდოვა „საერთაშორისო ელჩის ორდენით“ და მომენიჭა ნოდება HE – Her Excellency – მისი აღმატებულება; ამ ზაფხულს ვიყავი ბაირონის საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი ლონდონის კინგს კოლეჯში — ბაირონი: პოეზიის პოლიტიკა და პოლიტიკის პოეზია. კონფერენციის ფარგლებში ღია კენჭისყრით წყდებოდა საკითხი, თუ რომელ ქვეყანაში გაიმართება მომავალი მე-40 ბაირონის საერთაშორისო კონფერენცია მნიშვნელოვანი წარმომადგენლობით. ხმათა უმრავლესობით საქართველომ გაიმარჯვა“.
ინესა მერაბიშვილის თქმით, პროფესიული საქმიანობის გვერდით ცხოვრების აზრს, ბუნებრივია, მისი ოჯახი წარმოადგენს. მისმა ქალიშვილმა — ირინე გივიაშვილმა ნითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ტაო-კლარჯეთის ცნობილი ექსპერტი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის თანამშრომელი, კითხულობს მინივეთ ლექციებს ევროპისა და ბრიტანეთის უნივერსიტეტებში. მისი მეუღლე ირაკლი კოპლატაძე, ამჟამად საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში. ჰყავთ ორი ვაჟიშვილი: ერეკლე კოპლატაძე, ლონდონის უნივერსიტეტის (UCL) წარჩინებული სტუდენტი და თორნიკე კოპლატაძე, რომელმაც წელს დაამთავრა საერთაშორისო სკოლა დუბაიში (სადაც ცხოვრობდა ოჯახი ი. კოპლატაძის დიპლომატიური მისიის გამო).
ინესა მერაბიშვილის ვაჟიშვილმა — ირაკლი გივიაშვილმა ნითელ დიპლომზე დაამთავრა თსუ-ის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში და იქვე დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი. სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო სამართალში შეასრულა და დაიცვა ბრიტანეთში, ნოტინგემის უნივერსიტეტში. რამდენიმე წლის მანძილზე იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი. ამჟამად იმყოფება ქალაქ სტრასბურგში, როგორც ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის სრულუფლებიანი დესპანი.

ჩანართზე — რეპტორობის კანდიდატები მუშაობდნენ: ნინო კაკულია, მაია ტორაძე, ლელა კურდღელაშვილი, შურთხია ბაიროვილი, ნატო ოვლაძე და თამარ დადიანი

ამომრჩეველთა კოლეგიის გაფართოება პროფესურას სხვა განცდას შეუქმნიდა

ბლიზ-ინტერვიუ პროფესორ ლევან ბორდუნიანთან

ინტერვიუ

— საინტერესოა თქვენი პოზიცია „უმადლეხი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. რა არის მისაღები და რა — მიუღებელი „უმადლეხი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებიდან?

— ეს მრავალტანჯული კანონი არც 2004 წელს იყო უზადო, შემდეგ კი, ფრაგმენტული, ხშირად წინააღმდეგობრივი ცვლილებებით სრულიად დამახინჯდა. მე ვმონაწილეობ იმ საკონსულტაციო ჯგუფის მუშაობაში, რომელიც ამზადებს კანონის ახალ რედაქციას, ან, სულაც, ახალ კანონს მისი თანხმობის ნორმატიული აქტებით, რაც შემოდგომაზე უნდა წარედგინოს პარლამენტს. ცვლილებათა ერთი ნაწილი უკვე ახლა გახდა განხილვის საგანი.

ორიოდე სიტყვა კონკრეტული სიახლეების შესახებ:

ა) სადავო არ უნდა იყოს, რომ სტუდენტი (დოქტორანტი) არ შეიძლება იყოს პროფესორი (ასისტენტი-პროფესორი). შესაბამისად, იმ დოქტორანტებისათვის, ვინც შეიძლება ეხმარებოდეს თავის პროფესორს სასწავლო პროცესის წარმართვაში შეიძლება ასისტენტის თანამდებობა. დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე



სპეციალისტების მოწვევა მასწავლებლად კვლავ შესაძლებელია. შესაბამისად, ეს ცვლილება კი არ ემუქრება სასწავლო პროცესს, არამედ ქმნის პირობას მის მოსაწესრიგებლად.

ბ) რექტორი და დეკანები უნდა იყვნენ არჩეულნი პროფესორთა რიგებიდან და, შესაბამისად, უნდა

ფლობდნენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს. ესეც თავისთავად ცხადია აკადემიური წრეებისთვის. დოქტორის ხარისხის არმქონე მენეჯერი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, კანცლერი, მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია, რომ პროფესორებისგან შემდგარი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

რექტორი არ იყოს პროფესორი.

გ) ცივილიზებულ სამყაროში უნივერსიტეტში ცენტრალური ფიგურაა პროფესორი. შესაბამისად, მისი ხელფასი არის ამოსავალი უნივერსიტეტის დანარჩენი თანამშრომლების ხელფასების განსაზღვრისას. ბუნებრივია, რომ პროფესორი, რომელსაც დროებით დაეკისრა გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქცია (რექტორი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) უნდა იღებდეს გარკვეულ დანამატს, რომელიც მცირეა მის ძირითად (ე.ი. პროფესორის) ხელფასთან შედარებით.

— კულუარულად საუბრობდნენ იმაზე, რომ თქვენ სურვილი გაქვთ — გახდეთ უნივერსიტეტის რექტორი, თუმცა კონკურსში არ იღებთ მონაწილეობას. რა არის ამის მიზეზი?

— მე, მრავალი ჩემი კოლეგის მსგავსად, მაქვს სურვილი, რომ უნივერსიტეტში გონივრული და შეძლებისდაგვარად უმტკიცებულო ცვლილებები მოხდეს, რაც სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებასა და ამისათვის ოპტიმალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას გულისხმობს. თუ ამ პროცესში ჩემი კოლეგები მიიჩნევენ საჭიროდ, რომ ვიტვიტოთ რომელიმე ოფიციალური ფუნქციის შესრულება, პასუხისმგებლობას არ გავეცევი.

მაგრამ არჩევნების დღევანდელი ფორმატი ჩემთვის მიუღებელია. თორმეტკაციანი აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულ რექტორს ვერ ექნება ის ლეგიტიმაცია და აკადემიური წრეების ის მხარდაჭერა, რაც მას სერიოზული ცვლილებების ზღურბლზე დასჭირდება როგორც შიდა სირთულეებთან გასამკლავებლად, ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში. საუბარია არა პიროვნულ უნდობლობაზე საბჭოს წევრების მიმართ — მათი უმრავლესობა ცნობილი მეცნიერი და სიმპათიური პიროვნებაა — არამედ ინსტიტუციურ პრობლემაზე. ამ ფორმით არსებობის შვიდი წლის მანძილზე საბჭომ ვერ დაიკვივრა ის მდგომარეობა, რომ პროფესურა მას თავის ინტერესების დამცველად, თავის წინამძღოლად აღიქვამდეს. ამომრჩეველთა კოლეგიის გაფართოება, ვთქვათ, 100-150 კაცამდე შეუქმნიდა პროფესურას იმ განცდას, რომ მართლა თავად ირჩევენ რექტორს და არჩევნებს პოლიტიკურ ელფერსაც მოაშორებდა. სამწუხაროდ, აკადემიურმა საბჭომ არ გაიზიარა პროფესორთა ჯგუფის წინადადება არჩევნების წესის შეცვლის შესახებ, რითაც უნივერსიტეტის მშვიდი, ევოლუციური განვითარების პერსპექტივა საფრთხის ქვეშ დააყენა.

მრგვალი მაგიდა ქართულ სალიტერატურო ენაში ტერმინოლოგიის დადგენისა და დამკვიდრების თაობაზე

უკანასკნელ პერიოდში ქართულ ენას ბარბარიზმისა და ჟარგონის მოძღვრებასთან ერთად ახალი პრობლემაც დაუდგა — ესაა დაუზუსტებელი დარგობრივი ტერმინოლოგია, რომელიც მახინჯი ფორმებით მკვიდრდება როგორც დარგში, ასევე სამეცნიერო ენაში.

ვაზეთა „თბილისის უნივერსიტეტში“ მოაწყო მრგვალი მაგიდა ქართულ სალიტერატურო ენაში ტერმინოლოგიის დადგენისა და დამკვიდრების თაობაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები: ლია ქაროსანიძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების ხელმძღვანელი; ნინო დათუშიძე — სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი; ინგა ჯიბუტი — სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი; მარინე ოსაძე — სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; ფილოლოგიის დოქტორი; ნათელა მუზაშვილი — სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; ფილოლოგიის დოქტორი; რამაზ ქურდაძე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მაია ტორაძე

„თბილისის უნივერსიტეტი“: თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე — „ტერმინოლოგია — ქართული ენის ხვალისდელი დღე“ კარგად გამოჩნდა, რა პრობლემაა ამ კუთხით ქართული ენათმეცნიერებაში. თქვენი აზრით, ძირითადად რამ განაპირობა ერთ მიმართულებაში ამდენი პრობლემის დაგროვება — იქნება ეს ტერმინოლოგიის არარსებობა თუ დაუზუსტებლობა?

ლია ქაროსანიძე: ბოლო წლებში ორივე პრობლემა ერთნაირად წამოსწია: ზოგ დარგში ახალი ცნებების შესატყვისი ტერმინები საერთოდ არ არსებობს, ზოგან კი, პირიქით, ერთ ცნებას რამდენიმე ტერმინი შეესაბამება. ეს არის უმართავი პროცესის შედეგი. ისე

ხდება, რომ ერთი დარგის ტერმინოლოგიაზე სხვადასხვა ჯგუფი მუშაობს, რაც ტერმინთა სიჭრელეს წარმოშობს. ამ მდგომარეობაში უკვე 20 წელია ვართ — ყველა ცდილობს საკუთარ დარგში თავად მოაგვაროს პრობლემა — ან უცვლელად გადმოაქვს ტერმინი, ან თავად თარგმნის ისე, რომ ხშირად არც ინტერესდება, არსებობს თუ არა მისი ქართული შესატყვისი.

თანამედროვე ახალგაზრდობა ძირითადად ინტერნეტში ეძებს ამა თუ იმ ტერმინს, მაგრამ ჯერჯერობით ქართული ინტერნეტ-სივრცე ლექსიკონების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის და რაც საიტებზეა განთავსებული, არც ისინია იმდენად შევსებული, რომ სრულყოფილებამდე მიახლოებული იყოს. ელემენტარულად, ტექნიკური ტერმინოლოგიაც კი არაა შეტანილი და არის ფორუმებზე მინერ-მინერა — ეს ტერმინი ხომ არ იცი, ხომ არ გაგიციათ და ა.შ., ანუ ძი-



რითადად ისე ინტერნეტით ცდილობენ ინფორმაციის მოპოვებას ტერმინის შესახებ.

საზოგადოებამ არ იცის, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებობს სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელსაც შეუძლია ტერმინოლოგიით დაინტერესებულ პირებს კვალიფიციური ინფორმაცია მიანდოს.

„თბილისის უნივერსიტეტი“: მაგრამ ეს ხომ შედარებით რთული გზაა? არ სჯობს, შეიქმნას ტერმინოლოგიური ლექსიკონების ელექტრონული ვერსიები, რომლებითაც დაინტერესებული პირები ისარგებლებენ? ვფიქრობ, ეს გამოირჩევა და უზუსტებელი ტერმინის გამოყენების შემთხვევებს...

ნათელა მუზაშვილი: ნელს ჩვენ რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში შევიტანეთ საგრანტო პროექტი, რომლითაც განსაზღვრული იყო 18 დარგის ზოგადი ტექნიკური ტერმინების ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის შექმნა. ასეთი ლექსიკონი 1977 წელს გამოვიდა და მან თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეს ლექსიკონი დღესაც სამაგალი ნივანია, რადგან მას შემდეგ ასეთი ლექსიკონი აღარ გამოსულა. გავიდა ათეულობით წელი და დაგროვდა ტერმინები, რომლებიც ახალ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში აუცილებლად უნდა აისახოს. ამიტომ მისი განახლება აუცილებელია. ჩვენმა პროექტმა პირველი ორი ეტაპი წარმატებით გადალ-

ხა, მაგრამ მესამე ეტაპზე შეჩერდა. არადა, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც და, ზოგადად, ტერმინოლოგიის მომავლისთვისაც, რადგან ამ პროექტის მიხედვით შექმნილ პროდუქტებს ექნება გამოყენების ფართო არეალი. მომხმარებელს შეეძლება ზოგადტექნიკური ახალი ტერმინებისა და მათთან დაკავშირებული ყველა შესიტყვების მოძიება. პროექტი ეყრდნობა იმ მდიდარ გამოცდილებასა და სამუშაოს, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენს ინსტიტუტში.

ჩვენ გვქვს სპეციალისტებთან ერთობლივი მუშაობის გამოცდი-

მრავალი მადილა ქართულ სალიტერატურო ენაში ტერმინოლოგიის დადგენისა და დამკვიდრების თაობაზე

მეთვრამეტე გვერდიდან

ლება, რომელიც ტერმინის დადგენისთვის აუცილებელია. ამ პრაქტიკის გარეშე ტერმინი ზუსტად ვერ დადგინდება.

ამდენად, თუ ტექნიკური ტერმინოლოგიის ელექტრონული ვერსია შეიქმნება, ეს იქნება მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონზე მუშაობის დასაწყისი, რაც საფუძველს ჩაუყრის ტერმინთა ელექტრონული ფონდის შექმნას, რომლის შეესება მუდმივად გაგრძელდება.

ლია ქაროსანიძე: რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდზე ვიტყვი დამატებით, რომ მათი დახმარებით ძალიან ბევრი საჭირო და აუცილებელი სამეცნიერო სამუშაო შესრულდა, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც მხოლოდ ამ ფონდის იმედად არ შეიძლება იყოს, მაგალითად, იმავე ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა. ეს უნდა გახდეს სახელმწიფო ზრუნვის ობიექტი.

„თბილისის უნივერსიტეტი“: *სად უფრო მეტად იგრძნობა ტერმინოლოგიის სიჭრელე? ჩვენ აქ ესაუბრებით სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პრობლემა — ტერმინების არასწორად გამოყენება სასაუბრო ენაში. რამდენად ნაადრევად მართო სამეცნიერო ტერმინოლოგიის დახვეწა ამ საქმეს? არსებობენ ადამიანები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურას არ კითხულობენ (ეს არც სავალდებულოა და არც ყველას ინტერესის სფერო), ამდენად, ტერმინი, რომელიც დახვეწილია, მაგრამ მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებში გვხვდება, მოქალაქეებმა ძალიან გვიან მივაქვს სალაპარაკო ენაში გვიანვე დამკვიდრდება. ზოგადად, ეს პრობლემა დგას საქართველოში. აბა, გააჩერეთ ქუჩაში ადამიანი და დაუხვეთ კითხვა? იცის, რა უნდა გიპასუხოთ, მაგრამ ვერაფრით ჩამოგიყალიბებთ საკუთარ მოსაზრებას, რადგან ერთ-მანეთში აქვს არაერთი ყარგონი, ბარბაროზები, არასწორი ტერმინი... და დიდხანს უნდება აზრის დალაგებას, რომ ის სწორი, გამართული ქართული გამოხატოს...*

ინგა ჯიბუშტი: ენის სიჭრელე გაჩნდა მაშინ, როცა საბაზრო ეკონომიკა ჩამოყალიბდა. მანამდე განა არ იყო სადავო და გადასაჭრელი საკითხები? მაგრამ ერთ და ორ დღეში არასოდეს არაფერი წყდება. ზოგჯერ იმ სხდომებზე, რომლებსაც მეცნიერების არმია ესწრებოდა, თითო სიტყვასა და ტერმინზე ხანგრძლივად მიმდინარებდა მსჯელობა — რომელი ტერმინი სჯობდა, რომელი იყო უფრო სხარტი, გამჭვირვალე და ა.შ., როგორც მოგეხსენებათ, ტერმინისთვის დამახასიათებელია სიმოკლე და გამჭვირვალეობა.

აი, ცოტა ხნის წინ ჩამოვიარე მანქანის შემკეთებელ სახელოსნოებში, სადაც სარეკლამო აბრებზე ეწერა „ძრავი“, „კარენალი“, „ჩაასხით ჩვენი ბენზინი და თქვენი მანქანის ძრავი გამართულად იმუშავებს“... და ა.შ. დაინტერესდი, იცოდნენ თუ არა, რა ერქვა ქართულად ამ ნაწილებს? მიპასუხეს, რომ არ იცოდნენ და კიდევ რომ სცოდნოდათ და მათი სახელები ქართულად დაენერათ, ვერავინ გაიგებდა, რომელი ნაწილის შემკეთებელი ხელოსანი მუშაობდა იმ სახელოსნოში. არადა, რაც მოძრაობს, მას „ძრავა“ ჰქვია და არა „ძრავი“... ამ სფეროში ეს ყველაზე მეტად თვალშისაცემია.

როგორ უნდა ვუშველოთ ამ პრობლემას? ადრე ჩვენსა და სპეციალისტებს შორის ძალიან მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა — თვე არ გავიდოდა, რომ ვინმე არ მოსულიყო და ტერმინების შექმნაში დახმარება არ ეთხოვა. თუ ინსტიტუტი არ გასცემდა ამგვარი ტიპის ლექსიკონების დაბეჭდვის ლიცენზიას, თანხმობას, ეს ლექსიკონი სერიოზულ ნამუშევრად არ მიიჩნეოდა. ამდენად, ვფიქრობ, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ისე უნდა დაუბრუნდეს ის ფუნქციები, რომლებიც მას გააჩნდა, რათა ტერმინოლოგიის პრობლემების მოგვარება მალევე დაიწყოს.

ნათელა მუხაშვილი: ტერმინი უნდა შეიქმნას სპეციფიკური ტერმინოლოგიური ნორმების გათვალისწინებით, ამიტომ უმჯობესია, ეს საკითხები ამ დარგის სპეციალისტებმა გადაწყვიტონ. მაგალითად, „ქვედი“, „წინები“ — და სხვა ამგვარი ტერმინები სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით არის შექმნილი. მართალია, ისინი ხელოვნურად შეიქმნა, მაგრამ ბუნებრივად მოერგო ტერმინთა სისტემას.

რამაზ ქურდაძე: საკვებით გეთანხმებით, რომ ტერმინთა შემოქმედება სპეციალური სიტყვათმეცნიერებაა, მაგრამ თავად ეს ტერმინებიც ზოგად სიტყვათმეცნიერებას ეფუძნება. ენაში ყოველი თავისთავად ჩნდება რაღაც ტერმინი. მაგალითად, ყველას გაგვივია „კვინტი შაქარი“ — „კვინტი“ არის დერივატი „კვინტ“-„კვინტი“ ზმნისა. ეს სპეციალური ტერმინად არ შექმნილა, ის თავისთავად ჩამოყალიბდა ენაში, მაგრამ თქვენი მოყვანილი მაგალითები, როგორებიცაა: „წინები“, „ზნეკი“, „ქვედი“ — ტერმინებად შექმნილი სიტყვებია, რომლებიც ენაში არსებულ კანონს ემყარება. საკვებით გასაზიარებელია ის, რომ ტერმინი სპეციალურ-მაკომისია უნდა შექმნას, რომელმაც ეს ნეკები კარგად იცის.

ინგა ჯიბუშტი: გეთანხმებით. როცა ასე იქმნება ტერმინი, ენა იღებს მას და მკვიდრდება. ის ტერმინი კი, რომელიც ძალიან ხელოვნურია, ვერ მკვიდრდება. ამიტომ სპეციალისტებთან და ენათმეცნიერებთან ერთობლივი მუშაობით, მსჯელობის საფუძველზე და ცნების შესატყვისად უნდა შეიქმნას ტერმინი და ის აუცილებლად დამკვიდრდება ენაშიც.

ინგო დათუაშვილი: ჩვენს სფეროში, კერძოდ, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, კოორდინაცია მოიშალა. ამაზე ადრე სახელმწიფო ზრუნავდა. როდესაც ახალი დარგი იქმნებოდა, მას ახალი ცნებები მოჰყვებოდა, რომლებიც ქართული შესატყვისი ტერმინით უნდა გამოემართულიყო. დარგის სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ ამ საკითხზე უნდა ეზრუნათ და ამიტომ მომართავდნენ ჩვენს ინსტიტუტს, რადგან სახელმწიფოს სტრატეგია იყო ასეთი. პრეზიდენტის ბრძანებით, ჩვენს ინსტიტუტს უნდა მიეღო ტერმინთა დადგენაში მონაწილეობა.

მარინე ოსაძე: თავისთავად, უცხო სიტყვათა შემოსვლა და მოზღვაება უამრავ პრობლემას იწვევს ენაში, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ბარიერს ვერ შევქმნით. ენაში უცხო სიტყვის ადაპტაციის საკითხი ყოველთვის დგას. ამ მხრივ საინტერესოა მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონი, რომელიც უცხო სიტყვას მხოლოდ კი არ ხსნის, არამედ მისი ნორმირების საკითხსაც სვამს. მსგავსი ნორმირებული ლექსიკონები უნდა გამოვიდეს დღესაც და შევისოს ის ახალი ტერმინებით.

ამასთანავე, აუცილებლად მიგვაჩნია ტერმინთა ნორმირებული ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენაც, რადგან მკვიდრდება ტერმინთა არამართებული ფორმები, რომლებიც ხშირად არასწორადაა გადმოტანილი ქართულში. მაგალითად, „კრიზისული“ და „კრიტიკული“ — ამ სიტყვებიდან რომელია სწორი? ის შემოვიდა რუსულიდან და დამკვიდრდა, როგორც „კრიტიკული“. არადა, სიტყვა „კრიზისული“ მოდის „კრიზისული“ და „კრიტიკული“ — „კრიტიკული“, თუმცა ბევრ დარგში ამის დაჯერება არ უნდა (მაგალითად, თავის დროზე ძლივს დავაჯერეთ ამ ტერმინის სისწორეში მეტალურგები).

რამაზ ქურდაძე: გეთანხმებით, რომ მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონი მართლაც, უნიკალურია, მაგრამ განახლებას მოითხოვს. მაგალითად, ერთგან „დემონსტრაცია“ განმარტებულია, რომ ის არის: „1) სოციალისტურ ქვეყნებში გამარჯვებულ მუშათა კლასის საზეიმო მსვლელობა; 2) კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტური ანტიგონიზმით შეზღუდული მუშათა კლასის გამოსვლა“. განმარტებაში მოცემულია „წარდგენა“ და „დემონსტრირება“, მაგრამ ის ფრაზები ამოსაღებია. რამაა საქმე იცით? ასეთი ძველი ლექსიკონები მაინც პოლიტიზირებულია და აუცილებელია მისი დახვეწა. ჩვენთან კი აიღეს და მის განმეორებით გამოცემაში ყველაფერი იგივე დატოვეს. რა მოჰყვება ამას? ის, რომ ახალგაზრდა, რომელიც ენდობა ასეთ ლექსიკონებს, ბრმად იმონებს ამგვარ განმარტებებს, რასაც საბოლოოდ შეცდომებამდე მივყავართ.

კიდევ ერთი პრობლემაა, როცა საჯარო პირები იყენებენ არასწორ ტერმინებს, ეს შემდეგ ადვილად მკვიდრდება. მაგალითად, ამას წინათ ქალბატონი მზეჭაბუკი შანიძე აღშობებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირის გამოსვლით, რომელსაც უთქვამს ფრაზა: „ამ წესით მოხდება ახალგაზრდების სელექცია“. „სელექცია“ არის სასოფლო-სამეურნეო ტერმინი, რომელიც ნიშნავს ცხოველური და მცენარეული ჯიშების შერჩევას (არჩევას, შეჯერებას...). ასეთი ტერმინის გამოყენება ადამიანებზე არ შეიძლება. ამდენად, მე ვფიქრობ, თქვენს გამოცდილებას დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ამგვარ არასწორ ტერმინებთან საბრძოლველად.

ინგო დათუაშვილი: პრობლემაა მეორეული სესხების პროცესიც. უკანასკნელ ხანს შემოდის და მკვიდრდება უცხო სიტყვები, რომლებიც უკვე დამკვიდრებული იყო, მაგრამ ამჯერად ენა ინგლისურის მეშვეობით ხელმეორედ სესხულბობს იმავე სიტყვებს, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით. ეს ძალიან საინტერესო პროცესია და, ვფიქრობ, აუცილებელია ამ საკითხის ლექსიკოლოგიური კვლევა.

„თბილისის უნივერსიტეტი“: *რასაც ჩვენ აქ ესაუბრებით, ეს, ცხადია, არის დარგის პრობლემა, მაგრამ იქნებ საუბარი კიდევ სხვა მიმართულებითაც გაიშალოს? რომ დავაკვირდეთ, ერთგვარი მოვადგობელი ნერ იქმნება: პირველი რიგში, თავად ლექტორს მიაქვს უცხო ტერმინი სტუდენტებზე თარგმნის გარეშე (და ეს კარგ ტონად ითვლება), რადგან ამით აჩვენებს, რომ მან ისე კარგად იცის, ვთქვით, ინგლისური, რომ მისთვის უფრო მოსახერხებელია გამოიყენოს*

სიტყვა Face (სახე), Background (ფონი, უკანა პლანი), ვიდრე მისი ქართული შესატყვისი); შემდეგ სტუდენტები გადის საზოგადოებაში და იმეორებს ამ ტერმინებს და ასე ნელ-ნელა მკვიდრდება ენაში უცხო სიტყვები, რომლებთან ბრძოლაც კიდევ სხვა ძალისხმევას მოითხოვს.

და კიდევ, თქვენ საუბრობთ სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამკვიდრებაზე. ესეც ერთგვარი მოდაა მეცნიერებაში. თუ ვთქვათ, მკვლევარი თავის ნაშრომში ნაკლებად იყენებს უცხო სიტყვებს (ცხადია, აქ საუბარი არაა სპეციფიკურ, დარგისთვის დამახასიათებელ ტერმინებზე), მიიჩნევა, რომ ის მეცნიერულად დაბალ დონეზე შესრულებული ნაშრომია...

ლია ქაროსანიძე: ეს არასწორია. ტექსტი უნდა იყოს ქართულად გასაგები ენით დაწერილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ისევე არ იქნება, როგორც ტერმინოლოგიის მონესრიგებით უნდა დაიწყოს — დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები უნდა შექმნიდეს. მეტი რაღა უნდა გვჭირდეს, როცა დღეს სახელმძღვანელოებისთვის ნორმატიული ლექსიკონები არ არსებობს. დავსვავთ კითხვას, რას ეყრდნობა დღეს სახელმძღვანელო? რა ტერმინებს იყენებს ავტორი? პასუხი მარტივია — იმ ტერმინებს, რომლებსაც თავად თარგმნის (ან არც თარგმნის).

„თბილისის უნივერსიტეტი“: *სხვათა შორის, გამოიკვეთა დარგები, რომელთა დოკუმენტებსაც ნაიკითხავ და ვერ მიხვდები, რა წერია. მას ცალკე განმარტებითი ლექსიკონი სჭირდება. ასეთია იურიდიული დოკუმენტაცია, რომელშიც ტექსტი, ფაქტობრივად, შექმნილია ლელარქნილი გა-მოთქმებით და წინადადებებით. შემდეგ ისინი თანდათან მრავლდება და საბოლოოდ, ალბათ, მივიღებთ იმას, რომ იურიდიული ლიტერატურა დაბეჭდილი იქნება ქართული ასოებით, მაგრამ არა — ქართულად...*

ნათელა მუხაშვილი: საქმე ისაა, რომ ცალკეული დარგების სპეციალისტები უნდა იყვნენ დაინტერესებული, შექმნან ცნების შესატყვისი, ადაქვავატური, სალიტერატურული ენის ნორმების მიხედვით გამართული ტერმინები. ის, რომ ახალ-ახალი უცხო სიტყვები შემოდის და ყოველგვარი ნორმის დაცვის გარეშე მკვიდრდება, მაგრამ უნდა იმ მიმე პროცესისა, რომელიც ტერმინოლოგიაში მიმდინარეობს.

ლია ქაროსანიძე: კოორდინირების მომლაზე მოგახსენეთ ნემით. სწორედ ამ შეთანხმებული მუშაობის მოშლის შედეგია ის, რომ იქმნება ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც სავსეა არამართებული ტერმინებით, შემდეგ ეს ტერმინები გადაინაცვლებს სამომხმარებლო სივრცეში და იქმნება ისევე მოჯადოებული წრე. ამიტომ, სანამ კოორდინაცია არ აღდგება ჩვენსა და ცალკეულ დარგებს შორის, სულ ვივლით ამ წრეზე.

ინგო დათუაშვილი: ჩვენ ფუნქცია დავკარგეთ. ჩვენი კონსულტაციები უკვე აღარ არის საჭირო, რადგან სპეციალისტები თავად „წყვეტენ“ ტერმინების პრობლემებს...

ინგა ჯიბუშტი: ძალიან იოლი გახდა ახლა ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა. ამ საკითხის კოორდინირება სახელმწიფო უნდა აიღოს თავის თავზე და უნდა დაბრუნდეს ის ბერკეტე-

ბი, რომლებიც ჩვენს ინსტიტუტს ჰქონდა.

„თბილისის უნივერსიტეტი“: *და რა უნდა გავაკეთოთ ამ პრობლემის მონესრიგებისთვის? არის, თქვენი აზრით, კონკრეტული გზა?*

ნათელა მუხაშვილი: ჩემი აზრით, აქ უნდა გაცხადდეს სახელმწიფო ნება, შემუშავდეს სქემა, რომლის მიხედვითაც კოორდინირებულად ვიმუშავებთ დარგის სპეციალისტებთან. ალდგეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც ნორმირებულად მიიჩნეოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში რედაქტირებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ვერავის ვერ აუუკრძალავთ ლექსიკონზე მუშაობას, მაგრამ, როცა საზოგადოება გააცნობიერებს, რომ, სახელმწიფო ნებით, ლიცენზირების გარეშე მათ გამოცემულ ლექსიკონს წონა არ ექნება და ბაზარზე კონკურენციას ვერ გაუწევს ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ ლექსიკონს, რომელშიც ტერმინები დადგენილი იქნება ტერმინოლოგიის განყოფილებასთან, სპეციალისტებთან, მეტყველების კულტურის განყოფილებასთან და ენათმეცნიერების მთელ ჯგუფთან შეთანხმებით, ეს საკითხი თავისთავად მოგვარდება.

ლია ქაროსანიძე: სწორედ ამ საკითხების მონესრიგებას მიეძღვნა ჩვენს ინსტიტუტში ცოტა ხნის წინ გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც სპეციალური მიმართვა შევიშუშავეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობისადმი.

გზა არის ასეთი: ერთი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ — უნდა შეიქმნას დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები; მეორე — ყველა დარგის ტერმინოლოგიამ თავი უნდა მოიყაროს ერთ ორგანიზაციაში, კერძოდ, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რომელსაც აქვს ტერმინოლოგიაზე მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება და ასევე უმდიდრესი ტერმინოლოგიური ფონდები. მთავარია, კოორდინირების აღდგენა, რასაც მოჰყვება ლექსიკონების შექმნა და უკვე დაზუსტებული და ნორმირებული ტერმინის სხვადასხვა სახელმძღვანელოში დამკვიდრება. ამ ლექსიკონებზე გაიზრდება მთელი თაობა, გაიწინდება სამეცნიერო თუ სალიტერატურო ენა და მანქანის იმ ხელოსნებთანაც მიაღწევს, რომლებზედაც ქალბატონი ინგა საუბრობდა.

P.S. მიმართვაში, რომელიც თსუ-ის არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე შეიმუშავეს, ნათქვამია: „ტერმინოლოგიის ცენტრის მიერ მართული, სამეცნიერო კვლევებსა და ისტორიაზე დაფუძნებული ტერმინთაშემოქმედება — ეს არის ერთადერთი გზა სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის გატარებისა ქვეყანაში... მოგმართავთ თხოვნით: 1. სახელმწიფო უზრუნველყოს სამთავრობო ტერმინოლოგიური კომისიის შექმნა; 2. არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს ალუდგეს ტერმინოლოგიის ცენტრის სტატუსი, რაც უზრუნველყოს სატერმინოლოგიო მუშაობის მართვა-ნორმალისა და საქართველოში“.

კლასიკური ფილოლოგიის, ჰიზანტინიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის დღე

25 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰიზანტინიისტიკის, ნეოგრეციისტიკის და ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ჰიზანტინიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის დღე გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა პლენარული სხდომა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია და ინსტიტუტის განახლებული ვებ-გვერდის პრეზენტაცია.

პურთხია გაროშვილი

„ტრადიციული და ნოვატორული ელემენტების სინთეზი“, — ასეთი შეფასება მისცა ინსტიტუტის დირექტორმა რისმაგ გორდეზიანმა მიმდინარე ღონისძიებას. „ინსტიტუტი 16 წლის გახდა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი თარიღია და კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი იმას, რაც ამ ხნის მანძილზე გააკეთეთ. გარდა ამისა, პირველად ინსტიტუტის არსებობის მანძილზე, ჩვენი დღევანდელი სხდომის ტრანსლაცია მიმდინარეობს პირდაპირ ეთერით. ჩვენი კოლეგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ინტერნეტით ადევნებენ თვალს ჩვენს ღონისძიებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

ღონისძიებაზე კლასიკური ფილოლოგიის, ჰიზანტინიისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ვრცლად ისაუბრა ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა მაია დანელიამ.

მისი ინფორმაციით, 2012-2013 სასწავლო წელი ინსტიტუტში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. აქტიურად ტარდებოდა სემინარები და პრეზენტაციები, მათ შორის: გერმანელი მეცნიერის თეო კობუსის, კვიპროსელი მეცნიერისა და პოეტის მიხაილს პიერისის, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის ტასილო შმიტის, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორის ანდრეა შმიტის, იენის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის ტიმო შტიკლერის, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორის ნილს გაულისა და ბერლინის თავისუფალი პროფესორის კონსტანტინოს დიმიადისის ლექციები და მოხსენებები.

ინსტიტუტში მოეწყო ორი მნიშვნელოვანი წიგნის პრეზენტაცია: კოლექტიური ნაშრომის „დემოკრატიული ტენდენციები — ანტიკური სამყარო და საქართველო“ და ანტიკური ავტორის თეოფრასტოსის „ხასიათები“. ეს უკანასკნელი სტუდენტებმა თარგმნეს.

„ინსტიტუტში წარმატებით მიმდინარეობს, ასევე, სამეცნიერო პროექტები, რომლებიც საბერძნეთის კულტურის სამინისტროს და რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსდა. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში გრძელდება ქართულ-ახალბერძნულ ლექსიკონზე მუშაობა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი ინსტიტუტის თანამშრომლები. წელს რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ წარდგენილი ორი პროექტი დააფინანსა: ფუნდამენტურ კვლევებში Byzantino-Georgica. ბიზანტიურ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ხელმძღვანელი ვ. ასათიანი, ხოლო გამოყენებით კვლევებში: ანტიკურობის რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში, ხელმძღვანელი ნანა ტონია“, — აღნიშნა მაია დანელიამ.

ღონისძიებაზე ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ მიერ ბოლო ერთი წლის მანძილზე გამოცემული წიგნების შესახებ ასოცირებულმა პროფესორმა ირინე დარჩიამ ისაუბრა. მისი თქმით, ინსტიტუტის მიერ გამოცემული წიგნები ტრადიციულად, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთ წელიწადში 14 წიგნი, მართლაც, შთამბეჭდავი რიცხვია.

„ჩვენს წლებში საგამომცემლო საქმიანობაში რამდენიმე მიმართულებას გამოვყოფ — მითოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანი, ზოგადად სიძველეთმცოდნეობა და ანტიკურობის რეცეფცია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი წიგნები განუთვნილია არა მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. გამოცემათა ასეთი მრავალფეროვნება მონიშნავს, რომ ჩვენი ინსტიტუტი თავისი საქმიანობით სცდება წმინდა ფილოლოგიური ხასიათის პრობლემატიკას და თანამედროვე ევროპული და ზოგადად დასავლური მეცნიერების კვლავ კვალს, ინტერდისციპლინურ კვლევებს განახორციელებს“, — განაცხადა ირინე დარჩიამ.

მეცნიერმა წიგნების მიმოხილ-



ვა დაიწყო პროგრამა „ლოგოსის“ ცნობილი სერიით „ბერძნული მითების სამყარო“, რომელმაც უკვე კარგა ხანია დიდი პოპულარობა მოიპოვა. წელს აღნიშნული სერიის განსაკუთრებით პოპულარული წიგნები „დიდი ზეციური ღმერთები“ და „არგონავტები“ უკვე მესამედ დაისტამბა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მისი რეცეფციების: ნანა ტონიასა და რისმაგ გორდეზიანის დამსახურებაა. აღნიშნული წიგნების როგორც თემატიკა, ისე შინაარსი, თხრობის სიღრმეცა და სტილიც მისაღები აღმოჩნდა ქართველი მკითხველისთვის.

ირინე დარჩიას თქმით, სწავლება და კვლევა წარმოუდგენელია სიძველეთმცოდნეობის სხვა მომიჯნავე დარგებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. სწორედ ამგვარი თანამშრომლობის მაგალითია „ხეთურ-ქართული ლექსიკონის“ მეცხრე ნაკვეთი „შუმეროგრამები“, რომელიც ცნობილ ხეთოლოგს, ირინე ტატიშვილს ეკუთვნის.

„წელს განსაკუთრებით მრავალფეროვანია ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან შესრულებული თარგმანები, მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თეოკრიტოსის „იდილიები“, რომლის თარგმანი და კომენტარები დალილა ბუდანიძეს ეკუთვნის. პეტრონიუსის „სატირიკონის“ თარგმანი (თარგმანი გიორგი ქაჯაიასი). საყურადღებოა აგრეთვე პორფიროსის „ამოსავალი პრინციპები გონითი სინამდვილისათვის, სენტენციები“, რომელთა თარგმანი, შესავალი, განმარტებები და ინდექსი ლელა ალექსიძეს ეკუთვნის. ინტერდისციპლინური კვლევისა და ანტიკურობის რე-



ნესტან ეგეატაშვილის მონოგრაფია „მითოპოეტური მოდელები და სახე-სიმბოლოები ნონოს პანოპოლისელის დიონისიაკაში“, და ბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩვენი გამორჩეული სტუდენტების, ნათია გათენაშვილის, ნინი თაზიაშვილის, ნინი ქუთელიასა და ალექსი ნიკოლოზიშვილის მიერ დიდი რუდუნებით, ენთუზიაზმით და საკმაოდ პროფესიონალიზმით თარგმნილი თეოფრასტოსის „ხასიათები“. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ნანა ტონიას, რომლის თანადგომით შესაძლებელი გახდა ამ უნიკალური გამოცემის მომზადება. განსაკუთრებული მადლობა ბესიკ ხარანაულს არაჩვეულებრივი ილუსტრაციებისათვის“, — განაცხადა ირინე დარჩიამ, რომელმაც ინსტიტუტის სახელით პროგრამა „ლოგოსის“ მთელ კოლექტივს მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი საქმიანობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში გამოჩნდებიან მეცენატები, რომელთა თანადგომითაც პროგრამა „ლოგოსის“ გამოცემაში უფრო მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და კიდევ უფრო მაღალი ხარისხის იქნება.

ღონისძიებაზე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გამარჯვებულ სტუდენტებს: გვანცა ფოფხაძეს (I ადგილი), ანა ქირიას (II ადგილი), მარიამ კილაძეს და ალექსანდრე ჩხეიძეს (III ადგილი) სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა. ინსტიტუტის დღისადმი მიძღვნილი საღამო გულიკო ბუთხუზის მიერ დადგმული სპექტაკლის „ამფიტრიონის“ ჩვენებით დასრულდა, რომელშიც სტუდენტები მონაწილეობდნენ.



ტექნოლოგიების ახალი გამოწვევები

თამარ ლაღიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერებების“ კურსდამთავრებულებს, 25 ივნისს, „უნივერსიტეტ პარიზი 8“-ის დიპლომები გადაეცა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი, საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები, სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ.

ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამა თსუ-ში 2008 წლიდან ხორციელდება. ამ პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ორმაგი ხარისხის დიპლომი: „უნივერსიტეტ პარიზი 8“-ის ინფორმატიკის ლისანსის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრის დიპლომი. პროგრამა რეგიონული მასშტაბით (საქართველო-სომხე-

თი-აზერბაიჯანი-უკრაინა) ითვალისწინებს სტუდენტთა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების, სამეცნიერო კვლევითი ქსელის განვითარებისა და ინფორმატიკის მაღალი ხარისხის დამკვიდრების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ წელს ინფორმატიკის ფრანგულ-ქართული საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა პირველად მიიღეს საფრანგეთის სახელმწიფოს ეროვნული დიპლომები, რომლებიც გადაეცათ პროგრამის კურსდამთავრებულებს: შოთა ოდიშარიას, გიორგი სალუქვაძეს, გივი მეიშვილს, ლევან ლორიასა და ქეთევან საგინაშვილს. თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიციანი და „უნივერსიტეტ პარიზი 8“-ის პროფესორმა არალდ ვერცმა სტუდენტებს დიპლომები საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

„უნივერსიტეტ პარიზი 8“-ის პრეზიდენტმა პარალელ ვენცმა მომავალშიც ნაყოფიერი ურთიერთ-თანამშრომლობის სურვილი გა-



მოთქვა. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე სასწავლო პროგრამის მაღალ დონეს და აღნიშნა, რომ: „პროგრამა თანამედროვე სწავლების პროცესების განათლების ეროვნული სამინისტროს მიერ, ფრანგული ენის გაღრმავებული სწავლების პირობით. სწავლება ქართველ და ფრანგ მასწავლებელთა შერეული გუნდის მიერ ხორციელდება.

„ეს სასწავლო პროგრამა იძლევა საბაზისო ცოდნას ინფორმატიკოსებისთვის, სხვადასხვა დანერგვითი განათლების მქონე სტუდენტების ფართო წრისთვის. პროგრამის დასრულების შემდ-

გრამის კოორდინატორმა არჩილ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, პროგრამა აკრედიტირებულია საფრანგეთის განათლების ეროვნული სამინისტროს მიერ, ფრანგული ენის გაღრმავებული სწავლების პირობით. სწავლება ქართველ და ფრანგ მასწავლებელთა შერეული გუნდის მიერ ხორციელდება.

„ეს სასწავლო პროგრამა იძლევა საბაზისო ცოდნას ინფორმატიკოსებისთვის, სხვადასხვა დანერგვითი განათლების მქონე სტუდენტების ფართო წრისთვის. პროგრამის დასრულების შემდ-

გომ, სტუდენტი შეძლებს სწრაფად აითვისოს პროგრამირების ახალი ენა, შექმნას და განახორციელოს სხვადასხვა პროგრამები. მას ექნება ინფორმატიკული სისტემების გაღრმავებული ცოდნა და მატერიალურ და პროგრამულ გარემოსთან ადაპტაციის უნარი, აგრეთვე სხვა მეცნიერებების (კონკრეტულად მათემატიკის) ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

სასწავლო პროგრამა აქცენტს აკეთებს ცოდნის მიღების მეთოდებზე. სწავლება მოიცავს ფუნდამენტური ინფორმატიკის ყველა ასპექტს: ხელოვნური ინტელექტი, გრაფიკული პროგრამირება, პარალელური ალგორითმები და სხვა. პროგრამის ათვისების შემდეგ სტუდენტები მომზადებული შევადგებიან ტექნოლოგიების ახალ გამოწვევებს“, — განაცხადა არჩილ ელიზბარაშვილმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისთვის ინსტიტუტს კურსდამთავრებულია 7 ნაკადი ჰყავს. მათ შორის 45%-მა სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელა, საფრანგეთსა და სხვა ფრანკოფონულ ქვეყნებში, რომელთაგან 15%-ის სწავლა პარტნიორებმა დაფინანსეს.



ქვეყანას მივნიჭებთ სჭირდება

ინტერვიუ მესხიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან თემურ ნანეიშვილთან

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომხდარო სტრუქტურული ცვლილებების საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინ დაწყებული განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმირებას ეს სამეცნიერო სტრუქტურა არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა, დღეს ინტერესს იწვევს — რა მიზეზები ექნება აკადემიის და როგორ მოახერხებს იგი მეცნიერების განვითარების პროცესში სრულფასოვნად ჩართვას.

26 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ვიცე-პრეზიდენტად აირჩია აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი, რომლის საარჩევნო პროგრამაშიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განსაზღვრულია: „მეცნიერების სისტემის სწორად ორგანიზება, სამეცნიერო კვლევებისთვის ხელშეწყობა, მეცნიერი სამეცნიერო პროდუქციის ექსპერტიზის ორგანიზება, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და, ზოგადად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის ფუნდამენტური მეცნიერული საფუძვლების შექმნაზე ზრუნვა“.

კონკრეტულად რაზე გაამახვილებს ყურადღებას ახლად არჩეული ვიცე-პრეზიდენტი და რა მექანიზმებით შესაძლებელია სამოქმედო პროგრამის განხორციელებისათვის, ამ საკითხებზე გვესაუბრება აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი:

მანია ტორაძე

— ბატონო თემურ, ასეთი ინტერესი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართ, რაც ამ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი, აკადემიის პრეზიდენტის არჩევნებზე გაჩნდა, კარგა ხანია არ ყოფილა. თქვენი აზრით, რით იყო ეს გამომწვეული?

— ეს მიუთითებს ქართული საზოგადოების ჯანმრთელობაზე. თურმე იმედი არ ყოფილა დაკარგული, რომ ქვეყანას მეცნიერება სჭირდება. რაც შეეხება ინტერესს, ალბათ იმითაა განპირობებული, რომ ზოგიერთს ხელი ჰქონდა ჩაქუჩული, რადგან ბოლო წლებში მეცნიერებათა აკადემია ძალიან დამიორჩილა კონიუქტურას. იმის შიშიც კი იყო, რომ საერთოდ დახურავდნენ აკადემიას. ამ ფონზე, ცხადია, ბრძოლისუნარიანობა იცოც.

ჩვენ, აკადემიის ახალი ხელმძღვანელობა, მისი პირველი პირი — პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანიძე, სხვაგვარად ვუყურებთ ამ საქმეს. მეცნიერებას პატრონი უნდა ჰყავდეს. ეს მისია პირველ რიგში თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ, ხოლო შუალედური რგოლი, რომელიც მხოლოდ ამ საკითხზე იფიქრებს, უნდა იყოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ასეა ვეროპის იმ ქვეყნებში, საითაც მივიწინააღმდეგეთ და მივიღეთ. გასოვთ ალბათ, იყო გნიასი — მეცნიერებათა აკადემია სტალინის მოგონილიყო, ჯერ ერთი მისი მოგონილიყო რომ იყო, რა არის ამაში ცუდი? მაგრამ ცდებოდა ის, ვინც ამას ამბობდა. მეცნიერებათა აკადემია კი არ არის ვილქელმის მოდელის მიხედვით შექმნა. გერმანიაში ახლაც არის მსგავსი სტრუქტურული ერთეული — მაქს პლანკის უნივერსიტეტი, რომელიც მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია გაერთიანებული.

მიხარია, რომ სახელმწიფომ მოიხდოდა მეცნიერებათა აკადემიისკენ. სულ ცოტა ხნის წინ საკუ-

თარი ინიციატივით გვესტუმრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი, რომელთანაც საკმაოდ გახსნილად ვისაუბრეთ და გვემბოძა დავსახეთ. ვფიქრობ, ისიც იმედიანად წავიდა და ჩვენც იმედი დაგვრჩია, რომ, ბოლოს და ბოლოს, მეცნიერებათა აკადემიას მიეცემა თავის ფუნქციის შესრულების საშუალება.

რაც მთავარია, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ბატონი გიორგი კვეციანიძის არჩევამ გამოცოცხლება გამოიწვია. ის ძალზე მოტივირებულია და დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე დაეიტყობა მისი ხელი ამ სტრუქტურას.

— როგორ ფიქრობთ, რა გზით უნდა განვითარდეს მეცნიერებათა აკადემია, რომ მან შეძლოს მეცნიერების პატრონობა, რა გეგმები და მიზნები აქვს ახალ ხელმძღვანელობას?

— ამ ეტაპზე, იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა (იციოთ, ალბათ, რომ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან გაყვანილია კვლევითი ინსტიტუტები), აკადემიას აქვს სამი ფუნქცია, რომელიც არ ან ვერ რეალიზდება ისე, როგორც საჭიროა. აკადემიას აქვს ხელისუფლების სამეცნიერო მრჩევლის ფუნქცია. მე ეს ფიქციად მიმანჩია. რჩევა კი არა, აკადემიამ თავის თავს ვერ მოუარა ნაციონალური მოძრაობის ხელი-სუფლებიანი ყოფნის დროს. ეგაა, რომ ბატონმა თამაზ გამყრელიძემ თავისი მოქნილობით აკადემია მთლიანად დახურვას გადაარჩინა და დღემდე მოიტანა. წინა ხელისუფლებას აკადემიის დახურვა იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ მიზნების განხილვის დროს საკითხი ასე იდგა — აფხაზეთის დაბრუნება და მეცნიერებათა აკადემიის დაშლა (ზუსტად ვიცი, სად, როდის და ვის მიერ იქნა ეს საკითხი დასმული).

მეორე ფუნქცია არის — სამეცნიერო გრანტების განაწილებაში მონაწილეობის მიღება, რაც, ფაქტობრივად, არ სრულდება. მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო გრანტების განაწილების დროს გარე

რეცენზირებასთან ერთად, შიდა რეცენზირებაც უნდა ჩართოს და ამაში დიდი წვლილი სწორედ აკადემიამ უნდა შეიტანოს.

ეს არის ძალიან სერიოზული მექანიზმი, მაგრამ აქამდე ის არ მუშაობდა. ის კი არა და, ზოგიერთი მსხვილი დაწესებულება საერთოდ იგნორირებას უკეთებდა მეცნიერებათა აკადემიას. ჩვენ ვპირვით ამ ფუნქციის სრულად შესრულებას, თუმცა პირველ ეტაპზე გლობალურ ამოცანებს არ შევხვებით. ჯერ აკადემიამ ის ავტორიტეტი უნდა აღიდგინოს, რაც ჰქონდა.

— როგორც გგონიათ, მეცნიერების პატრონობისთვის საკმარისია საგრანტო დაფინანსება, რომელიც დღეს არსებობს?

— მე ამ საკითხზე ვისაუბრე ჩემს საარჩევნო პროგრამაში და ვთქვი, რომ ეს არ არის საკმარისი. ახლა ხშირად მოჰყავთ ამერიკის მაგალითი, სადაც ეს სისტემა მოქმედებს, მაგრამ თავად განსაზღვრეთ — ამერიკაში 3500 გრანტის გამცემი ორგანიზაცია არსებობს, ჩვენთან — ერთი. როგორ ნაწილდება გრანტები? მაგალითად, ჩვენ ფინოლოგიის ინსტიტუტი დღევანდელი გრანტის პროექტი, რომელმაც, ფონდის ექსპერტების შეფასებით, 93 ქულა მიიღო, მაგრამ გრანტი ვერ მოვიპოვეთ. გვეითებით, ცოტაა 100-დან 93 ქულა? ნორმალურ პირობებში 70 ქულიდან ზემოთ ყველა პროექტი უნდა ფინანსდებოდეს. ჩვენთან კი იმის გამო, რომ საკმარისი დაფინანსება არ არის, ასეთი მაღალი შეფასებების მქონე პროექტები დაფინანსების გარეშე რჩება.

ამიტომ, ვფიქრობ, როცა ფეხზე წამოვდგებით, აკადემიის სისტემაში კიდევ ერთი სამეცნიერო ფონდი უნდა დაარსდეს, რომელიც კარგ პროექტებს დააფინანსებს.

თუმცა აქამდე კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პირველ რიგში კი ის, რომ ახალგაზრდობა უნდა მოვახდინოთ მეცნიერებისკენ. მე საპატრიარქოს უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ და ძალიან მრცხვენია იმ ახალგაზრდების, რომლებსაც სურვილი აქვთ მეცნიერებაში დარჩენ. როგორია, როცა ამდენი შრომა, წვალობა, იცავ დისერტაციას, გენიჭება ხარისხი და ბოლოს მიზეზრულ ხელფასს იღებ? ასე როგორ უნდა მოზრუნდეს ახალგაზრდა მეცნიერებისკენ? გაგახსენებთ, მაგალითად ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორს 150 ლარი აქვს ხელფასი. ახლა ამ ახალგაზრდას რომ ეუბნები, ფუნდამენტურ მეცნიერებაში წამოდიო, არ წამოვა, რადგან ოჯახი ექნება მას სარჩენი. ამიტომ ვინც ენა იცის, ყველას დაეზავნილი აქვს მონაცემები უცხოეთის ლაბორატორიებში. ისინი უკან დაბრუნდებიან? არ დაბრუნდებიან.



ახლა უცხოეთში რა ხდება? — იციან, რომ აქედან თეორიულად მომზადებული ახალგაზრდები მიდინან და ამიტომ ადვილად იღებენ მათ სამუშაოდ, მაგრამ 4-5-ჯერ ნაკლებ ხელფასს აძლევენ, ვიდრე ადგილობრივებს, ანუ ეს ნიჭიერი ახალგაზრდები იაფი მუშახელია მათთვის. რაც შეეხება ხანდაზმულ მეცნიერს, იმის გამო, რომ სათანადო ანაზღაურება არ აქვს, ასაკში შესული იცვლის პროფესიას... აი, ესაა მთავარი პრობლემა. აკადემიას კი არა, ამას უნდა მივხედოთ პირველ რიგში, სანამ მთელი ინსტიტუტულური ძალა არ გასულა ქვეყნიდან, თორემ ისე მოხდება, რომ ახალი თაობის აღმზრდელი აღარ დავგვრჩება და თუ ვაკუუმში წარმოიშვა, მის შევსებას ათეულობით წლები დასჭირდება.

ვიცი, რომ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი მუშაობს საკითხზე, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელია დახსნდეს 5 წლიანი გრანტები, რომელიც მეცნიერებს აკარგავდნენ შერჩეულ პერსონაჟებს.

— ჩვენ ვისაუბრებთ მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციებზე და უახლოეს გეგმებზე, რაც ზოგადად მეცნიერების განვითარებისთვის არის საჭირო. კიდევ რა უნდა გაკეთდეს უახლოეს მომავალში იმისთვის, რომ მეცნიერებაში ავტორიტეტი დაიბრუნოს?

— აუცილებლად უნდა აღდგეს სამეცნიერო ხარისხები. დღეისათვის არსებობს მხოლოდ აკადემიური ხარისხი — ანუ მეცნიერი არის რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ საჭიროა სამეცნიერო ხარისხების აღდგენა.

ამასთან, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სადოქტოროების ხარისხს. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ზოგიერთი სადოქტორო ნაშრომი ჩვენს დროს რომ საკურსოები იწერებოდა, იმ დონეზე სრულდებოდა. ამიტომ ეს საკითხიც მისახედა.

— თქვენი აზრით, როგორ უნდა გადაწყვედოს კვლევითი ინსტიტუტების პრობლემა — ისინი უნდა დაუბრუნდნენ მეცნიერ-

ებათა აკადემიას თუ უნივერსიტეტების შემადგენლობაში უნდა დარჩნენ?

— ვფიქრობ, რომ ამ ინსტიტუტებს პირველ რიგში საკმარისი დაფინანსება უნდა მიეცეთ, რათა მეცნიერებს ღირსეული სამუშაო პირობები შეექმნათ. რატომაც რომ თეორიულ მეცნიერებაში მოღვაწე მეცნიერებს მეტი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში? ამის ერთერთი განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ის, რომ ექსპერიმენტულ დარგებში მოღვაწეებს არ აქვთ სათანადო აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები, რომ ცდები აწარმოონ თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი მეთოდური საშუალებების გამოყენებით და რეიგანი სამეცნიერო ნაშრომები შექმნან. ესეც არ იყოს, 200 ლარს რომ აძლევ მეცნიერი და მერე სთხოვ — ნაშრომი რეფერირებად მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნოს, როგორ უნდა მოახერხოს ეს? აუჩემებიათ, მეცნიერება კვდებაო, თუ კვდება უფრო არ უნდა უშველო ანუ უფრო მეტად არ უნდა დააფინანსოს?

რაც შეეხება სამეცნიერო ინსტიტუტებს — ჩვენ გვქონდა მისაზრება, რომ ჩაგვეტარებინა ინვენტარიზაცია და ის ინსტიტუტები, რომლებიც ძლიერი სამეცნიერო პოტენციალით გამოირჩევა, აკადემიის შემადგენლობაში დაგვეტარებინა. ეს პროექტი წარდგენილი იყო ბატონ ბიძინა ივანიშვილთანაც და თითქოს მონივრებდა დაიშახურა, მაგრამ საბოლოოდ ვერ გავიდა.

ახლა მუშავდება სხვა პროექტი, რომლის მიხედვითაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უნდა შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ეს ინსტიტუტები დაფინანსდეს. ჩემთვის მთავარია, რომ ინსტიტუტები გადარჩნენ და მათ მკვლევარებს საკმარისი ხელფასი მიეცეთ. წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტებში სხედან გუნდები აკადემიური დოქტორები, რომლებსაც მაღალი ხელფასი აქვთ და გვერდზე უსხედან დამსახურებული მეცნიერები, რომლებსაც მაქსიმუმ 250 ლარს აძლევენ. ეს უნდა გამოსწორდეს. არ შეიძლება სამეცნიერო ინსტიტუტი სასწავლო პროცესს მონევეტილი იყოს. ახლა იქნებ მემორანდუმი მაინც გააფორმონ ამ ინსტიტუტებთან, რომ მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა იქ აწარმოონ კვლევა.

ამ საკითხებზე აკადემიაში ვინის დროს ვისაუბრებ ბატონ გიორგი მარგველაშვილთანაც და ძალიან ნასიამოვნები დავრჩით, რადგან ბევრ საკითხს ერთნაირად ვუყურებთ და იმედს გვაქვს, რომ საბოლოო მიზნამდე ერთად მივალთ.

შენიშვნების მედლით 3 პროფესორი დააჯილდოვეს

9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დოქტორი პროფესორები: ნატალია ორლოვსკაია (ინგლისური ლიტერატურა და ქართულ-დასავლური ლიტერატურული ურთიერთობები), არიანე ჭანტურია (ინგლისური ენა, თარგმანი, ლექსიოგრაფია) და ნანა მამაცაშვილი (ინგლისური ენა) უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდნენ. უნივერსიტეტის მედლები პროფესორებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ გადას-

ცა. „უნივერსიტეტმა დააფასა ღვაწლმოსილი პროფესორების შრომა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს უფრო მაღალი ჯილდოც აქვს მიღებული, უნივერსიტეტის მედლი მათთვის ყველაზე სანუკვარია. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ისინი კვლავ ახალგაზრდების განათლებას ემსახურებიან. ეს მათ პროფესიონალიზმზე, შრომისმოყვარეობასა და უშუალო ენერჯიაზე მეტყველებს“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ. დონისძიებას თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები და მონვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თსუ-ის ეზოში 1921 წელს გარდაცემული დაღუპულ სტუდენტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი განთავსდა

თსუ-ის პირველი კორპუსის შიდა ეზოში 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი განთავსდა. მემორიალის შექმნის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ეკუთვნის. ახალგაზრდების ინიციატივას თსუ-ის ხელმძღვანელობა გამოეხმაურა. ამ დროისთვის შექმნილია მემორიალის განთავსების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისია. უკვე გამოცხადებულია კონკურსი ხელოვნებისთვის, რომელმაც მემორიალის ნიმუშები 26 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი გახლავთ.

„სტუდენტებს სურდათ, რომ თავად შეეგროვებინათ ფინანსები მემორიალის გასაკეთებლად, თუმცა ვერ შეძლეს, რის შემდეგაც თსუ-ის ადმინისტრაციამ ალუთქვა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა. ამისათვის, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, შეიქმნა კომისია, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მემორიალი უნივერსიტეტის I კორპუსის შიდა ეზოში განთავსდეს. მემორიალის ნიმუშების მისაღებად უკვე გამოცხადდა კონკურსი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ასეთი ინიციატივა გაუჩნდა. უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის უნივერსიტეტის წარსულისადმი პატივისცემით. დღესაც ასეთი თაობა გვაყავს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოცხადებულ კონკურსში ბევრი მიიღებს მონაწილეობას და მემორიალიც იქნება ისეთი, როგორსაც

წამდელია იმსახურებენ სტუდენტები, რომლებიც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობას შეენიღნენ“, — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა. მემორიალის შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსის პირობების მიხედვით მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ თსუ-ის I კორპუსის შიდა ეზოში, მემორიალის ნიმუშები კი აუცილებლად უნდა ასახავდეს 1921 წელს დაღუპული სტუდენტების პატივისცემას. სხვა მხრივ კონკურსში მონაწილეობის მსურველები შეზღუდული არ არიან. კონკურსის დასრულების შემდეგ საკონკურსო კომისია მემორიალის ნიმუშების გამოყენებას განიხილავს და დააჯილდოვებს ისინ, რომლებმაც შექმნილი ნიმუშები უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის უნივერსიტეტის წარსულისადმი პატივისცემით. დღესაც ასეთი თაობა გვაყავს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოცხადებულ კონკურსში ბევრი მიიღებს მონაწილეობას და მემორიალიც იქნება ისეთი, როგორსაც

ქართული ელიტების სილატაკე და მანიპულაცია

„კულტურა, რომელიც აგებულია ვერტიკალურ ცნობიერებაზე, უცბად არ შეიძლება დაინგრეს. ამას დრო სჭირდება, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გააზრება!“
გიორგი გვახარია

ლელა კურდღელაშვილი

ელიტებით მანიპულაცია – ვერტიკალური მართვის ყველაზე ძველი და უეჭველი მეთოდი. განსაკუთრებული ნიჭიერებით ამ მეთოდს საბჭოთა კომუნისტური პარტია იყენებდა, და ამ ნიჭიერების დასტური დღევანდელი ჩვენი ელიტებია, რომელიც საბჭოეთის დაშლიდან 23 წლის შემდეგაც თავისი ბუნებით პოსტსაბჭოთაა, ანუ დღევანდელი ქართული ელიტა ე.წ. „ნიტელი ინტელიგენციის“ მსგავსად, ხელისუფლების ზედა ემულონებიდან წამოსული იდეოლოგიებითა და ფინანსური ნარჩენებით იკვებება და კვებავს საზოგადოებას. იმისათვის, რომ ელიტა არ იყოს მანიპულაციის ობიექტი და თავის მხრივ არ ახდენდეს საზოგადოების დანარჩენი ფენების მანიპულირებას, ვერტიკალური იერარქიიდან ჰორიზონტალურ სისტემაზე გადასვლა აუცილებელი, სადაც ელიტის მიერ მონოპოლიზებული ძირითადი ელიტაში იქმნება, მათი გავრცელება კი დამოუკიდებელი მედიის საშუალებით ხდება. სწორედ ამის ახსნას შეეცადა გიორგი გვახარია 5 ივლისს ლებერალოზის ცენტრში ჩატარებულ ღია ლექციაზე „ქართული ელიტები და მანიპულაცია“.

„სისტემა, რომელიც არ დანგრეულა!“ – რადიო „თავისუფლების“ ბლოგერის – სოციოლოგ ზაალ ანდრონიკაშვილის ბლოგის ეს სათაური გვახარია ელიტების თემაში გამოიყენა და, პრინციპში, იგივე თემა, რაც ანდრონიკაშვილმა: მოჯადოებულ წრეში დაკრებილი მანამ, სანამ ხელისუფლების მიზანი არ გახდება მემკვიდრეობით მიღებული იმ სისტემის დესტრუქცია, სადაც „თანამედროვე ფასადი ვეღარ ნიღბავდა ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზირებულ ძალაუფლებას და კეთილდღეობას სხვების ჩაგვრის, დამცირების, დაშინების და, როგორც გამოჩნდა, ნაშების და გაუპატიურების ხარჯზე.“ (ზ. ანდრონიკაშვილი).

თუმცა, ანდრონიკაშვილისაგან განსხვავებით, რომელიც ბლოგში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გაანალიზებას ცდილობს, გვახარია სისტემის გენეზისს და წარმომავლობაზე ისაუბრა.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ კარლ მარქსმა ინიანსარმეტყველა ის, რომ თუკი რუსეთსა და ინდოეთში მისი მოძღვრება გაიმარჯვებდა, მაშინ კაცობრიობა მას დაწყველიდა. მარქსის ამ გამოხატულებით თავის დროზე იტალიური ნეორეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი კინორეჟისორი რობერტო როსელინი დაინტერესდა. მისი განმარტებით, ქვეყნებში, სადაც გამოტოვებს კაპიტალისტური ფორმაცია და ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმზე გადასვა სცადეს, ვერ მოხდებოდა ძალაუფლების ვერტიკალური იერარქიის დანგრევა. შესაბამისად, მონარქსა და არისტოკრატის ავტორიტეტად ჩაანაცვლებდა მმართველი პოლიტიკური ელიტა, რომელიც მართვის იმავე ტექნოლოგიას გამოიყენებდა, რომელიც ფეოდალური ფორმაციისას გამოიყენებოდა: აუცილებლად შექმნიდა ბელადს, რომლის სიტყვა კანონზე მალა იდგებოდა. როგორც ჩანს, როსელინისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის რუსმა „ნაროდნიკებმა“ არაფერი იცოდნენ მარქსის ამ მოსაზრების შესახებ და იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაში, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, საკმაოდ ბევრი მომხრე გამოუჩნდა ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმზე გადავლის იდეას. როგორ გადაიზარდა ეს ყველაფერი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, მოგვიანებით კი სტალინურ რეპრესიებში, ამაზე გვახარია აღარ დანერვილმანებულა, თუმცა, საკმაოდ საინტერესოდ გაანალიზა საქართველოს ისტორიის ის პერიოდი, როდესაც საქართველოს სსრ ცკ-ს (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტი) პირველ მდივნად ედუარდ შევარდნაძე დაინიშნა, რომელმაც მართა მამინდელი მცირე მენარეების, ე.წ. „ცეხავიკების“ განკუთვებით, კორუფციისთან ბრძოლით და ამ იდეოლოგიისა და უშუალოდ მისი მხარდამჭერი ელიტის ფორმირებით დაიწყო. ამ ყველაფერს გვახარია უშუალოდ დაუკავშირა 1972 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემოღებული ერთი, თითქოსდა უმტიყნეულო სიახლე, რომლის მიხედვითაც ამ სპეციალობაზე



ჩაბარების მსურველს მინიმუმ ორწლიანი სამუშაო სტაჟი უნდა ჰქონოდა. აქ უკვე იმ პერიოდის საქართველოს სოციალური ურთიერთობების ბუნების დეტალური ცოდნის გარეშე ძნელი დასკვნების გაკეთება. თუმცა, თუ კინომცოდნე ხარ და პროფესია გავალდებულეს, ზედმინეებით გახსნა ამა თუ იმ ეპოქაში გადაღებული ფილმის შინაარსი და ხატები, მაშინ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასაც ღრმად უნდა იცნობდე. გვახარია თქმით, შევარდნაძე კარგად ხვდებოდა მედიის მზარდ გავლენას და იმასაც, რომ სწორედ მართული ჟურნალისტიკის საშუალებით შეძლებდა საკუთარი შეხედულებისამებრ ემართა ქვეყანა. შევარდნაძე, რომელიც სოფლის ინტელიგენციის კლასიკური წარმომადგენელი გახლდათ, ცდილობდა გავლენა მოეპოვებინა დედაქალაქის უკვე პრივილეგირებულ და მისი წინამორბედი ცკ-ს მდივნების მიერ გაძლიერებულ ნიუთელ ინტელიგენციაზე, ამას კი მხოლოდ სოფლის ინტელიგენცია ფენიდან წამოსული, ძალაუფლებასა და ქალაქურ პრივილეგიებს მონყურებული, მიზანდასახული ახალგაზრდების მხარდაჭერით შეძლებდა. გასული საუკუნის 70-იანი წლების თბილისში ყველაზე ელიტარულ სასწავლებლებსა და პროფესიებს თეატრალური და სამხატვრო აკადემია განეკუთვნებოდა, სადაც ძირითადად პრივილეგირებული ოჯახების შვილები სწავლობდნენ, თუმცა, პარტიისათვის გასაგები გახდა, რომ მალე ჟურნალისტიკა პრესტიჟული პროფესია გახდებოდა, რადგან მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი უჩვენებდა, რომ მედია ნელნელა

ძალას იკრებდა. ცხადია, რომ ე.წ. „ოქროს ახალგაზრდობა“ არ დათანხმდებოდა ორი წელიწადის მუშაობას სამისოდ, რომ რამენაირად „ჟურნალზე“ ესწავლა. სწორედ ამ გზით მოახერხა შევარდნაძემ ჟურნალისტიკის გავლენიანი პროფესიისათვის ჩამოეცილებინა ადამიანები, რომლებიც მას ყოველთვის ზევადან გადმოხედავდნენ და რომელთა მართვაც რთული იქნებოდა.

ამ ანალიზის შემდეგ ძნელი დაიჯერო, რომ 2003 წლის ნოემბერში ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ შევარდნაძის ხელისუფლებიდან გაშვება რევოლუციური ხასიათისა იყო: ე.წ. „ვარდების რევოლუციას“ ჩვენში შევარდნაძის მიერ შექმნილი სისტემის ნგრევა არ მოჰყოლია, უზრალოდ, ძველ ვერტიკალში ძველ სახეებს ახლები ჩაენაცვლენ, ანუ ერთი ფსევდოლიტა მეორე ფსევდოელიტამ ჩაანაცვლა, ერთი სამთავრობო ტელერეჟისორი — გამარჯვებული ხალხის ტელევიზიით შეიცვალა, ძველები „დაიჭირეს“, ახლები ძალაუფლების ვერტიკალის სათავეში მოექცნენ და მეორე ის დაიწყო, რის გამოც დღეს ახლა უკვე ყოფილი მართველი ძალის ოდიოზური და ელიტარული ფიგურების „დაჭერას“ ითხოვს ხალხი. ანუ, თუ ბლოგერ ზაალ ანდრონიკაშვილის ლოგიკას მივყავართ, სისტემა კვლავაც არ დანგრეულა, რადგან არსებობს მოთხოვნა მემკვიდრეობით მიღებულ „დაჭერაზე“, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისთვის სასჯელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართალი. რაც შეეხება გიორგი გვახარიას, მისი დასკვნა უფრო შორსმომავალი და პესიმისტურია: ვინ შეძლებს დღეს საქართველოში პაზოლინის ნაზარინით მოქცევას? ვინ იტყვის ნებაყოფლობით უარს, ძალაუფლების თუნდაც მონამეობრივ ხიბლზე? როგორც ბოლო დროის მოვლენებმა და, მათ შორის, 17 მაისის აქციის დარბევამ გვიჩვენა, დღევანდელ ქართულ ელიტებს, მათ შორის ე.წ. სამოქალაქო სექტორსა და მედიას, არ შესწევს უნარი და ძალა, ხალხთან ვერტიკალური კომუნიკაციიდან ჰორიზონტალურ კომუნიკაციაზე გადასასვლელად, ანუ ჯერ ისე ვერცხვით ძველ სისტემაში, ვიდრე როგორც რიგითი, ისე შედარებით დაწინაურებული ქართველის მიერ ვერ ხერხდება ძირითადი სამოქალაქო პრინციპების გააზრება. შესაბამისად, მივალთ იქამდე, საიდანაც არაერთხელ დაიწყეთ — საზოგადოების ძალისმიერი მეთოდებითა და მანიპულაციებით მართვამდე.

„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“

ნათო მგომლაძე

„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ — თსუ-ის ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში დასრულდა. თითქმის ორი კვირის განმავლობაში, 1-12 ივლისს, ქართველი და თურქი მოსწავლეები (მე-6-დან მე-12-ე კლასის ჩათვლით) მათემატიკის გამოყენებით ასპექტებს თსუ-ის პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრების დახმარებით ეცნობოდნენ. საზაფხულო სკოლაში სწავლება სამი წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილებისა და ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე შემუშავებული პედაგოგიური მეთოდით მიმდინარეობდა. 4 ჯგუფში გადანაწილებული 40 მოსწავლის სასწავლო პროგრამა 6 ნაწილისაგან შედგებოდა — გაეცანი (მეცნიერების მომზადებული მასალის მოსწავლის მიერ გაცნობა-ნაქიზება), მოუსმინე (მეცნიერებთან შეხვედრა და მათ მიერ საჭირო ინფორმაციის გადაცემა), გაიმეორე-იმსჯელე (ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად მოსმენილი მასალის განმტკიცება სავარჯიშოებისა და მაგალითების განხილვით, არგუმენტებით), შეისვენე (კვების უზრუნველყოფა, მშობელთა კომიტეტი), ცოდნა გაუზიარე (მოსმენილი მასალის ურთიერთგაზიარება და ანალიზი ხელმძღვანელისა და მეცნიერის მეთვალყურეობით), და ბოლოს, თამაშე-გამოიყენე (ითვალისწინებდა სპორტში, ხელოვნებაში და მუსიკალურ სფეროში პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარებას). მოსწავლეებისთვის ლექციებს კითხულობდნენ პროფესორები თამაშ ვაშაყმაძე, თამაშ თადემაძე, დავით გორდენიანი, ელიზბარ ჯაველიძე, გურამ გაბრიჩიძე... საზაფხულო სკოლის მიზანი მოსწავლეებისთვის ადრეული ასაკიდანვე მათემატიკის უკეთესად გაცნობა, ამ მეცნიერების შესახებ ახალი ინფორმაციის მიწოდება და სამეცნიერო მუშაობაში მათი შესაძლებლობის ფარგლებში ჩართვა გახლდათ.

„აქ არ არის ისეთი სწავლება, როგორც სკოლაში. გვაქვს სახალისო, საინტერესო ლექციები. ჩვენი პროფესორი დიდი დატვირთვით მუშაობს, რადგან მეცნიერებაზე პროფესორის

საუბარი მოსწავლესთან მარტივი ნამდვილად არ არის. გასათვალისწინებელია, რა შეიძლება იცოდეს ბავშვმა და რა — არა. აღსანიშნავია, რომ ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლაში ჩართული ყველა ადამიანი უსასყიდლოდ მუშაობს. ბავშვების კვებას მშობლები უზრუნველყოფენ. შემძლია გითხრათ, რომ სკოლა კარგი შედეგით დასრულდა. მოზარდები მათემატიკას უყურებენ არა როგორც მიმე და მოსაწყენ საგანს, არამედ საინტერესოს“, — განაცხადა თსუ-ის საზაფხულო უნივერსიტეტის კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

გამოყენებით მათემატიკაში ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლისთვის მოსწავლეები თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებიდან შეირჩნენ. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი მათემატიკას საგანში მაღალი შეფასება გახლდათ. როგორც მოსწავლეებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, სკოლაში მოსმენილი ლექციების შემდეგ მათ მათემატიკის მიმართ ინტერესი უფრო გაუძლიერდათ და ბევრი ახალი ინფორმაციაც მიიღეს.

რუსთაის №18 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე ანა ქურდაძე: „ეს პროექტი ძალიან კარგი საშუალებაა, რომ მათემატიკას კარგად გაეცნო, მათემატიკა ყველა შემთხვევაში გეჭირდება და მოსმენილი ლექციები მის უკეთ შესწავლაში გვეხმარება“.

რუსთაის №21 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე მარიამ ჭელიძე: „მათემატიკა სრულიად ახალი კუთხით დაინახე, ბევრი რამ ვისწავლე. იმედია, ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და მასში მონაწილეობას კვლავაც მივიღებ“.

თბილისის №87 საჯარო სკოლის მოსწავლე ლაზარე ნათელაშვილი: „ეს დღეები ძალიან კარგად გამახსენდება, უამრავი რამ გავიგე. ვეგემავ, რომ მათემატიკის შესწავლა უშაღწევი ჩაბარების შემდეგაც განვაგრძო“.

ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლის „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ ერთერთი მთავარი მიზანი ქართველი მოსწავლეების მეზობელი სახელმწიფოების მოსწავლეებთან დამეგობრებაც არის. ამ მიმართულებით წელს უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. საზაფხულო სკოლაში ერთი კვირის განმავლობაში თურქეთიდან



ჩამოსული ბავშვებიც ისმენდნენ ლექციებს. გარდა ამისა, მოეწყო ექსკურსიები თბილისში, ჭიათურაში, ახალციხესა და ბათუმშიც. მიზანი უცხოელი პატარა სტუმრებისთვის საქართველოს ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ქართული კულტურის გაცნობა გახლდათ. შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ თურქმა მოსწავლეებმა საზაფხულო სკოლის მოსწავლეებს წერილობითი სახით გაუზიარეს — ქიორმატ ბელდალი: „საქართველოს ძალიან დადებითად ვაფასებ. ადრე ასე არ ვვიქრობდი, თუმცა ახლა შეხედულება შემიცვალა“. აბდულჰამედ კორგანჯი: „ადრე საქართველოს შესახებ არაფერი ვიცოდი, ახლა კი ვიცი, რომ ეს ძალიან კარგი ქვეყანა“.

„ეს პროექტი განსხვავებულია იმით, რომ მასში ჩართულები არიან მეცნიერები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, მოსწავლეები და მათი მშობლები. პროექტში მონაწილეები სპეციალურ ანაზღაურებას არ იღებენ. დიდი ილიას სიტყვებით, რომ ცოდნა თავად არის სიმდიდრე და ჩვენც ამ სიმდიდრის გამრავლებას ვცდილობთ. ერთადერთი, რისთვისაც დაფინანსება გეჭირდება — ეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა, რადგან საკმაოდ მოძველებულია.“

რაც შეეხება თურქი მოსწავლეების სტუმრობას, მათი პროგრამა ერთ კვირიანი იყო. ბოლო ორი დღე კი ექსკურსიებს დაეთმეთ, რომელსაც ბატონი გიორგი დევალაშვილი ხელმძღვანელობდა. ბავშვებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილებებით დატოვეს საქართველო. თურქეთიდან ჩამოსული იყო პროფესორი ჩალარ ჩეტინკაია, რომელმაც ქართველ პროფესორებს ნიჭიერ ბავშვებთან ურთიერთობაზე ლექციები წაუკითხა. სამომავლოდ ვეგემავ, ერთობლივი საზაფხულო სკოლა ქალაქ ართვინში ჩორუხის უნივერსიტეტში ჩავატაროთ“, — განაცხადა თსუ-ის დოქტორანტმა, საზაფხულო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა იუსუფ ფუტა გულევრმა.

ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ თსუ-ის, თსუ-ის „საზაფხულო უნივერსიტეტის“, ი. ვეკუას გამოყენებით მათემატიკის ინსტიტუტის და მათემატიკაში და ინფორმაციაში თბილისის საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებითა და ძალისხმევით გაიმართა. ზაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მესამე წელია ტარდება.



ქურნალი „თსუ — სტუდენტური მეცნიერება“ ივლისის ბოლოს გამოვა

ნათო მობლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტური სამეცნიერო ქურნალის „თსუ — სტუდენტური მეცნიერება“ გამოცემას იწყებს. ახალი სამეცნიერო პერიოდიკა სემესტრში ერთხელ გამოიცემა და სტუდენტებს სტიპენდიების მოსაპოვებლად დამატებითი ქვლების მიღებისა და სამეცნიერო ნაშრომების წერის კულტურის განვითარების საშუალებას მისცემს. მასში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება შეუძლიათ თსუ-ის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, კურსდამთავრებულებს (რომელთა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა) და ასევე სხვა ავტორებს, რომლებიც სარედაქციო კოლეგიის დავალებით ცალკეულ საკითხებზე პუბლიკაციებს მოამზადებენ. ქურნალისთვის განკუთვნილი სტატია 500-დან 900 სიტყვის მოცულობის უნდა იყოს და თან ერთვოდეს ლექსორის რეკომენდაციას. ამონაკლისს წარმოადგენს იურიდიული ფაკულტეტი. რაც შეეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, გამოსაქვეყნებელი სტატია სემინარზე ან საფაკულტეტო კონფერენციაზე უნდა მოისმინონ. „თსუ — სტუდენტური მეცნიერების“



მარიამ ოთიაშვილი

სარედაქციო კოლეგია იმ სამეცნიერო სტატიებს მიანიჭებს უპირატესობას, რომლებიც აქტუალურ საკითხებს შეეხება და მათი გადაჭრის გზებსაც განიხილავს. ქურნალის პირველი ნომერი მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს გამოვა. „თსუ — სტუდენტური მეცნიერების“ გამოცემის იდეა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწეს გიორგი გაფრინდაშვილსა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების III კურსის

სტუდენტს მარიამ ოთიაშვილს ეკუთვნის.

„ჩვენთან უამრავი წარმატებული სტუდენტი სწავლობს, გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, ამიტომ მათ ესაჭიროებათ სივრცე, სადაც აკადემიური და კვლევითი განვითარების კუთხით თავს წარმოაჩინონ. ეს მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება. ბუნებრივია, სხვადასხვა ფაკულტეტზე არსებობს სამეცნიერო გამოცემები, მაგრამ აუცილებელი იყო შექმნილიყო გამოცემა, რომელიც ყველა ფაკულტეტს გააერთიანებდა. პირველი ნომრისთვის გამოცხადებულ კონკურსში სტუდენტების დიდი აქტივობა დაფიქსირდა. შეირჩა შინაარსობრივად საინტერესო სტატიები. მათ ხარისხს ფაკულტეტებზე არსებული სამეცნიერო დეპარტამენტები ამოწმებენ. სამომავლოდ გვგეგმავთ, რომ ქურნალი კვარტალში ერთხელ გამოიცეს“, — განაცხადა გიორგი გაფრინდაშვილმა.



გიორგი გაფრინდაშვილი

კრიტიკიუმი სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაა“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიამ ოთიაშვილმა.

ქურნალის „თსუ — სტუდენტური მეცნიერება“ ტირაჟი 800 ცალი იქნება. სტუდენტური სამეცნიერო პერიოდიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბიბლიოთეკებში გავრცელდება. ქურნალის I ნომრის პრეზენტაცია აგვისტოს დასაწყისშია დაგეგმილი.

სტუდენტური კონფერენცია „შავი ზღვის აუზი – პრობლემები და პერსპექტივები“

თამარ ღაღინი

საუკეთესო სტრატეგიული მდებარეობის გამო შავი ზღვის რეგიონი ყოველთვის მსოფლიო ყურადღების ცენტრში იყო. მას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გლობალურ პროცესებზე, რადგან ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ხიდი იყო.

დღესდღეობით, რეგიონის წინაშე სხვადასხვა სამართლებრივი, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური პრობლემები დგას, რომელიც სასწრაფო ანალიზსა და გადაწყვეტას მოითხოვს. სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელებს სულ ცოტა ხნის წინ სტუდენტებმა შავი ზღვის უნივერსიტეტში.

10 მაისს შავი ზღვის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თურქეთის ქ. კაიზერის

მელიქ შაჰის უნივერსიტეტის მხარდაჭერით მეორე ერთობლივ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციას „შავი ზღვის აუზი – პრობლემები და პერსპექტივები“ უმასპინძლა. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი ფარუქ გურსოი და თსუ-ის პროფესორი ია ხუბაშვილი.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ: შავი ზღვის უნივერსიტეტის რექტორი ერჯან ტუნგი, ამავე უნივერსიტეტის ვიცე დეკანი, პროფესორი გიული ალასანი, ვიცე-დეკანი — პროფესორი ნიკა ჩიტაძე, თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალიოზა ბაკურაძე, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პრეზიდენტი ირაკლი ჟორჯიანი და სხვები. კონფერენციის კოორდინატორი გახლდათ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი ლიანა ჯავახიძე.

კონფერენციის ფარგლებში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სტუდენტებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაშრომები რეგიონში აქტუალური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. მომხსენებლებმა ისაუბრეს რეგიონში არსებულ სამართლებრივ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ პრობლემებზე, შეეხნენ რეგიონის მომხიზნავე რეგიონებთან თუ ქვეყნებთან ურთიერთობის თემას და განიხილეს არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის დახურვა 11 ივნისს თსუ-ში გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფაკულტეტის სტუდენტები: კახაბერ ყალიჩავა, მერაბ მელაძე, სალომე აკოპია, ნინო მახაური და იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი თეონა ლავრელაშვილი, რომლებმაც ნაშ-

რომები ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს.

ლონისძიებზე შეჯამდა კონფერენციის შედეგები, ხოლო მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. დამსწრეებს სიტყვით მიმართეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ნიკა ჩიტაძემ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ია ხუბაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას მხარდაჭერისათვის. კონფერენციის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ შეეფასებინათ კონფერენციის მსვლელობა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ბროშურის სახით დაიბეჭდება. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უკვე მეორე წელია მასპინძლობს აღნიშნულ ღონისძიებას. ტრადიციის გაგრძელება მომავალ წელსაც იგეგმება.

ლევან მალნარაძე — 100



ცნობილი ქართველი მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, წლების მანძილზე საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ლევან მალნარაძე დაიბადა 1913 წლის 22 ივნისს ახალ სენაკში. 1934 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათემატიკოსის კვალიფიკაციით. მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც მან ლირსეულად განვლო გზა ასისტენტობიდან პროფესორამდე. გარდა ამისა, იგი მოღვაწეობდა

გეოფიზიკისა და ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტებში, იყო თსუ-ის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ერთერთი წამყვანი განყოფილების გამგე, ინსტიტუტის დარსების დირექტორი. ლ. მალნარაძის მეცნიერული ინტერესების ჩამოყალიბებაზე დიდი როლი ითამაშა ნ. მუსხელიშვილისა და ვ. კუპრაძის შემოქმედებამ, რომლებიც იმხანად უკვე მსოფლიო მასშტაბით ცნობილი და აღიარებული მეცნიერები იყვნენ. სამეცნიერო საზოგადოებრიობისთვის კარგად არის ცნობილი ის დიდი წვლილი, რომელიც ლ. მალნარაძემ შეიტანა მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში. ლ. მალნარაძის მეცნიერული დიპლომატიკა იყო ფართო და მრავალფეროვანი, მან შეისწავლა დრეკადობის ნახევარსივრცის რხევის ამოცანა, ბრტყელი დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანები კუთხოვან წერტილებიანი კონტურებისთვის, კუთხოვან წერტილიანი ზედაპირისთვის, ფრთის თეორიის ამოცანები, წრფივი დიფერენციალური და ინტეგრირებადი დიფერენციალური განტოლებათა სისტემები, ზოგიერთი არასტაციონარული განტოლების რეგულარული ამონახსნი ბანახის სივრცეში, იკვლევდა რიმან-ჰილბერტის სასაზღვრო ამოცანას, ააგო ჰიპერბოლური ტიპის წრფივი კერძონარმოებულის დიფერენციალური განტოლების კომპლექსური ეფექტური ამონახსნი, მიიღო ასეთი ტიპის განტოლებების ამონახსნების ასიმპტოტური წარმოდგენები პარამეტრის

დიდი მნიშვნელობისთვის. ლაპლასის ორმაგი გარდაქმნისათვის განაზოგადა აბელის და პლემელ-პრივალოვის თეორემები. ააგო არასტაციონარული და არაერთგვაროვანი ველების წრფივი დიფერენციალური განტოლების ამონახსნის ზოგადი წარმოდგენა ჰარმონიული და ანალიზური ფუნქციების საშუალებით. განაზოგადა ზიგმუნდის უტოლობა განზოგადებული შეუღლებული ფუნქციებისათვის, რომლებიც წარმოიგინებინა სტილტესის სინგულარული ინტეგრალებით, რომელთა მთავარი მნიშვნელობა გაგებულია განზოგადებული აზრით.

განსაკუთრებული პოპულარობა ლ. მალნარაძეს მოუტანა ნაშრომმა „თვითმფრინავის ფრთის თეორიის ერთი ინტეგრალური განტოლების შესახებ“. ცნობილია აეროდინამიკოსმა ჯ. მაილსმა ამ შრომაზე დაყრდნობით თავის 1959 წლის მონოგრაფიაში „არასტაციონარული ზეგვერითი დინებების პოტენციალთა თეორია“ ერთერთ პარაგრაფში ასე დაასათაურა „მალნარაძის მეთოდი“. ლ. მალნარაძის შრომები მითითებულია ნ. მუსხელიშვილის, ვ. კუპრაძის, ი. ვეკუას, თ. გვეგელას, თ. ბურჭულაძის, დ. გალინის და სხვათა ნაშრომებში. ლ. მალნარაძემ 1939 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა კუთხოვანი წერტილების მქონე კონტურებისათვის“, ხოლო 1986 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სინგულარული ინტეგრალური, სპეციალური ფუნქციური სივრცეები, ანალიზური

ფუნქციების სასაზღვრო ამოცანები და მათი გამოყენება არაერთგვაროვანი ფიზიკური ველების სასაზღვრო ამოცანებისათვის“.

ლ. მალნარაძე მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება იყო, იგი კარგად იცნობდა თანამედროვე მათემატიკის მიღწევებსა და პრობლემებს. ფრიად ნაყოფიერი იყო ლ. მალნარაძის პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი თავისი სათანოებითა და ყურადღებით ახალგაზრდობის მიმართ უნიკალური და გამორჩეული იყო. მან თავისი დაულაღავი შრომით მრავალ ახალგაზრდას გაუკავა გზა მეცნიერებისკენ. იგი ხარობდა თავისი მონაფეხების მეცნიერული მიღწევებით. დიდა ლ. მალნარაძის წვლილი თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობაში. ლ. მალნარაძე გარდაიცვალა 2002 წლის 6 თებერვალს. იგი სამშობლოსა და მეცნიერების სიყვარულით დაფერფლილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი პროფესორი ჯ. შარიქაძე;

ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი თსუ-ის სრული პროფესორი თ. თადუმაძე





„დევილოზაში რაა სიაგე“?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთადერთი ბეჭდური საინფორმაციო საშუალებების — გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია, რომელმაც გაზეთის 85 წლის იუბილე ამა წლის აპრილში უშუალოდ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ხელშეწყობით აღნიშნა, ფაქტობრივად, დევილოზაში აგრძელებს ფუნქციონირებას. რედაქცია უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში (ჭავჭავაძის №11) დროებით იყო შეხიზნული პირველი კორპუსის სარემონტო სამუშაოების გამო. ჩვენთვის დღემდე უცნობია, რა მიზეზით არ დაუბრუნდა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია პირველ კორპუსს მისი რეაბილიტაციის შემდეგ, მით უფრო, რომ გაზეთის დაარსების დღიდან რედაქცია მუდამ უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში იყო განთავსებული. ადმინისტრაციული კორპუსისგან მოწყვეტილად მუშაობა გაზეთს მეტად აზარალებს, ვინაიდან ადმინისტრაციის სრულ შემადგენლობასთან და სტუდენტებთან თუ აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის ნაკლებობა პირდაპირ კავშირშია ინფორმაციულ შიშხილთან. ჩვენი განცალკევებულად არსებობა გარიყულთა პოზიციაშიც ხშირად გვაყენებს და ბევრჯერ ვრჩებით უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს მიღმა, რაც საინფორმაციო საშუალებებისთვის მეტად საზიანოა. გარდა ამისა, სწორედ ამ გარიყულობის გამოა ალბათ, რომ რედაქციის თანამშრომელთა სამუშაო პირობები გაუსაძლისია, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა არაადაამკაცოფილებელი.

რედაქციაში არსებული პრობლემების თაობაზე ჩვენ წერილობით არაერთხელ ვაცნობეთ რექტორატს და აკადემიურ საბჭოსაც კი, რასაც რეაგირება დღემდე არ მოჰყოლია.

არის თუ არა გაზეთის საინფორმაციო პოლიტიკა ჩვენი გარიყულობის მიზეზი? — დაზუსტებით ამის თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტის სივრცეში, ჩვენს რედაქციასთან შეუთანხმებლად, გაჩნდა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ ალტერნატიული გაზეთი „უნივერსიტეტი“ (თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გაზეთი), რომელიც ხშირად აბნევს მკითხველს, რომელსაც ეს ორი გაზეთი ერთი და იგივე რედაქციის გამოცემა ჰგონია. პრობლემას ის ართულებს, რომ თსუ-ის საზოგადოებასთან ურ-

თიერთობის დეპარტამენტი თავისი გაზეთისთვის მოპოვებულ „ექსკლუზიურ“ ინფორმაციას არ აწვდის გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის თანამშრომლებს (გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თსუ-ის ადმინისტრაციული ერთეულია), რაც კოლეგიალობის პრინციპს სრულიად ეწინააღმდეგება. რედაქციისთვის ხელმოუწვდომელია შიდა მოხმარებისთვის საჭირო არაერთი ინფორმაცია, რაც გასაჯაროებას არ ითვალისწინებს, რაც ასევე არღვევს კორპორატიული თანამშრომლობის არსს.

დღემდე რედაქცია პირადი მიმონერით შემოიფარგლებოდა იმ პირებთან, რომელთაც საკითხის მოგვარება შეეძლოთ, მაგრამ ურთიერთობის აღნიშნულმა ფორმამ შედეგი არ გამოიღო. რედაქცია ვერ გრძნობს თავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სრულუფლებიან წევრად და, როგორც ჩანს, არც ხმის უფლება აქვს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენთვის მტკივნეული საკითხების საჯაროდ გამომზეუურება იმ იმედით, რომ უნივერსიტეტის მომავალი რექტორი ჩვენს პრობლემებს ყურად იღებს.

ხელს აწერს:

რედაქციის წევრები:

რისმაგ გორდეზიანი
იაგო კაჭკაჭიშვილი
ლადო მინაშვილი
ვაჟა კიკნაძე
დიანა ძიძიგური
თემურ ნადარეიშვილი
ნინო ჩიხლაძე

რედაქციის თანამშრომლები:

ნინო კაკულია
მაია ტორაძე
მანანა ჯურხაძე
ნატო ობოლაძე
ლელა კურდელაშვილი
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი
ანა ბოლქვაძე



რედაქცია მადლობას უხდის კათილნიდისიარი თანამშრომლობისთვის კანცელარიის უფროსს ნუნუ ოვსიანიძეს და საარჩევნო კომისიის წევრს დავით ბოსტონაშვილს თსუ-ის რაქტორის კანდიდატების შასახვა ინფორმაციის მონოღაბისთვის.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
 მთავარი სამხატვრო **მაია ტორაძე**
 ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
 ფოტოკომპოზიციონერი **ანა ბოლქვაძე**
 კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედაქციის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხაღური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
 ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
 tsunewspaper@tsu.ge
 2 22 36 62